აპოლონ სილაგაძე
ვახტანგ გურული

3

ისტორიულ-პოლიტიკური ესე

თბილისი
1996

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში მოთავსებული ნაშრომები წარმოადგენენ ექსპერიმენტს იმ ზოგიერთი მეთოდოლოგიური პრინციპის კონკრეტული რეალიზებისა, რომელთა ჩამოყალიბების ცდა მოცემულია 1988 წ. დეკემბერში გამოქვეყნებულ სტატიაში — „რანი ვყოფილვართ... რანი ვართ... რანი ვიქნებით“ (იხ. წიგნში — ა. სილაგაძე, საქართველო 88—90, თბ. 1992, გვ. 24—39. სტატია შემდეგი ფრაზით სრულდებოდა: „ამოცანა დღეს სხვაა: არ გამოვიჩინოთ უპატივცემულობა ჩვენი ისტორიის გაკვეთილების და ჩვენი განვითარების ძველთაგანვე შემუშავებული და გამოცდილი კონცეფციის მიმართ“). ექსპერიმენტი — ხაჩვენებელი, არასრულყოფილი.

ლაპარაკია, კერძოდ, სისტემურ მიდგომაზე ისტორიისადმი და სისტემური ანალიზის პრინციპებზე. ზოგადი ამოსავალი დებულება — და შესაბამისი რთული ამოცანა — აქ ის არის, რომ ისტორია უნდა წარმოვადგინოთ სისტემის სახით, ან ისტორიაში უნდა დავინახოთ სისტემა, რომელშიც მისი მთლიანობაც იქნება განსაზღვრული და ყოველი მოვლენისა და ეპოქის, როგორც ელემენტების, არა მარტო აღწერა, არამედ ადგილი — ურთიერთდაკავშირებულობა, ურთიერთმიმართება და ურთიერთგამომდინარეობა — იქნება მოცემული. ყველაზე უფრო რთულია სისტემური ანალიზის მთავარი ამოცანის დასმა და გადაჭრა — ის, რომ დადგინდეს სისტემის წარმომქმნელი ფაქტორი ან ფაქტორები და მოვლენა ან მოვლენები. სწორედ ამ შემთხვევაში, სპეციალური ანალიზით, განისაზღვრება სისტემის კანონზომიერი მთლიანობაც და განვითარების კანონზომიერებებიც. სხვა სიტყვებით: საბოლოო შედეგის სახით, უნდა გვქონდეს საქართველოს ისტორიის — ამჯერად ჩვენ იგი გვაინტერესებს — კანონზომიერი სისტემაც (მთლიანობაც) და მისი რეალიზაციის სხვადასხვა ქრონოლოგიური საფეხურიც, როგორც კანონზომიერი განვითარების სურათი.

რა თქმა უნდა, ბუნებრივია და ადვილი ზოგადი წარმომქმნელი ფაქტორის როლში დავსახოთ ქართული ეროვნული კონცეფცია. მაგრამ რთულია მისი გაშიფრვა და დადგენა, რადგანაც ეს არის დადგენა მისი

შემადგენელი ელემენტებისა, როგორც რეალური წარმომქმნელი ფაქტორებისა. ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია აგრეთვე გარკვეული პირობითობა (ბუნებრივი — მეცნიერებისათვის), რაც აგვაცდენს ისტორიის უხეშ გაიგივებას სისტემასთან; ამ შემთხვევაში, კერძოდ, გასათვალისწინებელია, რომ ისტორიაში გარკვეული სისტემა მხოლოდ მთლიანობაში ან დიდი მონაკვეთის შერჩევისას დაინახება, ხოლო ამის გვერდით დასანახია უფრო პატარა, ლოკალიზებული, მონაკვეთებიც, და მათი ანალიზისას არ არის გამორიცხული ისეთ მოვლენებთან ან ფაქტორებთან შეხვედრა, რომლებიც წინააღმდეგობაში შედიან განვითარების კანონზომიერებებთანაც და პროდუქტიულ ეროვნულ კონცეფციასთანაც.

ყველაფერი ეს, მეტ-ნაკლებად, გადმოცემულია, როგორც ითქვა, 1988 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ კონკრეტულ ნარკვევებს (უფრო ზუსტად — ერთი იდეის ქვეშ გაერთიანებულები, ისინი ერთ მთლიანობას ქმნიან), რომლებიც ეძღვნება ეროვნული კონცეფციის, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის განმსაზღვრელი ზოგადი ფაქტორის, მხოლოდ სამ შემადგენელ ელემენტს — სამ კონკრეტულ წარმომქმნელ ფაქტორს. ესენია: 1. საქართველოს, როგორც მცირერიცხოვანი სახელმწიფოს, გეოპოლიტიკის აგება გარკვეული საერთაშორისო ფუნქციის შესრულებაზე და გონივრული ბალანსირების პოლიტიკის გატარებაზე; 2. ამავე დროს (პრაგმატული პოზიციის გვერდით) — მაქსიმალისტური ამოცანის არდავიწყება და შესაბამისი იდეალისტური პოლიტიკური კურსის რეალიზება; 3. რაც მთავარია, ერთიანი საქართველოს იდეაზე დამყარება და ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური აზროვნების დამკვიდრება (კიდევ ერთ ფაქტორზე მინიშნება მკითხველმა შეიძლება პოვოს 1990 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში — „რა არის საქართველო"; იხ. წიგნში — ა. სილაგაძე, საქართველო 88—90, თბ., 1992, გვ. 209—221).

ამ ფაქტორების დანახვის ცდა განხორციელებულია ისტორიის უგრძეს მონაკვეთზე — ფარნავაზიდან სტალინამდე. საბოლოოდ, პრინციპული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, ვიღებთ გადმოცემის შებრუნებულ სქემას: არა ისტორიის (ფაქტების, ქრონოლოგიის...) აღწერა და მასში — ყოველი ეპოქის, ყოველი მოვლენის დაკვალად — მოცემული ფაქტორების რამდენიმეჯერ დანახვა და რამდენიმეჯერ ანალიზი, არამედ პირიქით — ფაქტორის დასახელება და შემდეგ მის მიხედვით მთე-

ლი ისტორიის (ან მისი დიდი ნაწილის) დანახვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისტორიას იმდენჯერ გადაეცლება თვალი, რამდენი ფაქტორიც იქნება დასახელებული.

ბუნებრივია, რომ ყოველი მოცემული ფაქტორის ილუსტრირება ერთი და იმავე ისტორიის სურათით პრაქტიკულად სწორედ მხოლოდ თვალის ერთი გადავლების საშუალებას იძლევა (ყოველ შემთხვევაში — ჩვენი მოკლე ნარკვევების ფარგლებში) და გარკვეულ იმპრესიონისტულ ხედვას გულისხმობს. ამ გარემოებამ განაპირობა ჩვენი ჟანრი — ისტორიულ-პოლიტიკური ესსე (იგი, სხვათაშორის, აადვილებს ხიდების გადებასაც თანამედროვეობასთან).

იმედი გვაქვს, რომ ამ მომენტებს სათანადოდ გაითვალისწინებს მკითხველი (და პოტენციური ოპონენტი) — წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ამ წიგნის გაცნობას ექნება აზრი და არც აზრის გამოთქმას. ჩვენთვის ამჯერად მთავარია მეთოდოლოგია და შესაბამისი საჩვენებელი სქემა. ერთიც და მეორეც ჩვენთვის შეურყეველი დარჩება იმ შემთხვევაშიც, თუ აღმოჩნდება, რომ საილუსტრაციოდ წარმოდგენილი ისტორიული სურათი დეტალებში შევსებას თუ შეცვლას მოითხოვს, ან ზოგიერთი იდეა — დაზუსტებას.

აპოლონ სილაგაძე

1996 წ. იანვარი

იდეალიზმი და პრაგმატიზმი ქართულ პოლიტიკაში

„იგინი შებრკოლდეს და დაეცნეს,
ხოლო ჩუენ აღვდეგით და აღვემართენით“

საქართველოს სამათასწლიანი ისტორია სახელმწიფოებრიობის გადარჩენისათვის მუდმივი ბრძოლის ისტორიაა.

„საქართველო, უპირველეს ყოვლისა, არის ქართველი ერი, ხოლო იგი ყოველოვის იყო და არის სუვერენული ერი. ისტორიული ტრანსფორმაციების, რეალური მდგომარეობის, სახელმწიფოებრიობის ქონის თუ მისი ფაქტობრივი დაკარგვის მიუხედავად, იგი ყოველთვის იყო და არის დამოუკიდებლობის დაუთრგუნველი სურვილის მქონე და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერი. (...)

საქართველო ყოველთვის იყო სუვერენული, იგი იყო ან დამოუკიდებელი სახელმწიფო, ან დამოუკიდებლობის იდეის — ერთადერთი იდეის — არცერთი წამით არდამვიწყებელი, მისთვის კატეგორიულად მებრძოლი, არდამორჩილებული, ამ თვალსაზრისით მოქმედებაშეუზღუდავი, ე. ი. ავტონომიური ქვეყანა“ (ა. სილაგაძე, საქართველო 88—90, თბ. 1992 წ. გვ. 209, 212).

ეს არის ტრაგიკული ისტორია. მაგრამ ეს ისტორია გრძელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრაგედია ვერ განხორციელდა.

ეს ბრწყინვალე ისტორიაა.

ძალიან ხშირად თითქმის ქრესტომათიულ ჭეშმარიტებად აღიქმება ხოლმე მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს მრავალრიცხოვანი, სვებედნიერი ერები დიდებისა და კეთილდღეობის გზაზე პრაგმატიზმის წყალობით გამოვიდნენ.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართულ სინამდვილეში ეს დებულება ფაქტიურად იმისათვის გახდა საჭირო, რომ დამტკიცდეს: მცი-

რერიცხოვანი, „პატარა“, ერების უბედურებათა მიზეზი პრაგმატიზმის უარყოფასა და იდეალიზმის ერთგულებაში მდგომარეობს.

ჩვენ გვინდა პრინციპულად არ დავეთანხმოთ ორივე ამ მოსაზრებას.

ნებისმიერი ერის ისტორია თანაარსებობაა პრაგმატიზმისა და იდეალიზმისა (ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ამ ცნებების განმარტება — მკითხველი თვითონ მიხვდება, რა პირობითი შინაარსია ამ შემთხვევაში მათში ჩადებული). არც მათ ჭიდილზე შეიძლება ლაპარაკი. თითოეულს თავისი ადგილი აქვს, რაც დროში რეალიზდება, როდესაც ან ერთის დომინანტობა იქმნება, ან — მეორის. დამარცხება იქაა, სადაც პრაგმატიზმი თავის დროზე არ უთმობს ადგილს იდეალიზმს, და— პირიქით. უფრო ზუსტად: საქმეს ყოველთვის იდეალისტი იწყებს, იგი განსაზღვრავს მასშტაბურ ამოცანას და მასშტაბურ პროგრამას, პრაგმატიკოსი — სქემის მიხედვით — საქმეში ჩაერთვება ამოცანის წარმატებული რეალიზების შემთხვევაში, გარკვეულ ეტაპზე, როდესაც ერთგვარი დაყოვნება, მოპოვებულის სტაბილიზირებაა საჭირო. მთავარია, დოზირებაში არ იქნეს დაშვებული შეცდომა და თანამიმდევრობა და იერარქია არ იქნეს დარღვეული. კონკრეტულად ერების — დიდის თუ მცირეს — დონეზე განსხვავებას მხოლოდ სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხი ქმნის: სად არის იდეალიზმი სტრატეგიის სფერო და სად — ტაქტიკისა, შესაბამისად — სად არის პრაგმატიზმი სტრატეგიის სფერო და სად — ტაქტიკისა.

მაგრამ, ყველა შემთხვევაში, დიდი ერების დიდებაში მხოლოდ პრაგმატული პოლიტიკური აზროვნების, ხოლო მცირე ერების პრობლემებში მხოლოდ იდეალისტური აზროვნების ნაყოფის დანახვა, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. რაც მთავარია, არასწორია იდეალიზმის პროდუქტიული როლის უარყოფა.

დიდ ერებს (გერმანელები, ინგლისელები, ფრანგები...) მათი მეფეების, იმპერატორების, პრეზიდენტების, მთავრობების მხოლოდ პრაგმატული საშინაო და საგარეო პოლიტიკის წყალობით არ მიუღწევიათ კეთილდღეობისათვის.

არც თუ მრავალრიცხოვანი ჯარით ევროპიდან აზიის კონტინენტზე გადასული ალექსანდრე მაკედონელი ვერ ჩაითვლებოდა პრაგმატიკოსად, ხოლო მის იდეალიზმს — მსოფლიო იმპერიის შექმნის სურვილს — უდიდესი შედეგები მოჰყვა ისტორიაში.

არც რომისკენ მიმავალი, რუბიკონზე შეჩერებული იულიუს კეისარი აზროვნებდა პრაგმატულად. იგი რომ წმინდა წყლის პრაგმატიკოსი ყოფილიყო, ალბათ რომის ჩვეულებრივ კონსულად დარჩებოდა. კეისარმა საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რომისა და მთელი მაშინდელი მსოფლიოსთვის.

ძალიან ძნელია დაამტკიცო, რომ „გერმანელი ერის უწმინდესი საღვთო რომის იმპერია" მაინცდამაინც პრაგმატული აზროვნების ნაყოფი იყო და არა იდეალისტურისა. რომის პაპთან მებრძოლი იმპერატორები პრაგმატიკოსები არ იყვნენ, ხოლო კათოლიკური ეკლესიის შიგნით დაწყებული დიდი რეფორმაცია მთლიანად იდეალისტური აზროვნების შედეგი იყო, ისევე როგორც იდეალისტი იყო მისი უპირველესი იდეოლოგი — მარტინ ლუთერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ერთ რიგით კათოლიკე წინამძღვრად მოკვდებოდა, ხოლო რეფორმაციის უდიდესი პროგრესული შედეგები კათოლიკური სამყაროსთვის განუხორციელებელი დარჩებოდა.

ინგლისის რევოლუციაც არ დაუწყიათ პრაგმატულად მოაზროვნე პოლიტიკოსებს, რომელთა წყალობითაც დაადგა ინგლისი დიდებისკენ მიმავალ ახალ გზას. ოლივერ კრომველი პრაგმატიკოსი რომ ყოფილიყო, დარჩენილ სიცოცხლეს პარლამენტში ან თავის მამულში გაატარებდა.

საფრანგეთის რევოლუციაც იდეალისტებმა დაიწყეს. ნაპოლეონ ბონაპარტიც კი, რომელმაც ფრანგ რევოლუციონერთა იდეალიზმს ზღვარი დაუდო, საფრანგეთის იმპერატორის ამპლუაში წმინდა წყლის იდეალისტი იყო — მსოფლიო იმპერიის შექმნას შეეცადა. იგი დამარცხდა, მაგრამ პროგრესული შედეგებიც ნათელია: ნაპოლეონმა, სადაც კი ფეხი დადგა, ფეოდალიზმის ნაშთები ძირფესვიანად მოსპო, ჩოლო ფრანგ ხალხს შესაძლებლობა მისცა, შეეცნო საკუთარი სულიერი და მატერიალური პერსპექტივები.

არც პირველი ან მეორე მსოფლიო ომის წინა ხანებში (ან თვით ომების მსვლელობისას) აზროვნებდნენ პრაგმატულად პოლიტიკოსები. ვილჰელმ მეორე რომ პრაგმატიკოსი ყოფილიყო, ანტანტის წინააღმდეგ ომში არ უნდა ჩაბმულიყო. ადოლფ ჰიტლერსაც არ უნდა დაეწყო 20-იან წლებში გერმანიის აღორძინებისთვის ბრძოლა.

ორივე მსოფლიო ომი იდეალისტ პოლიტიკოსთა აზროვნების შედეგი იყო.

თუ ეს აზრი სწორია, მაშინ ასეთი აზრიც უნდა ჩამოვაყალიბოთ: დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკური რუკის დადგენით პრაგმატიკოსმა პოლიტიკოსებმა იდეალისტი პოლიტიკოსების მიერ აღძრული პროცესები და ამ პროცესების შედეგები დააფიქსირეს.

შეიძლება შემდეგი ზოგადი ფორმულის გამოყვანაც: **იდეალისტები ქმნიან — პრაგმატიკოსები განამტკიცებენ.**

მსოფლიოს პოლიტიკოსთა შორის ყველაზე დიდ პრაგმატიკოსად მიჩნეული (ამ ნარკვევის დასასრულს ჩვენ შეეცდებით სხვანაირი კვალიფიკაციაც წარმოვაღგინოთ) იოსებ ჯუღაშვილიც თავისი ცხოვრების გზაზე საკმაოდ ხშირად გვეელინებოდა იდეალისტის როლში. როდესაც საქართველოდან მიდის და თავის ძალებს საერთო სარუსეთო ასპარეზზე ცდის, იგი არ არის პრაგმატიკოსი — ასეთი რომ ყოფილიყო, იგი საქართველოში დარჩებოდა და მთელ სიცოცხლეს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან უაზრო პოლემიკაში გაატარებდა, შედეგად ყველაზე დიდი, რასაც ამ შემთხვევაში მიაღწევდა, რომელიმე ქართული გაზეთის რედაქტორობა და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრობა იქნებოდა. რუსეთში (სსრ კავშირში) ქვეყნის პოლიტიკური ლიდერობისათვის მებრძოლი სტალინიც იდეალისტი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტროცკის, კამენევის, ზინოვიევის, ბუხარინის გზიდან ჩამოცილებაზე და პირველკაცობაზე არ იფიქრებდა და ეროვნებათა საქმის სახალხო კომისრის რანგით დაკმაყოფილდებოდა.

და ბოლოს (თუმცა ეს სხვა თემაა): მსოფლიო რელიგიების შექმნაში პრაგმატიზმის ნატამალიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო. პრაგმატიკოსი საერთოდ ვერ შექმნის ვერავითარ რელიგიას, მით უმეტეს — მსოფლიოს, ერთი უბრალო მიზეზის გამო: მას ხალხი არ გაჰყვება, სალხს მისწრაფება იდეალურისკენ აქვს. **და ასეთად ადამიანი მამაზეციერმა შექმნა.** ქრისტიანობის (მართლმადიდებლობის, კათოლიციზმის) და ისლამის პრაქტიკული არსებობა — ეს არის პრაგმატიზმის უარყოფის და იდეალურის ხორცშესხმისკენ დაუცხრომელი სწრაფვის გამოხატულება.

იდეალურისკენ პერმანენტული ლტოლვის კიდევ ერთი ნიმუშია კომუნიზმის იდეა. პრაგმატიკოსთა მარცხი, ან ამ იდეის სხვა მიზნებისთვის გამოყენება აქ არავითარ არგუმენტს არ ქმნის — იგი მაინც რჩება და დარჩება იდეალურისკენ სწრაფვად, რის უფლებასაც ადამიანს და კაცობრიობას ვერავინ წაართმევს. ეს იდეა ცხოველმყოფელია (და ამიტომ — საჭირო) იმ შემთხვევაშიც, როდესაც სხვა რიგის

პრაგმატიკოსები ხედავენ მის ირრეალობას, ცხოველმყოფელია იმიტომ, რომ ადამიანს სჭირდება იდეალურისკენ, მათ შორის — განუხორციელებელი იდეალურისკენ, მუდმივი, დაუსრულებელი სწრაფვა. მაგრამ ესეც სხვა თემაა...

ჩვენ უნდა დავასკვნათ: დიდი ერები, დიდი ქვეყნები, მათი მეფეები, იმპერატორები, პრეზიდენტები და მთავრობები მხოლოდ პრაგმატიზმის წყალობით არ აღწევდნენ წარმატებებს — მათ მიღწევებში იდეალიზმს, მეტი თუ არა, პრაგმატიზმის ტოლი როლი მაინც ჰქონდა. უფრო ზუსტად აზრი ჩვენ უკვე ჩამოვაყალიბეთ: პრაგმატიკოსი პოლიტიკოსები, როგორც წესი, იდეალისტი პოლიტიკოსების დაწყებულ საქმეს და მოპოვებულ შედეგებს იცავენ, ამკვიდრებენ, განავრცობენ. პრაგმატისტების ტყვეობაში რომ დარჩენილიყო, კაცობრიობა იდეალურისკენ მისწრაფებაზე დამყარებულ მუდმივ წინსვლას ვერ განახორციელებდა.

თუ პრაგმატიზმი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მრავალრიცხოვანი ერების ყოველი დიდი წარმატების ერთადერთი მიზეზი, ასევე არ შეიძლება მისი უარყოფა და იდეალიზმის აღიარება ჩაითვალოს მცირერიცხოვანი ერების, კერძოდ ქართველი ერის, ყველა უბედურების მიზეზად.

ქართველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების გადარჩენა და თვით ფიზიკური არსებობის შენარჩუნება შესაძლებელი გახდა მეტწილად პოლიტიკოსთა იდეალისტური აზროვნების შედეგად. ქართველ პოლიტიკოსთა (მეფეები, ერისმთავრები, მთავრები) აზროვნებასა და მოქმედებაში, რა თქმა უნდა, ძალიან ხშირად ვხვდებით პრაგმატიზმის გამოვლინებასაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს იდეალისტური პოლიტიკური კურსის შენარჩუნების საშუალებას წარმოადგენდა. ქართველი ლიდერები, ქართველი მეფე-მთავრები იდეალისტები რომ არ ყოფილიყვნენ, ქართველი ერი აუცილებლად გადაგვარდებოდა, აითქვიფებოდა, გაქრებოდა დიდ იმპერიებთან ჭიდილში.

უფრო მეტიც გვინდა ვთქვათ: ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა (ძვ. წ. აღ. IV-III საუკუნეები) ისეთ გეოპოლიტიკურ არეალში, როგორსაც ამიერკავკასია წარმოადგენს, თავისთავად იდეალისტური აზროვნების ნაყოფი იყო.

ძნელია ვერ იპოვო იდეალისტური საწყისები ფარნავაზ პირველის მოღვაწეობაში.

იბერიის (ქართლის) მეფე არტაგიც (ძვ. წ. აღ. I საუკუნე) არ იძლევა წმიდა წყლის პრაგმატიზმის მაგალითებს — მაშინ იგი პომპეუსს ყელზე საბელშებმული უნდა ხლებოდა. არტაგის პიროვნებაში იდეალიზმმა საბოლოოდ მაშინ გაიმარჯვა, როდესაც იბერიის მეფემ მის მიერვე დამწვარი ხიდი პომპეუსის მოთხოვნით ისევ ააგო, მაგრამ მტერს არ შეურიგდა და ომი გააგრძელა. ჰქონდა თუ არა რაიმე პერსპექტივა ჰატარა იბერიის ომს რომის უძლიერეს სახელმწიფოსთან? სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით — არავითარი. პოლიტიკური მნიშვნელობა კი ამ ომისა წარმოუდგენლად დიდი იყო: პირველი, ქართველებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ მათი სახელმწიფო არსებობს და მის არსებობას მომავალშიც რეალური საფუძველი აქვს, ხოლო ხალხს სამშობლოს დაცვის დაუოკებელი სურვილი ამოძრავებს; მეორე, რომაელები უნდა დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ მათ ომი ჰქონდათ არა გალების ტომებთან, არამედ იმ ხალხთან, რომლის სახელმწიფოებრიობა უკვე მესამე ასწლეულს ითვლის.

ქართველები პრაგმატიკოსები რომ ყოფილიყვნენ, საერთოდ არ დაიწყებდნენ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, ხოლო თუ მაინც შექმნიდნენ სახელმწიფოს, შემდეგში აიღებდნენ ხელს მოცემულ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ სივრცეში ცივილიზაციის შექმნაზე, რასაც მომდევნო საუკუნეებში მათი არსებობის შეწყვეტა მოჰყვებოდა.

რა თქმა უნდა, იმავე არტაგის მოღვაწეობაში პრაგმატული მიდგომაც ჩანს. იბერიის მეფემ მის მიერვე დამწვარი ხიდი რომაელთა მოთხოვნით მაინც ააგო. არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ ყველა ქართველი პოლიტიკური მოღვაწე გაორებული პიროვნება იყო (კონკრეტულ შემთხვევაში იგი ილია ჭავჭავაძეს გულისხმობდა).

უფრო სრულყოფილად გაორებული პოლიტიკური მოღვაწე შეიძლება დავინახოთ ეგრისის მეფის გუბაზის (VI ს) პიროვნებაში. გუბაზ მეფე რომ ორ დიდ იმპერიას, ბიზანტიასა და ირანს, შორის უაღრესად არახელსაყრელ გარემოში ჰატარა სახელმწიფოს, ეგრისის, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაზე ხელს არ აიღებს, — ეს საბოლოოდ, ზოგადად, მაინც პრაგმატიზმის უარყოფის ნიმუშია. გუბაზს არტაგზე ნაკლები შანსი ჰქონდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა. ეგრისის მეფე მაინც იბრძვის. ამ ბრძოლას იგივე პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რაც არტაგის ბრძოლას, და შედეგებიც იგივე მოჰყვა. გუბაზ მეფეს ბიზანტიელებიც სძულდა და ირანელებიც —

ქართველთა მოდგმისთვის ორიეე ერთნაირად საშიში იყო. ამიტომ მისი ტაქტიკა პრაქტიკოსის ტაქტიკაა. გუბაზის დეომა ბიზანტიელთა მხარეზე ამ ტაქტიკით იყო გაპირობებული. პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის დროსაც გუბაზი ამავე მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. ეგრისის სახალხო კრების გადაწყვეტილება ასევე პრაგმატიზმის ნაყოფია.

აქ რამდენიმე დასკვნის ფორმულირებაა საჭირო: **პირველი, პრაგმატული პოლიტიკით გუბაზ მეფე და ეგრისის სახალხო კრება იდეალისტური პოლიტიკის ნაყოფის — ეგრისის სახელმწიფოს არსებობის — შენარჩუნებას ცდილობდნენ; მეორე,** მრავალრიცხოვან ერებში პრაგმატული პოლიტიკა იდეალისტური პოლიტიკის ნებაყოფლობითი (უცხო ძალის ზემოქმედების გარეშე) უარყოფის ფონზე ყალიბდებოდა ხოლმე, როგორც სრულიად ბუნებრივი, არა ხელოვნურად თავსმოხვეული მოვლენა. ქართულ სინამდვილეში იდეალისტური პოლიტიკის შეცვლა პრაგმატულით ხშირად იძულებით (უცხო ძალის ზემოქმედებით) ხდებოდა და, ამდენად, არა ბუნებრივ, არამედ ინსპირირებულ მოვლენას წარმოადგენდა.

შეიძლება შემდეგი ზოგადი დასკვნის ფორმულირებაც: **მრავალრიცხოვან ერებში პრაგმატიზმისა და იდეალიზმის დაპირისპირება სტრატეგიის სფეროში მიმდინარეობდა, ქართველი ერისათვის ეს ტაქტიკის სფერო იყო.**

ქართველი პოლიტიკოსებისთვის იდეალიზმი რომ სტრატეგია იყო, ხოლო პრაგმატიზმი — ტაქტიკა, ეს კარგად ჩანს ვახტანგ გორგასლის (V საუკუნის მეორე ნახევარი — VI საუკუნის დამდეგი) მოღვაწეობაში. როდესაც ახალგაზრდა გორგასალი თავის ლაშქართან ერთად ირანის მოთხოვნით შუა აზიისა და ინდოეთის ლაშქრობებში მონაწილეობს, ეს პრაგმატული პოლიტიკის გამოხატულებაა. ახლა ზუსტად ძნელი სათქმელია, რა მოუტანა ქართველთა მეფეს ამ ტაქტიკურმა სვლამ (ალბათ ტახტის შენარჩუნება), მაგრამ ცხადია, რომ საბოლოოდ პრაგმატიზმში ვახტანგ გორგასალმა საქართველოს ხსნა ვერ დაინახა — ქვეყნის ხსნის სტრატეგიულ ხაზად მეფემ ირანის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა აღიარა. სხვა აზრისა რომ ყოფილიყო, ვახტანგ გორგასალი ირანის წინააღმდეგ ომს ვერ გაბედავდა და გულხელდაკრეფილი დაელოდებოდა მოვლენათა განვითარებას. მან, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, რომ სამხედრო თვალსაზრისით ომის ბედი წინასწარვე განწირული იყო. მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება

მას უკვე ჰქონდა მიღებული: პრაგმატული პოლიტიკა დაღუპავდა საქართველოს. ამიტომ მოაკვლევინა მეფემ ის, ვინც საპირისპიროდ აზროვნებდა — ვარსქენ პიტიახშში. ვახტანგ გორგასალი ირანთან ბრძოლაში დამარცხდა და დაიღუპა, მაგრამ სწორედ ირანის წინააღმდეგ ომში იქნა შენარჩუნებული და განმტკიცებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება. ვახტანგ გორგასალმა შეურიგებელი ბრძოლით გადაავადა მომდევნო ეპოქაში განხორციელებული ისეთი ღიდად უარყოფითი მოვლენა, როგორიც იყო მეფობის გაუქმება ქართლში. პრაგმატული პოლიტიკით ვახტანგ გორგასალი უკეთეს შედეგს ვერ მიაღწევდა: მეფობა ქართლში მაინც გაუქმდებოდა, და თუ არ გაუქმდებოდა, ქვეყანა სულ მალე ვარსქენ პიტიახშისთანა პრაგმატიკოსების ხელში აღმოჩნდებოდა, რაც არანაკლებ საშიში იყო. მაგრამ ამასთან ერთად აღარ გვექნებოდა ძლიერ დამპყრობელთან თავგანწირული ბრძოლის დიდი ეპოპეა, რომელიც საუკუნეების შემდეგაც კვებავდა ქართულ ეროვნულ აზროვნებას.

პრაგმატული პოლიტიკა საქართველოსთვის ზოგჯერ უბრალოდ უშედეგო და უაზრო კი არ იყო, არამედ საშიშიც ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენის თვალსაზრისით. დავით კუროპალატის პრაგმატული (პრობიზანტიური) პოლიტიკა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო ბაგრატ მესამემ (975—1014), გამართლებული იყო: ბიზანტიას შეეძლო ხელი შეეშალა საქართველოს გაერთიანებისთვის. მაგრამ მალე პრობიზანტიური პოლიტიკის დადებითი შედეგები დაჩრდილა უარყოფითმა — ბიზანტია იმპერია იყო და მეზობლად ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოს ვერ მოითმენდა. ბაგრატ მესამის პრაგმატული პოლიტიკა შეცვალა გიორგი პირველის (1014—1027) იდეალისტურმა პოლიტიკამ. გიორგი პირველმა კარგად იცოდა, რომ ბიზანტიასთან კონფრონტაცია და მითუმეტეს ომი საქართველოსთვის უპერსპექტივო იყო. გიორგი პირველს სხვა მიზანი ჰქონდა: საქართველოს უნდა დაემტკიცებინა — დაემტკიცებინა მთელი იმდროინდელი პოლიტიკურად აქტიური მსოფლიოსთვის, — რომ იგი ბიზანტიის პროვინცია არ იყო. წაგებული ომის მიუხედავად, გიორგი პირველმა ეს დაამტკიცა, რითაც დიდი სამსახური გაუწია ქართველთა ეროვნული ცნობიერების განმტკიცებასა და საქართველოს მომავალს.

კარგად ხედავდა თავისი მამის, გიორგი მეორის (1072—1089), პრაგმატული პოლიტიკის უარყოფით შედეგებს დავით აღმაშენებელი— ქვეყანა ფაქტიურად დაღუპვის პირად იყო მისული. მაგრამ პრაგმა-

ტული პოლიტიკის უარსაყოფად ჯერ დრო იყო საჭირო და რეალური, თუნდაც მცირე, არგუმენტების დაგროვება. პრაგმატულს ვერავინ უწოდებს დავით აღმაშენებლის მიერ თურქ-სელჩუკებისათვის ხარკის მიცემაზე უარის თქმას, რაც უზარმაზარი იმპერიისთვის ომის გამოცხადებას ნიშნავდა. დავით აღმაშენებლის იდეალისტური პოლიტიკა, პირველ რიგში, გიორგი მეორის პრაგმატული პოლიტიკის მარცხმა განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ თურქ-სელჩუკებთან ომში საქართველოს მეფეს წარმატებას ყველაზე დიდი ოპტიმისტებიც ვერ უწინასწარმეტყველებდნენ, ქვეყნის ხსნის სხვა გზას დავით აღმაშენებელი ვერ ხედავდა. ის, რაც საქართველომ დავით აღმაშენებლის იდეალისტური პოლიტიკით მიიღო, ვერ მიიღებდა ვერავითარი პრაგმატული ნაბიჯებით. **ეს მაქსიმუმი იყო — პრაგმატიკა მაქსიმუმზე არ არის გათვლილი.** თუმცა არც დავით აღმაშენებელი და არც თამარ მეფე არ უგულებელყოფდნენ პრაგმატიზმის საჭიროებას, ქრისტიანული და მაჰმადიანური სამყაროს შესაყარზე არსებული პატარა ქვეყნის მეფეები ხშირად იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ რეალობისათვის; ასე წარმოიშვა, მაგალითად, ქართული ტოლერანტობა.

ამიერკავკასიაში ჰეგემონიისათვის ირანისა და თურქეთის (ოსმალეთის) ხანგრძლივი მეტოქეობის პერიოდში (XVI-XVIII საუკუნეები), რასაც მოგვიანებით (XVIII საუკუნე) რუსეთის ჰეგემონისტური მისწრაფებებიც დაერთო, მთელი სისრულით გამოვლინდა ქართველ პოლიტიკოსთა აზროვნებაში იდეალიზმისა და პრაგმატიზმის დაპირისპირება. იდეალისტური პოლიტიკის ერთგულების შესანიშნავი ნიმუშია ქართლის მეფეების ლუარსაბ პირველის (1527—1556) და სიმონ პირველის (1556—1569, 1578—1600) მოღვაწეობა. უზარმაზარ იმპერიებს შეჭიდებული ეს მეფეები წინასწარვე განწირულნი იყვნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიუხედავად მრავალი მარცხისა, მათ დიდი ბრძოლა საქართველოსა და ქართველობის გადასარჩენად მაინც მოიგეს. დღევანდელი გადასახედიდანაც კი ძნელია ლუარსაბის და სიმონის იდეალისტური პოლიტიკის საპირისპირო პრაგმატული პოლიტიკის განსაზღვრა. ქართლის მეფეებს არჩევანი არ ჰქონდათ: მათ თავი უნდა გაეწირათ და გასწირეს კიდეც. მაგრამ გასწირეს არა უბრალოდ პატრიოტიზმისათვის, არამედ **იმ მაქსიმალისტური იდეისათვის, რომლის ერთგულებაშიც წყვეტილობისა და ვაკუუმის გაჩენა ისტორიის გზაზე საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის მომაკვდინებელი იყო.** ალბათ ლუარსაბ პირველისა და სიმონ პირველის

თავგანწირული ბრძოლის შედეგიც იყო ის, რომ ქართლი სამცხის მსგავსად თურქეთის ან ირანის პროვინციად არ იქცა. სამცხე ქართლთან შედარებით კიდევ უფრო უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სამცხის გადაქცევას თურქეთის პროვინციად სამცხის მთავრების პრაგმატულმა პოლიტიკამ შეუწყო ხელი.

სამცხის მაგალითი დიდი გაფრთხილება უნდა ყოფილიყო ქართველი მეფე-მთავრებისთვის. აუცილებელი იყო ერთმანეთისაგან გამიჯნულიყო პრაგმატიზმი, რომელიც, გარკვეული დათმობების მიუხედავად, საფრთხეს არ უქმნიდა ეროვნულ ცნობიერებას, ეროვნულ თვითმყოფადობას და სახელმწიფოებრივ მომავალს, და პრაგმატიზმი, რომელიც სრული და უაზრო კაპიტულაციის გზით საფრთხეს უქმნიდა ქართულ სახელმწიფოებრიობას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში პრაგმატიზმს უცხო ძალა (დამპყრობელი) ნერგავდა ინტენსიურად; ძას საქართველოს უიმედო მდგომარეობაც ასაზრდოებდა. თუ ქართველი მეფე უარს იტყოდა პრაგმატულ პოლიტიკაზე, დამპყრობელი უფრო რადიკალურ საშუალებას მიმართავდა. ასეთი საშუალება იყო ქრისტიანი მეფის ნაცვლად ტახტზე გამაჰმადიანებული ბაგრატიონის დასმა. სიმონ პირველის დატყვევების შემდეგ ირანის შაჰმა ქართლი მის გამაჰმადიანებულ ძმას დაუდ-ხანს (1569—1578) ჩააბარა. იგივე ხერხი ირანის შაჰმა 1632 წელს კვლავ გამოიყენა — ამჯერად ქართლის ტახტი სიმონ პირველის ძმის შვილმა ხოსროვ მირზამ—როსტომ-ხანმა (1632—1658) დაისაკუთრა. დინამიკაში სამეფო სახლის წინააღმდეგობის შესუსტების კვალობაზე, პრაგმატული პოლიტიკის გარდაუვალობას ნელ-ნელა აჰყვნენ ქართველი ფეოდალები — ეს ცხადად დადასტურდა 1632 წელს, როცა ქართლის თავადებმა როსტომხანს დაუჭირეს მხარი, ხოლო თეიმურაზ პირველი იძულებული შეიქნა იმერეთში გახიზნულიყო.

ძნელი დასადგენი არ უნდა იყოს, რომ ყბადაღებული ქართული ფეოდალური პარტიკულარიზმი გარკვეულწილად დამპყრობთა მიერ დანერგილი პრაგმატული აზროვნების შედეგიც იყო.

ქართული სამეფო-სამთავროების დასუსტების შედეგად (XVII—XVIII საუკუნეები) დამპყრობლები პრაგმატული აზროვნების დამკვიდრების უფრო ძლიერ საშუალებას მიმართავდნენ. ქართლისა და კახეთის მეფეებს ტახტზე ასვლის აუცილებელ პირობად უყენებდნენ

ქრისტიანობის უარყოფასა და გამაჰმადიანებას. გამაჰმადიანებული ქართველი მეფეები მეტწილად დამპყრობლის (ირანის) მოხელეების როლში გამოდიოდნენ და, ამდენად, პრაგმატიზმს ნერგავდნენ ფეოდალთა კლასშიც და მთელ მოსახლეობაშიც.

XVII საუკუნის დამდეგიდან კახეთის სამეფო დაკნინებას იწყებს — იგი დააქციეს ჯერ შაჰ-აბას პირველის, შემდეგ შაჰ-აბას მეორის ლაშქრობებმა. ამ ეპოქის პრაგმატული პოლიტიკა, ცხადია, ქართველ პოლიტიკოსთა იძულებით ნაბიჯს წარმოადგენდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს პოლიტიკა კახეთს სრული გადაგვარების საფრთხეს შეუქმნიდა. არ იყო გამორიცხული, რომ კახეთის სამეფო სამცხის საქართველოს ბედს გაიზიარებდა.

ქართველ პოლიტიკოსთა პრაგმატული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტს წარმოადგენდა ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრული (1624 წ.). ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები სწორედ პრაგმატული პოლიტიკური აზროვნების ბატონობის ეპოქაში უარყოფენ მას ხელაღებით და ირანის წინააღმდეგ აჯანყებას ბედავენ. მხოლოდ ასეთ იდეალისტურ პოლიტიკას შეეძლო კახეთის გადარჩენის საქმის დაწყება.

ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილისა და ბახტრიონის აჯანყების მიუხედავად, XVII საუკუნე მაინც პრაგმატიკოს პოლიტიკოსთა ეპოქა იყო.

უნდა აღინიშნოს აქვე ისიც, რომ, თუ წინათ პრაგმატიზმი (ვთქვათ, იბერიის მეფის არტაგისა, ან ეგრისის მეფის გუბაზისა, თუნდაც ვახტანგ გორგასლისა) იდეალისტური აზროვნების ნაყოფის (ქართული სახელმწიფოებრიობის) გადარჩენას ისახავდა მიზნად, XVII—XVIII საუკუნეების პრაგმატიზმი (ვთქვათ, ქართლის მეფის — ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზისა, ან კახეთის მეფის — დავით მეორე იმამყული-ხანისა) არ იყო გათვლილი მასშტაბურ ამოცანაზე და, საბოლოოდ, ქართულ ეროვნულ ცნობიერებას და ქართულ სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნიდა. ამგვარი პრაგმატიზმის ტყვეობაში გაატარეს ცხოვრება ქართლის მეფეებმა ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზმა (1658—1675), გიორგი მეთერთმეტემ (1676—1688, 1703—1709) და ერეკლე პირველმა ნაზარ-ალი-ხანმა (1688—1703), კახეთის მეფეებმა დავით მეორე იმამყული-ხანმა (1703—1722) და კონსტანტინე მეორემ (1722—1733). ვახტანგ მეექვსემაც კი (1703—1724), თუმცა, რაც ქართლის ჯანიშინმა და მეფემ პოლიტიკური პრაგმატიზმი

ქვეყანას ავნო, ასგზის აუნაზღაურა დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობით; რაც მთავარია, ირანის წინააღმდეგ ამბოხებით ვახტანგ მეექვსემ სცადა ზღვარი დაედო ხანგრძლივი პრაგმატული აზროვნებისათვის ქართულ სინამდვილეში.

ვახტანგ მეექვსის პოლიტიკის მარცხმა კვლავ პრაგმატიზმისკენ უბიძგა კახეთის ბაგრატიონებს — თეიმურაზ მეორეს და მის შვილს ერეკლე მეორეს. ირანის დასუსტების ფონზე კახეთის ბაგრატიონების პრაგმატული პოლიტიკა მომგებიანი იყო. მომგებიანი ჩანდა იგი არა მარტო იმიტომ, რომ თეიმურაზმა და ერეკლემ კახეთისა და ქართლის ტახტები ირანის შაჰის ნებით მიიღეს, ხოლო ერეკლე ქართლ-კახეთის მეფე ასევე ირანის დასტურით გახდა. მთავარი აქ ის იყო, რომ ირანის შაჰმა უკან დაიხია და თეიმურაზს ნება დართო ქრისტიანული წესით დაედგა გვირგვინი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში (1745 წ.) ეს არ იყო მხოლოდ სიმბოლური აქტი. მალე ირანის ნებით თეიმურაზმა და ერეკლემ ყმადნაფიცობის უფლებით მიიღეს განჯის, ერევნისა და ნახჭევანის სახანოები. უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ქართლმა და კახეთმა თავიდან აიცილეს დამღუპველი ომები ირანთან (1795 წლამდე) და თურქეთთან. ყოველივე ამის სანაცვლოდ, არც თეიმურაზ მეორეს და არც ერეკლე მეორეს ეროვნული ცნობიერების, ეროვნული თვითმყოფადობის საზიანოდ პრაქტიკულად არაფერი დაუთმიათ.

რამდენადაც წარმატებული იყო თეიმურაზისა და ერეკლეს პოლიტიკა ირანისა და თურქეთის მიმართ, იმდენად წარუმატებელი გამოდგა ასეთივე პრაგმატული პოლიტიკა რუსეთის მიმართ. ერეკლე მეორემ ვერ გაითვალისწინა, რომ რუსეთის იმპერატორი ეკატერინე მეორე და მისი კარისკაცები — საგარეო პოლიტიკის მესვეურები — უსაშველო პრაგმატიკოსები იყვნენ და, თუ რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები არ მოითხოვდა, ერთი ჯარისკაცის სიცოცხლესაც არ გამოიმეტებდნენ ქართლ-კახეთის დასაცავად. ძალა და ინიციატივა ჩრდილოელი მეზობლის ხელში იყო. როცა ერეკლე მიხვდა, რომ რუსეთისგან რეალურ დახმარებას ვერ მიიღებდა, ხოლო ირანი და თურქეთი გაანაწყენა, სცადა ლავირების დაწყება: თავიდან ჩალმა არ მოუხდია, ისე მიიბნია მკერდზე რუსული ორდენი, რითაც პრაგმატიზმი უმაღლეს რანგში აიყვანა. მაგრამ მოვლენები უკვე მისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა: რუსი პოლიტიკოსებისთვის ერეკლე მეორის

თამაში ამოცნობილი იყო; ერეკლეს ჩანაფიქრი გაშიფრა ირანისა და თურქეთის დიპლომატიამაც. სწორუპოვარმა სარდალმა წაგო...

რა თქმა უნდა, კატასტროფას, საერთოდ, ბევრი მიზეზი განაპირობებდა. ამ ნარკვევში მთავართაგან ორი ურთიერთდაკავშირებულის დასახელება შეიძლება: პირველი — საქართველოში იდეალისტური პოლიტიკური აზროვნების ტრადიციების მივიწყება (თუნდაც — დროებითი); მეორე — ქვეყნის დაქუცმაცება, რაც იდეალისტური, იერარქიულად ყველაზე მაღალი, ამოცანის დაქუცმაცებასა და დაკნინებას ნიშნავდა...

ქართული სახელმწიფოებრიობა ისტორიის კუთვნილება გახდა.

დრო განსჯისათვის ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს საკმაოდ ჰქონდათ, მთელი 117 წელი — 1801 წლიდან 1918 წლამდე. საუკუნეზე მეტი ქართულ სინამდვილეში, ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ერთმანეთს ებრძოდა იდეალიზმი და პრაგმატიზმი. XIX საუკუნის პირველი ნახევრის შეთქმულებები და აჯანყებები პრაგმატიზმის უარყოფას წარმოადგენდნენ. პროცესი ახალ სტადიაში შედის XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან. როდესაც ილია ჭავჭავაძე ხმას უსვამდა — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, იგი ტრადიციული ქართული იდეალიზმის გამგრძელებლად გვევლინებოდა. როდესაც ილია აჯანყებისაკენ არ მოუწოდებდა ერს, იგი პრაგმატიკოსი იყო. მაგრამ **პრაგმატიზმი მისთვის ტაქტიკა იყო და არა სტრატეგია; სტრატეგია გამოკვეთილი იყო — საქართველოს გადარჩენა და მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენა.** და ილია რეალური ნაბიჯების გადადგმას შეუდგა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ტრადიციული ქართული იდეალისტური პოლიტიკის გამარჯვების მომასწავებელი იყო.

დიდი ქართველი პოლიტიკოსები იდეალისტები იყვნენ მეტწილად: სახელმწიფოს შემქმნელი ფარნავაზ პირველი, რომთან მებრძოლი იბერიის მეფე არტაგი, ორი დიდი იმპერიის აგრესიისაგან ეგრისის გადარჩენისათვის მოღვაწე გუბაზ მეფე, ირანის წინააღმდეგ აღმდგარი ვახტანგ გორგასალი, ურიცხვ მტრებთან ბრძოლაში დაღუპული არგვეთის მთავრები დავითი და კონსტანტინე, ბიზანტიის იმპერიას შებმული გიორგი პირველი, დიდგორის ველზე საომრად გასული დავით აღმაშენებელი, თანამოაზრეთათვის თავგანწირული ცოტნე დადიანი, მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული ულუ დავითი, თემურ-

ლენგის ურიცხვ ლაშქარს შებრძოლებულნი — ბაგრატ მეხუთე და გიორგი მეშვიდე, დამპყრობლებთან უიმედო ჭიდილში ჩაბმულნი — ლუარსაბ პირველი და სიმონ პირველი, მღვდელი თევდორე, მარტყოფისა და მარაბდის გმირები, ქეოევან დედოფალი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი, „მგზავრის წერილების“ ავტორი და სხვები, და ბოლოს საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

მათ გვერდით იყვნენ პრაგმატიკოსები, რომელთაც თავიანთვის განკუთვნილი, მნიშვნელოვანი, ფუნქცია ჰქონდათ. (იყვნენ, რა თქმა უნდა, ცრუიდეალისტებიც და ცრუპრაგმატიკოსებიც).

ეს არის ქართველი ერის ისტორია, მისი მაგისტრალური ხაზი...

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იდეალისტური პოლიტიკა მარცხით დამთავრდა. ამ პოლიტიკის ხორცშესხმისათვის ქართველებს იმჯერად არ გვეყო ძალები. 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს კვლავ პრაგმატიკოსი ქართველები დაეპატრონნენ...

მაგრამ, შესაძლოა, ჩვენ მთლად ზუსტნი არ ვართ. შესაძლოა, უფრო ზუსტი ასეთი ფორმულირება იქნება: 1921 წელს დამარცხება წინასწარ იყო ობიექტურად უანპირობებული, განაპირობა იგი იმ გარემოებამ, რომ წინამავალი დიდი მარცხის შემდეგ გამარჯვებისათვის დრო ჯერ არ იყო დამდგარი, ის გამარჯვება, როგორც დამაგვირგვინებელი ეტაპი, არ იყო შედეგი შინაგანი, ბუნებრივი განვითარებისა — იგი ჩვენს გარეთ განხორციელებულმა დროებითმა განვითარებამ მოიტანა; ეს ქმნიდა გარკვეული ხელოვნურობის მომენტს, რაც რეალობაში იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეყანა თვითონ, შინაგანად, ჯერ არ იყო მომზადებული ამ ეტაპისათვის, არც გარეთ იყო შექმნილი შესაბამისი პირობები, სხვა სიტყვებით — გამარჯვება ნაადრევი იყო. პრაგმატიკოსების მოსვლა ბუნებრივი იყო.

როგორც ჩანს, პრაგმატიკოსები ორ შემთხვევაში მოდიან ბუნებრივად. **პირველი — როდესაც განხორციელდება იდეალისტების მიერ ჩაფიქრებული და დაწყებული საქმე, და დგება სტაბილიზირების, მოპოვებულის შენარჩუნებისა და განმტკიცების ამოცანა. მეორე — როდესაც ამ საქმის დაგვირგვინება დროზე ადრე ხორციელდება, რაც მარცხს იწვევს, და დგება იდეისა და შესაბამისი გეგმის შენარჩუნე-**

ბის ამოცანა, რასაც ტაქტიკური უკანდახევისა და დათმობების ეტაპი მოაქვს. ორსავე შემთხვევაში იდეალისტური, ე. ი. მაქსიმალიზმზე გაანგარიშებული, პოლიტიკა არააქტუალური ხდება, ოღონდ პირველ შემთხვევაში — იმის გამო, რომ იგი მიღწეულია, მეორე შემთხვევაში — იმის გამო, რომ იგი ამ ეტაპზე არარეალურია. ამიტომ, თუ უფრო ზუსტნი ვიქნებით, პირველ შემთხვევაში იდეალისტურ პოლიტიკას პრაგმატული ცვლის, მეორე შემთხვევაში — იდეალისტებს ცვლიან პრაგმატიკოსები.

საქართველოში მაშინ პრაგმატიკოსებმა აიღეს ინიციატივა ხელში. უფრო სწორედ — საქართველოსთვის, რადგანაც ამ პოლიტიკის ავტორი და რეალიზატორი მოსკოვში მყოფი იოსებ სტალინი იყო.

თუ მთელი ეს მჯელობა სწორია, მაშინ ჩვენ, ერთი მხრივ, კარგად გვესმის ოპონენტების ემოციები, მაგრამ, მეორე მხრივ, უნდა გავაკეთოთ სამწუხარო კონსტატაცია, რომ ის კონკრეტული რეალობა, რომელმაც ერთ-ერთი შედეგი შექმნა და ათასობით ადამიანის პირად ტრაგედიაში გამოიხატა, ისტორიისათვის და იდეალისტური პროგრამისათვის პროცესის მხოლოდ დანახარჯებს წარმოადგენს, — ასეთია, სამწუხაროდ, ყველა ისტორიული პროცესის, კერძოდ — მაქსიმალისტური გეგმის განხორციელების სქემის, არსი: უდანახარჯებოდ და უდანაკარგებოდ იგი არ განხორციელდება, მისი რეზულტატები მომავალს ეკუთვნის და არა აწყმოს, იგი დაუნდობელიცაა. ისტორიამ, კერძოდ — საქართველოს ისტორიამაც, სტალინის გარდა პრინციპული პროგრამის განმახორციელებელთაგან სხვა დაუნდობელი ფიგურებიც იცის.

ყველაფერი ეს ნიშნავს არა იმას, რომ სტალინი ჟორდანიას პრინციპული მოწინააღმდეგე იყო, არამედ იმას, რომ ორივეს ერთი საბოლოო მიზანი ჰქონდა, ოღონდ — აბსოლუტურად განსხვავებული ტაქტიკა; თავისას განახორციელებდა ის, ვინც მეორეს არ დაუტოვებდა განხორციელების შანსს.

რა განაპირობებდა პრაგმატული (დროებითი) მოქმედების აუცილებლობას?

1. საქართველოს და ქართველობის იდეის გადარჩენის საქმე წინა თაობამ — ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა — განახორციელა: ქართველი ერი, როგორც ერთი საერთო ინტერესით მოაზროვნე ერთიანობა, აღორძინებული იყო; 1918 წელს არსებობდა სრულიად საქართველოს ცნება. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ვითარება,

პირველ ყოვლისა, განეკუთვნებოდა პოლიტიკური აზროვნების სფეროს, რაც შეეხება მთლიანად ქართველობას, ყველა კუთხეს, ყოველ ელემენტს, მთელ მოსახლეობას (და ბოლოს, ყველა მოქალაქეს, ეროვნების მიუხედავად), აქ ჯერ კიდევ იყო დასაძლევი სიძნელეები, კერძოდ: ა) კუთხური გაუცხოების ნაშთები, ბ) სოციალური დიფერენ[ცირების ელემენტები, გ) სხვატომელთა მენტალიტეტი. საბოლოოდ, ერის და ქვეყნის პრაქტიკული გამთლიანება ჯერ კიდევ არ ქმნიდა ისეთი ხარისხის სიმყარეს, როდესაც გარკვეული სიძნელეების, გართულებების შემთხვევაში არასასურველი რეციდივები აღარაა მოსალოდნელი (გავიხსენოთ დღევანდელი მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი).

2. ქვეყნის რეალურად დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის საჭირო ან სასტარტო პოზიციები ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობაში, საფინანსო და ა. შ. სფეროებში ფაქტიურად ნულოვანი იყო (გავიხსენოთ ისევ —აქაც და ქვემოთაც — დღევანდელი მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი); ამავე დროს, ამოცანა გულისხმობდა მე-20 საის მიღწევების, ტექნოლოგიების და ა. შ. დონეს; სხვათაშორის, იგივე ამოცანა ედგა კულტურის სფეროსაც.

3. რაც განსაკუთრებით საშიში იყო, რუსეთის 1917 წლის მოვლენების შემდეგ საქართველო უცხო, მძლავრი თუ მეორეხარისხოვანი, ქვეყნების ეგოისტურ პოლიტიკაში გასათამაშებელი ბანქოს ქაღალდი შეიქმნა. აქ არა მარტო რუსეთისა და თურქეთის უშუალო ინტერესების განსახორციელებელი პოლიგონი იყო, — აქ მოქმედებდნენ ევროპული ინტერესებიც, ადგილობრივი, მეზობელი ქვეყნების, ინტერესებიც, იყო ინტერესთა გადახლართვაც, იყო შეჯახებაც. საქართველო ფაქტიურად პასიური დამკვირვებლის როლში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო, ხოლო მოსალოდნელ შედეგებში ტერიტორიების დაკარგვაც იგულისხმებოდა, თუ მეტი არა. საბოლოო ამოცანას წარმოადგენდა ტერიტორიის დამკვიდრება — არსებული პრეტენზიების ბლოკირება და მომავლის პრეტენზიების ნეიტრალიზება.

4. კიდევ რამდენიმე ამოცანა: საზღვრების გაწმენდა-გამაგრება — შიგნიდანაც და გარედანაც; დემოგრაფიული პრობლემების მოგვარება ქვეყნის ზოგ რაიონში (მათ შორის — დედაქალაქში) და სხვ.

მთავარ პრობლემას, რა თქმა უნდა, რუსეთის იმპერიული მადა ქმნიდა — მისი მთლიანად უკუგდება ამ ეტაპზე არარეალური ჩანდა (ხოლო გადაჭრითი ცდა — საშიში, პერსპექტივის პოზიციებიდან),

მაგრამ რეალური იყო ამ მადის დაკმაყოფილების ოპტიმალური (ჩვენი პერსპექტივის ვერმომსპობი) ვარიანტის მონახვა. ანტანტამ საქართველო და მთლიანად კავკასია უკვე სცნო რუსეთის ინტერესების სფეროდ...

ერთი სიტყვით, ახალ ეტაპზე საქართველო შესაქმნელი იყო. ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოს შექმნა არა ფორმალურად (რაც შეიძლება დროებითი ყოფილიყო), არამედ საბოლოოდ — უდანაკარგებოდ (ტერიტორიები და ა. შ.) და პერსპექტივაში შეუქცევადად. ეს იყო პროცესი, დროში განფენილი.

რამდენად სწორად აზროვნებდა სტალინი, ამას საბოლოოდ მომავლის ანალიტიკოსები განსაზღვრავენ, მაგრამ ფაქტია, რომ მან, ფიგურალურად თუ ვიტყვით, საქართველო იძ ნერვად მიიჩნია, რომელსაც ჯერ საათბური ესაჭიროებოდა და მხოლოდ შემდეგ — გარეთ, ჰაერზე, გამოტანა. ეს საათბური საბჭოთა კავშირი იყო.

იმ ოპონენტთა საყურადღებოდ, რომლებიც გაავლებენ, ეროი შეხედვით, ჩვენს მსჯელობათა საწინააღმდეგო პარალელებს, ვიტყვით შემდეგს: ერეკლე მეფის და მისი წინამორბედების პრაგმატიზმმა ჯერ ქართლ-კახეთი, შემდეგ ქვეყანა, როგორც ასეთი, გააუქმა და მომდევნო თაობებს ერთადერთი, ყველაზე კნინი, ამოცანა დაუტოვა: ქვეყნის, საქართველოს იდეის — ჯერ იდეის — აღორძინება; სტალინის პრაგმატიზმი იდეალისტური გეგმის ელემენტი იყო, მან შექმნა სახელმწიფო: მართალია — საბჭოთა სოციალისტური, მაგრამ — საქართველოს რესპუბლიკა, რომლის საზღვრები მტკიცედ იყო გავლებული რუკაზე, ხოლო შიგნით მიმდინარე აღმშენებლობითი, კომპლექსური პროცესები ობიექტურად ამზადებდნენ სუვერენული არსებობისათვის სასტარტო პოზიციებს.

როგორც ითქვა, ეს პროცესი დროს საჭიროებდა. სხვათაშორის, დღეს ჩვენ, ამ პროცესის პოზიციებიდან, ჯერ კიდევ დასამტკიცებელი გვაქვს, რომ დრო, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა, ჩვენთვის და ჩვენი მიზნებისთვის საკმარისი იყო.

პრაგმატული პოლიტიკა, რომელიც 1921 წლიდან ხორციელდებოდა,შედეგთა ისეთ ჯამს ქმნიდა, როდესაც საბოლოო მიზანი დამახსოვრებული იყო (დამახსოვრებული — ერთი კაცის მიერ, სხვები თავ-თავიანთ ფუნქციებს ასრულებდნენ, ზოგი კარგ საქმეს აკეთებდა, ზოგი — ცუდს). პრაგმატიკოსი სტალინი მაქსიმალისტურ, გარეშე თვალისათვის — განუხორციელებელ, ამოცანას ემსახურებოდა, რას-

ეც ჩვენ, როგორც მკითხველი დიდი ხანია მიხვდებოდა, იდეალისტ-ურ პოლიტიკურ აზროვნებას ვუწოდებთ.

მცირერიცხოვანი ერების ისტორია თავისი სპეციფიკური კანონზომიერებებით ვითარდება. ქართველ პოლიტიკოსთა იდეალიზმი განპირობებული იყო დღევანდელობამდე ამოსული ჩვენი ისტორიის ერთადერთი მუდმივი პრობლემით: სახელმწიფოებრიობის გადარჩენის — აღდგენისა და შენარჩუნების — პრობლემით; პრაგმატიზმი გარკვეული ეტაპების ტაქტიკა იყო. ძალიან ხშირ შემთხვევაში იდეალიზმს ქვეყნის უიმედო მდგომარეობა კვებავდა, ასევე ძალიან ხშირად პრაგმატიზმს — იძულება, უცხო ძალების ზეწოლა. ყველაფერი ეს ქმნიდა ერის ტრაგედიას. ქართველ ერს ხანგრძლივად, დამშვიდებით არ შეეძლო ეცხოვრა პრაგმატული პოლიტიკით — ამ დროს გადაგვარებისა და სახელმწიფოებრიობის მოსპობის საფრთხე იქმნებოდა. არჩევანი არ არსებობდა. ეს უკვე ქართველ პოლიტიკოსთა ტრაგედია იყო.

და ბოლოს: ჩვენი დღევანდელობა ახალ ისტორიულ ზღურბლს ქმნის. ჩვენ შეგვიძლია დავაგვირგვინოთ პროცესი. ჩვენ ისიც შეგვიძლია, რომ ახალი პოლიტიკური აზროვნება შევქმნათ.

დღეს ჩვენ არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში იდეალისტი და ცრუ-პრაგმატიკოსი, ასევე — პრაგმატიკოსი და ცრუიდეალისტი;

დღეს ჩვენ არ უნდა დავარქვათ რეალიებში გარკვეულ პრაგმატიკოსს მტერი, ასევე არ უნდა დავარქვათ მტერი საბოლოო მიზნის რეალობაში დარწმუნებულ იდეალისტს;

დღეს ჩვენი მთავარი ამოცანაა, წინა საუკუნეში აღორძინებულ იდეალისტურ პროგრამას მეორე მარცხიანი რეალიზაცია არ შევუქმნათ. ჩვენ არ უნდა ვათქმევინოთ შთამომავლობას, რომ იდეალისტური მიზნის ხორცშესხმისათვის ძალები არ გვეყო, ხოლო პრაგმატული პოლიტიკა გადაგვარებით დაგვემუქრა. რომ გზა (მესამე?) ქართველმა პოლიტიკოსებმა ვერ იპოვეს...

საქართველო და საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა

„ორ ზღვას შუა ძველისძველად
საომარი იყო ლელო“.

„საქართველოს ისტორია არის მცირერიცხოვანი ერის ისტორია. მცირერიცხოვანმა ერმა თავისი განვითარების შესაბამისი კონცეფცია უნდა შეიმუშავოს. არ იქნება კორექტული ვეძებოთ ჩვენს ისტორიაში ბუნებრივი ეტაპები ზესიძლიერისა და მხოლოდ რაღაც უკულმართობით განპირობებული სიდუხჭირის საფეხურები. ეს არის ერთი მთლიანი ისტორია მცირერიცხოვანი ერისა, რომლის ფუნდამენტური საზრუნავი ყოველთვის იყო გადარჩენა და თვითმყოფადობის შენარჩუნება, და ამ გზაზე, ერთი მხრივ, ყოველნაირი ეტაპებია ბუნებრივი, მეორე მხრივ, არ არის მოსალოდნელი განუზომელი და ყოვლისმომცველი დღესასწაული, როდესაც ეროვნული და პოლიტიკური დარდი და საზრუნავი ამოწურული იქნება, — ამოცანა, მდგარი მცირერიცხოვანი ერის წინაშე, ყოველთვის სპეციფიკურია. (...) საქართველოს ისტორია უმეტესწილად კატასტროფის ან უბედურების საფრთხის წინაშე მდგომი ერის ისტორიაა, რომელსაც გმირული ენერგიის უკიდურესი კონცენტრაცია იხსნიდა ხოლმე, ან სასწაული, მაგრამ — სასწაული კანონზომიერი. და ჩვენი არსებობის — მცირერიცხოვანი ერის არსებობის — სტრატეგია შესაბამისი იყო.

(...) საქართველოს ისტორია არის იმ მცირერიცხოვანი ერის ისტორია, რომელსაც ყველაზე ხშირად უხდებოდა გამოსავლის გამონახვა ვეშაპთა ჭიდილში და მოვლენათა მისგან დამოუკიდებელ ცვლაში. ამიტომ უნივერსალურ სტრატეგიას წარმოადგენდა გონიერი მანევრირება“ (ა. სილაგაძე, „რანი ვყოფილვართ... რანი ვართ... რანი ვიქნებით“. სტატია პირველად დაიბეჭდა 1988 წ. დეკემბერში;

შემდეგ იხ. წიგნში — ა. სილაგაძე, საქართველო 88—90, თბ. 1992, გვ. 28—29).

საყოველთაოდ მიღებული ფორმულით, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, გეოპოლიტიკურ ადგილს ერთი მთავარი ფაქტორი განაპირობებდა — დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ანუ ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სამყაროთა, მიჯნაზე მდებარეობა.

ეს სწორიცაა და არასწორიც. ნოე ჟორდანიას, მაგალითად, მიაჩნდა, რომ ლაპარაკი უნდა იყოს არა მარტო დასავლეთსა და აღმოსავლეთზე, არამედ ჩრდილოეთსა და სამხრეთზეც.

სწორია ეს ფორმულა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, მთელი ისტორიის გლობალური დანახვისას, ამ ფორმულაში უფრო სრულ და ფართე, ზოგად, შინაარსს ვიგულისხმებთ: საქართველო საერთოდ იყო მიჯნაზე; ერთი მხრივ, იგი იყო (და არის) სპეციფიკური ქვეყანა, ორ სამყაროს შორის მდებარე, ორი სამყაროს შეხვედრის ადგილი, გარკვეული სახით — ევრაზიული ცივილიზაციური ხიდი; მეორე მხრივ, მის სახელმწიფოებრივ სახეს და პოლიტიკურ ბედს ყოველთვის — და არა მხოლოდ ქრისტიანობასა და მაჰმადიანობას შორის საზღვრის გაჩენის შემდეგ — განაპირობებდა მიჯნაზე ყოფნა, და მას, ამ მიჯნას და ამ საზღვარს, ქმნიდა კომპლექსი გეოგრაფიული, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური შესაყარებისა ისე, რომ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეპოქაში, რეალიზაცია იყო მეტ-ნაკლებად სხვადასხვაგვარად აქცენტირებული; მაგრამ ყველა შემთხვევაში ტიპოლოგიურად ერთი იყო — ან უნდა ყოფილიყო — საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არსებობის ეროვნული კონცეფცია, რომელსაც სწორედ მიჯნის ფაქტორი უნდა გაეთვალისწინებინა; კერძოდ — გაეთვალისწინებინა ორი მთავარი, ღერძული მომენტი: ერთი — დიდ სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთა, მეორე — ცივილიზაციის სხვადასხვა დონეთა გადაკვეთა.

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი საკითხი. განპირობებულობა აქ ორმხრივი იყო: მიჯნის ფაქტორი, ერთი მხრივ, განაპირობებდა ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური აზროვნებისა და პოლიტიკურ ქმედებათა არსს, მეორე მხრივ, განაპირობებდა სხვადასხვა ინტერესთა და ცივილიზაციის სხვადასხვა დონეთა მატარებელი ქვეყნებისა და ხალხების დამოკიდებულებას ჩვენი სახელმწიფოს მიმართ, როგორც შესაყარზე მდებარე და, შესაბამისად, ვარკვეული სტრატეგიული გასაღების მფლობელი, ქვეყნის მიმართ.

რაც შეეხება გასაღებს, მისი კონკრეტული, მატერიალიზებული გამოხატულება იყო ორ ზღვას შორის ყოფნა და დარიალის კარის მფლობელობა.

თავდაპირველად (ძვ. წ. აღ. I ათასწლეულის შუა ხანები — ახ. წ. აღ. პირველი საუკუნეები) ჩვენს სახელმწიფოებრივ ბედს მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ერთი სერიოზული ფაქტორი — ჩამორჩენილი, ველურ მდგომარეობაში მყოფი, მომთაბარე, სახელმწიფოებრიობის არმქონე ჩრდილოეთის და განვითარებული, სახელმწიფოებრიობის მქონე, ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული სამხრეთის (ახლო აღმოსავლეთის) საზღვარზე არსებობა. ამ ფაქტორმა სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა ქართველ ტომთა უძველესი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები — დიაოხი და კოლხა (ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის დასასრული — I ათასწლეულის შუა ხანები).

აღმოსავლეთის უძველესი ცივილიზაციის ხალხებს — ხეთებს, მითანელებს, ასურელებს, ურარტუს და ეიდიის სახელმწიფოებს (ძვ. წ. აღ. II — I ათასწლეული) დიდი საფრთხე შეუქმნეს ცენტრალური აზიიდან გამოსულმა მომთაბარეებმა. ძვ. წ. აღ. I ათასწლეულში და ახ. წ. აღ. პირველ სუკუნეებიდან მოყოლებული, შეინიშნება ხალხთა დიდი მოძრაობა ცენტრალური აზიიდან დასავლეთით, კერძოდ — კიმერიელების, სკვითების, ჰუნების, ალანების, პაჭანიკების, ხაზარების, ყივჩაღებისა (და, ბოლოს, XIII საუკუნეში, მონღოლებისა). ეს მომთაბარე ხალხები ცენტრალური აზიიდან ე. წ. „ვაკეების დიდი გზით“ მოდიოდნენ დასავლეთის მიმართულებით და ცივილიზებული სამყაროსათვის საცნაურნი ხდებოდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მდინარეებს ვოლგასა და დონს გადმოლახავდნენ და რეალურად დაემუქრებოდნენ მაღალი კულტურის სახელმწიფოებს, მაგალითად — საბერძნეთსა და რომს. უფრო მეტ საფრთხეს ეს ხალხები (კიმერიელები და სკვითები) ძვ. წ. აღ. I ათასწლეულში სამხრეთის (ძველი აღმოსავლეთის) კულტურულ სამყაროს უქმნიდნენ. ვაკეებით ცენტრალური აზიიდან შედარებით იოლად მოსული ველური მასა ვოლგის გადალახვის შემდეგ პრობლემის წინაშე დგებოდა: დასავლეთის მიმართულებით გზის გაგრძელებას აძნელებდა კარპატების მთები; სამხრეთით გაჭრას ხელს უშლიდა კასპიის ზღვა, კავკასიონის მთავარი ქედი, შავი ზღვა და ბალკანეთის მთები; ჩრდილოეთით გადაადგილება სულაც არ იზიდავდა მომთაბარეთ — მკაც-

რი კლიმატური პირობები და შეზღუდული საარსებო საშუალებანი სტიმული ვერ იქნებოდა ათასობით კილომეტრის გაელისათვის, მით უფრო, რომ ცოტა მოგვიანებით (ახ. წ. აღ. პირველი საუკუნეები) ჩრდილოეთიდან, პირიქით, სამხრეთისკენ და სამხრეთ-დასავლეთისკენ დაიწყეს მოძრაობა სლავურმა ტომებმა და ნორმანებმა. ასეთ ვითარებაში ცენტრალური ახიიდან მოსული მომთაბარეები — კიმერიელები და სკვითები — კასპიის ზღვასა და კავკასიონის მთავარ ქედს შორის არსებულ ვიწრო ზოლში გაიჭრნენ და სასიკვდილო საფრთხე შეუქმნეს მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციას. გზა ქართულ მიწებზე გადიოდა. ასე რომ, ჯერ კიდევ სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარიჟრაჟზე ქართველთა წინაშე უმწვავესად დადგა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. ეს არ იყო უბრალოდ საგარეოპოლიტიკური კურსის არჩევის პრობლემა. ეს იყო ყოფნა-არყოფნის საკითხი. თუმცა ისიც ფაქტია, რომ საქართველოსთვის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ყოველთვის, ყველა ეპოქაში, ყოფნა-არყოფნის საკითხი იყო.

ასევე გარიჟრაჟზე ჩვენი სახელმწიფოებრიობისა ფაქტი შეიქნა ის, რომ თავიანთ პოლიტიკურ თამაშებში ამიერიდან ქართველებს გასათვალისწინებელი ჰქონდათ ველური ჩრდილოეთის პრობლემა, რომელთანაც ობიექტურ და უშუალო მიმართებაში წყდებოდა პოლიტიკური სვლების არჩევა (ეს მოცემულობა შემდეგაც გადაჰყვა ჩვენს ისტორიულ ბედს).

ამიერკავკასიაში კიმერიელების გამოჩენის დროისათვის (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) დიაოხს და კოლხას დიდი ომები ჰქონდათ გადახდილი ურარტუსთან. დიაოხი ამ ბრძოლას შეეწირა, მისი ტერიტორიის ნაწილი ურარტუმ დაიპყრო, ნაწილი კოლხამ შეიერთა. ძვ. წ. აღ. VIII საუკუნეში კიმერიელებმა კოლხაც დაამარცხეს, დაეცა მეორე ქართული სახელმწიფოც. შეიქმნა კრიტიკული მდგომარეობა: აღარ არსებობდა ორი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება, სამხრეთიდან ქართული ტერიტორიების ხელში ჩაგდებას ცდილობდა ურარტუ, ძლიერდებოდა ურარტუს მეზობელი მიდიის სახელმწიფო. ასეთ ვითარებაში ძვ. წ. აღ. VIII საუკუნის ბოლოს ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ სკვითები. დღეს ჩვენთვის უცნობია იმ ჩვენი შორეული წინაპრების — პოლიტიკოსის თუ პოლიტიკოსთა ჯგუფის — ვინაობა, რომელთაც კიმერიელების გამანადგურებელი ლაშქრობისგან გაჩანაგებულ და პოლიტიკური არჩევანის პრობლ-

ემის წინაშე პრაქტიკულად პირველად დამდგარ თანამოძმეთ შესთავაზეს გეგმა — მიდიელებთან და სკვითებთან ერთად ებრძოლათ ურარტუს წინააღმდეგ, რადგან სწორედ ურარტუ წარმოადგენდა ყველაზე დიდ საფრთხეს ქართველთათვის. ძვ. წ. აღ. 590 წელს მიდიამ ქართველებთან და სკვითებთან კავშირში მოსპო ურარტუს სახელმწიფო, რომელმაც ვერ გაუძლო ორმაგ დარტყმას: ჩრდილოეთიდან — ქართველებისა და სკვითებისას, სამხრეთიდან — მიდიელებისას. მიდიელების მიერ ქართველთა მიმხრობა მიდიის დიპლომატიის წარმატება იყო, მაგრამ ქართველების მიერ ურარტუს წინააღმდეგ სკვითების გამოყენება უკვე ქართული დიპლომატიის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ასე და ამგვარად, უკვე ძვ. წ. აღ. I ათასწლეულის შუა ხანებში ქართულმა დიპლომატიამ შეძლო გამოეყენებინა ჩრდილო კავკასიის მთისწინეთში თავმოყრილი, დიდი დამანგრეველი უნარის მქონე ველური ხალხების ძალა საკუთარი ინტერესებისათვის. თუ უფრო ზოგადად შევხედავთ — შეძლო გამოეყენებინა თავისი გეოპოლიტიკური როლი და მდგომარეობა.

ამ საკითხს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა იბერიის (ქართლის) სამეფოს წარმოშობის პერიოდში (ძვ. წ. აღ. IV—III საუკუნეები). იყო თუ არა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარი იბერიაში და მართლა დატოვეს თუ არა მაკედონიელებმა მცხეთაში თავიანთი სარდალი აზო, საპოლემიკო საკითხია. მაგრამ ამ ამბებთან დაკავშირებით ქართველი მემატიანეს ცნობა იმის შესახებ, რომ დამპყრობთა წინააღმდეგ აჯანყებულმა ფარნავაზმა ჩრდილო კავკასიის მთისწინეთში მომთაბარე ტომები გამოიყენა, ძალზე საგულისხმოა ჩვენთვის. მაშინ ფარნავაზი სხვა მოკავშირეს ვერ იპოვნიდა (თუ არ ჩავთვლით ეგრისის სამეფოს), რადგან იმჟამინდელი ქვეყნები მაკედონიელთა მიერ იყო დაპყრობილი. სამაგიეროდ, შეიძლებოდა ჩრდილო კავკასიის მთისწინეთში აღმოსავლეთიდან მოსული მომთაბარეების გამოყენება, მით უმეტეს, რომ ჩრდილო კავკასიიდან მთავარი გადასასვლელის — დარიალის კარი ქართველებს ეკავათ და კონტროლს უწევდნენ ამ ხალხების მოძრაობას სამხრეთისაკენ. ეს დიდ უპირატესობას აძლევდა იბერიის მეფეს. **ქართველები აკონტროლებდნენ მთავარ გზას, მათ შეეძლოთ სამხრეთიდან აგრესიის შემთხვევაში დარიალის კარი გაეხსნათ და მეგზურობაც გაეწიათ**

სამხრეთისაკენ დაძრული დამანგრეველი მასისათვის. ფარნავაზმა ეს უპირატესობა მარჯვედ გამოიყენა.

რომაელთა დაპყრობების დაწყებისთანავე (ძვ. წ. აღ. I საუკუნე) საქართველოს საგარეო პოლიტიკა დიდი საერთაშორისო პოლიტიკის ნაწილად იქცა. რომის აგრესიას იბერია წინ ვერ აღუდგებოდა. ძვ. წ. აღ. I საუკუნეში რომაელებმა იბერია დაიპყრეს, მაგრამ იბერიის მეფეს არტაგს ურჩობაც აპატიეს და რომის მოკავშირეც და მეგობარიც უწოდეს. იბერიის სამხედრო ძლიერება და ეკონომიკური პოტენციალი რომაელებს, რა თქმა უნდა, ვერ შეაშინებდა. იბერია ამ თვალსაზრისით რომისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა, მაგრამ რომის პოლიტიკოსებსა და სარდლებს სხვა რამ აშინებდათ: იბერიელებს დარიალის კარი არ გაეხსნათ და რომის აზიურ სამფლობელოში არ შეეშვათ ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე ხალხები (მით უფრო, რომ რომის სამფლობელოები ევროპაში — ბალკანეთში — უკვე იზიდავდა ამ ხალხებს). ასეთ ვითარებაში რომის დიპლომატია თავის გამარჯვებად მიიჩნევდა იბერიის მეფეთა დასტურს ჩაეკეტათ ჩრდილოეთიდან, კავკასიიდან, გამოსასვლელი გზები. ასე რომ, დამარცხების შემთხვევაშიც კი იბერიის მდგომარეობა უიმედოდ არ გამოიყურებოდა — ქართველებმა ჩრდილო კავკასიის მთისწინეთში მომთაბარე ხალხების ფაქტორზე პოლიტიკური თამაშით სოლიდური დამცავი ფარი შეიქმნეს.

ეს იყო მაშინაც და შემდგომაც ქართული პოლიტიკის ალფა და ომეგა — ქვეყნის სტრატეგიულად ხელსაყრელი (თუმცა რთული და სახიფათო) მდებარეობის გონივრული გამოყენება. საბოლოოდ, უკვე ძველი და ახალი წელთაღრიცხვების საზღვარზე ცხადი გახდა: ერთი მხრივ, გეოგრაფიული მდგომარეობა, რომელსაც ეფუძნება გეოპოლიტიკა, ქვეყანას რთულ პრობლემებს უქმნიდა, კერძოდ — განაპირობებდა აქ რომაელი დამპყრობლების მოსვლას, მეორე მხრივ, იგივე მდგომარეობა ქმნიდა სტაბილიზაციის მექანიზმს, კერძოდ — საშუალებას აძლევდა იბერიის მეფეებს მოეხდინათ სამხედრო მარცხის კომპენსირება: რომაელები ბევრ რასმე დათმობდნენ, თუ იბერია კავკასიის კარებს დახურავდა და გართულებებს ააცილებდა მათ.

...დღეს, საუკუნეთა გადასახედიდან, რა თქმა უნდა, ძალიან ადვილია განუსაზღვრო ჩვენს წინაპრებს მთავარი, გლობალური ამოცანა, სამერმისო ამოცანა: დასწრებაზე თამაში — ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის კარების გასაღებს ყოველთვის, თავიდან, უნდა

ეჟღარუნა და არა მოვლენათა განვითარების, მომხდარი ფაქტების, კვალდაკვალ...

პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი კლასიკური სახით ქართველ პოლიტიკოსთა წინაშე დადგა მას შემდეგ, რაც III საუკუნიდან ამიერკავკასიაში რომს სასანიდთა ირანის ძლიერი სახელმწიფო დაუპირისპირდა. რომის იმპერიის (IV საუკუნიდან აღმოსავლეთ რომის იმპერიის — ბიზანტიის) და ირანის ხანგრძლივ ბრძოლაში პატარა საქართველოსთვის არჩევანის გაკეთება, რა თქმა უნდა, ძნელი იყო. ირანის ინტერესები ამიერკავკასიაში უფრო რეალური ჩანდა, ვიდრე ბიზანტიისა, — რომის იმპერია ორად გაყოფის მომენტისთვის (IV საუკუნე) უკვე დასუსტებული იყო, მით უფრო სუსტი იყო მისი აღმოსავლეთი ნაწილი, ბიზანტია. სწორედ ამიტომ ვახტანგ გორგასლის პოლიტიკური ორიენტაცია — მეგობრული ურთიერთობის დამყარება ირანთან სწორი გადაწყვეტილება იყო. მეორე მხრივ, ისიც ცხადი იყო, რომ ეს დოგმა არ უნდა ყოფილიყო. ვახტანგ გორგასალმა შეძლო თავისი ძალაუფლების განმტკიცება, მაგრამ მალე ქრისტიანული ქართლის მაზდეანურ ირანთან ურთიერთობაში ქართლის მეფემ სასიკვდილო საფრთხე დაინახა და პოლიტიკური ორიენტაცია შეცვალა — მოკავშირედ ბიზანტიის იმპერია დასახა. ირანის მხრიდან საფრთხე იმდენად ძლიერი იყო, რომ გორგასალმა, ეგრისში ბიზანტიელთა თვითნებობის მიუხედავად, მაინც ბიზანტიური ორიენტაცია აირჩია.

ვახტანგ გორგასალი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო იმანაც, რომ ქართლის მეფეს ჩრდილოეთ კავკასიის ფაქტორის გამოყენების საქმეში გართულებები შეუქმნა ალანთა (ოვსთა) შემოჭრამ ქართლის სამეფოს საზღვრებში. თუ ქართველი მეფეები ერთ დროს რომის იმპერიის დიპლომატიასთან ურთიერთობაში მარჯვედ იყენებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთში მომთაბარე ხალხებს, ვახტანგ გორგასალს ამ შემთხვევაში, პირიქით, თავსატეხი გაუჩნდა. ალანებმა, რომლებიც ხანგრძლივი გადაადგილების (მომთაბარეობის) შემდეგ ჩრდილო კავკასიის მთისწინეთში დამკვიდრებას ცდილობდნენ, თვალი დაადგეს საქართველოს (ქართლს). ვახტანგ გორგასალმა ჩრდილოეთიდან წამოსული საფრთხე დროზე შენიშნა, ალანები სასტიკად დაამარცხა და დარიალის კარი საიმედოდ ჩაკეტა.

ბიზანტიისგან რეალური დახმარების მიუღებლობის შემთხვევაში ვახტანგ გორგასალი ირანს ვერ გაუმკლავდებოდა. ასეც მოხდა: ვახტანგი დამარცხდა, ქართლში ირანი გაბატონდა.

532 წელს „საუკუნო ზავით" ბიზანტიამ და ირანმა გაიყვეს გავლენის სფეროები. ბიზანტიამ სცნო ირანის გაბატონება ქართლში, ხოლო ირანმა ბიზანტიისა — ეგრისში. ქართლი მაინც უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა — აქ მეფობა გაუქმდა. ირანი გრძნობდა თავის უპირატესობას და 542 წელს ეგრისშიც დიდი ლაშქარი შეიყვანა. დაიწყო ე. წ. „დიდი ომიანობა", რომელიც 20 წელს გრძელდებოდა. ამ ომში ეგრისის მეფე სამხედრო ძალით ქვეყანას ვერ გადაარჩენდა, საჭირო იყო მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარის მაქსიმალურად სწორად განსაზღვრა და მომგებიანი საგარეოპოლიტიკური კურსის შერჩევა. გუბაზ მეფის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომელთა მიზანი ბიზანტიისა და ირანის დაპირისპირებიდან მოგების მაქსიმუმის მიღება იყო, ქართული დიპლომატიის დიდ შესაძლებლობებზე მიუთითებს. გუბაზის სახით ბიზანტიელებმა სერიოზული მოწინააღმდეგე დაინახეს, ამიტომაც მოკლეს იგი 554 წელს. იმავე წელს ეგრისის სახალხო კრება, ბიზანტიელთა მიმართ საყოველთაო და სამართლიანი ზიზღის მიუხედავად, მაინც სწორ პოლიტიკურ ორიენტაციაზე დადგა — ბიზანტიასთან მოკავშირეობა არჩია. კრებაზე გამოსული ორიენ პოლიტიკოსი — აიეტი (პროირანული ორიენტაცია) და ფარტაძე (პრობიზანტიური ორიენტაცია), რა თქმა უნდა, ჭკვიანი დიპლომატები იყვნენ, მაგრამ ფარტაძე უფრო პრაგმატულ პოლიტიკას მისდევდა. ის ამ შემთხვევაში სწორი იყო: ირანი ეგრისიდან ბიზანტიას ვერ გააძევებდა, ხოლო გამარჯვებული ბიზანტია პროირანული ორიენტაციის ეგრისს კიდევ ათას უბედურებას დაატეხდა თავს. მალე ეს ვარაუდი გამართლდა. უფრო მეტიც, 628 წელს ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ ხაზარების დახმარებით — ისევ ჩრდილო კავკასიის ფაქტორი! — ირანელებს თბილისი წაართვა.

არაბების გამოჩენისა და ბატონობის ეპოქაში (VII—IX საუკუნეები) ქართველ პოლიტიკოსებს დიდი არჩევანის საშუალება, სამწუხაროდ, არც ჰქონდათ. არაბებმა დაიპყრეს მთელი ახლო აღმოსავლეთი, მცირე აზიაში სასტიკი მარცხი აგემეს ბიზანტიას. ასეთ ვითარებაში ტრადიციული პრობიზანტიური პოლიტიკური კურსი აზრს კარგავდა — ბიზანტიას თავისი ბედი უჭირდა. ამიტომაც ქვეყ-

ნის გადარჩენის გზებიდან პრაქტიკულად მხოლოდ ერთი — არაბებთან ურთიერთობის მოგვარება — რჩებოდა. ამ პოლიტიკას ადგა ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი. ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი“ (VII საუკუნის 50-იანი წლები) შექმნილ სიტუაციაში ქართული დიპლომატიის გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ. ცოტა მოგვიანებით ამ პოლიტიკის გამგრძელებლად, მაგრამ — განმავითარებლად და ტრანსფორმატორად, გვეელინება ერისმთავარი ნერსე, რომელმაც კარგად დაინახა, რომ დამპყრობთა მიმართ უსაზღვრო დათმობები უკვე გადაგვარების საფრთხეს უქმნიდა ერს. ამით იყო გაპირობებული ნერსეს პოზიცია: პროარაბული ორიენტაციის აუცილებლობის დროებითი აღიარება და შემდეგ მისი შეცვლა — ბრძოლის დაწყება დამპყრობთა წინააღმდეგ.

არაბებთან ბრძოლაში თითქოს განწირული ბიზანტიის იმპერია გადარჩა, ხოლო სახალიფო დაიშალა (IX ს.). ეს ფაქტი სულაც არ მეტყველებდა იმაზე, რომ ბიზანტია აღმავლობის გზაზე იდგა, მაგრამ, მეორე მხრივ, მას ძალუძდა აქტიურად შეეშალა ხელი საქართველოს გაერთიანებისათვის, რისთვისაც, სხვა საშუალებებთან ერთად, მხარს უჭერდა ოპოზიციას ქვეყნის შიგნით. ასეთ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დოზირების ფაქტორს პრობიზანტიური ორიენტაციის გატარებაში.. ბაგრატ III და ბაგრატ IV მაინც პრობიზანტიურ ორიენტაციას არჩევენ, მაგრამ გიორგი I — ანტიბიზანტიურს, რასაც ომიც კი მოჰყვა ბიზანტიასა და საქართველოს შორის. არ შეიძლება არ დაეასკვნათ, რომ ორ კუროპალატს შორის მოღვაწე გიორგი I, რომელმაც პრინციპულად არ მიიღო კუროპალატის ტიტული, სულაც არ დგამდა წინდაუხედავ ნაბიჯს. დღეს გადაჭრით ვერავინ იტყვის: საქართველოს გაერთიანების საქმეს რას მოუტანდა იმაზე მეტს მესამე კუროპალატი, ვიდრე მოუტანა ბიზანტიის წინააღმდეგ ხმალშემართულმა მეფე გიორგიმ. როგორც ჩანს, თავისი ანტიბიზანტიური პოლიტიკური კურსით გიორგი პირველმა გაანეიტრალა მამამისის — ბაგრატ მესამის პრობიზანტიური პოლიტიკური ორიენტაციის ზოგიერთი მავნე შედეგი (თუნდაც ეროვნული ცნობიერების გადარჩენის თვალსაზრისით) და ამავე დროს გარკვეული პოლიტიკური დივიდენდები დაუტოვა შვილს — პრობიზანტიური ორიენტაციის ბაგრატ მეოთხეს.

თუ ბაგრატ მესამის ეპოქაში პრობიზანტიურ პოლიტიკას რეალური შედეგები ჰქონდა (ისევე როგორც რეალური შედეგები ჰქონდა გიორგი

პირველის ანტიბიზანტიურ ორიენტაციას), ბაგრატ მეოთხის ეპოქაში იგი თანდათანობით აზრს კარგავს, ხოლო გიორგი მეორის მეფობისას უაზრობად იქცევა. თურქ-სელჩუკების დაპყრობების დასაწყისშივე ბიზანტიის სასტიკ მარცხს მანასკერტთან ბრძოლაში (1071 წ.) შედეგად მოჰყვა ბიზანტიის მიერ აღმოსავლეთის (მცირე აზიის) პროვინციების დაკარგვა.

როდესაც დავით აღმაშენებლის მეფობა დაიწყო (1089 წ.), საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან, სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე) სელჩუკთა იმპერია ერტყა. დავით აღმაშენებელი გარკვეულ ვაკუუმში აღმოჩნდა: მოკავშირედ ბიზანტია არ გამოდგებოდა, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან დახმარების მიღება რომ არარეალური იყო, ეს ნათელი ჩანდა ჯვაროსანთა ლაშქრობების შედეგების მიხედვით. თითქოს აბსოლუტური და გადაულახავი რეალობა იყო ის, რომ თავისი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალით საქართველო თურქ-სელჩუკებს ვერ გაუმკლავდებოდა. ამგვარ, პრაქტიკულად გამოუვალ, ვითარებაში დავით აღმაშენებელმა მაინც მაქსიმალისტური ამოცანა დაუსახა ქვეყანას, ხოლო მიზნის მისაღწევ საშუალებებს შორის ერთ-ერთი ჩრდილოეთში აღმოაჩინა: მან ისევ და ისევ **ჩრდილო კავკასიის ფაქტორი** გამოიყენა — **დარიალის** კარით ყივჩაღები გადმოიყვანა და საგრძნობლად გააძლიერა, უფრო მობილური გახადა, საქართველოს სამხედრო ძალები.

დავითის, დემეტრე პირველის, გიორგი მესამის, თამარის ეპოქაში პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, როგორც ასეთი, არც მდგარა, მოკავშირის პრობლემა არ არსებობდა, რადგანაც პრაქტიკულად არ არსებობდა პოტენციური ძლიერი მოკავშირე. თავისი თავის იმედით მყოფი საქართველოსთვის ერთადერთ ტაქტიკურ იარაღად რჩებოდა საერთაშორისო მდგომარეობის გამოყენება, საერთაშორისო კონიუნქტურაზე ოპერატიული რეაგირება (ჯვაროსანთა ომები, თურქ-სელჩუკთა იმპერიის დაშლა და სხვ.). ფაქტიურად იგივე ითქმის გიორგი ბრწყინვალის (1314—1346) ხანაზეც.

ახალი ეტაპი საქართველოს სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ისტორიაში მე-13 საუკუნის შემდეგ, ძირითადად — მე-15 საუკუნიდან, იწყება. ეს არის ეტაპი, რომელიც ზოგიერთი ნიშნით, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს: **საქართველომ თანდათანობით დაიწყო დაეწყება იმისა, რომ იგი სპეციფიკური ქვეყანაა, რომ მას შეხედავენ,**

ერთი მხრივ, როგორც ევროპას აზიაში, მეორე მხრივ, როგორც აზიას ევროპაში; საქმე ისაა, რომ იგი მაინც, ყველა შემთხვევაში, იყო და სხვების თვალშიც რჩებოდა სწორედ სპეციფიკურ ქვეყნად, ორი სამყაროს შეხვედრის ადგილად, — აქ მთავარი ის იყო, თუ რამდენად იზრუნებდა თვითონ იგი თავისთავადობის შენარჩუნებაზე, და რამდენად მნიშვნელოვანი და სერიოზული ძალა იქნებოდა პოლიტიკურად ეს თავისთავადი ქვეყანა. პოლიტიკურ ასპექტში ეს იყო ეტაპი, როდესაც შეიძლებოდა ჩადებულიყო ფუნდამენტი მომავალი ნეიტრალური სახელმწიფოსთვის. სამწუხაროდ, მოხდა პირიქით: ეს არის ეტაპი ჩვენს ისტორიაში, როდესაც ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამოისობით, ჩვენი ეროვნული კონცეფცია თანდათანობით განუდგა ბალანსირების და გადახრებში დოზირების პოლიტიკას, დაფუძნებულს ჩვენს გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ მოცემულობაზე, პირველ ყოველისა — ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გამავალი კარის მფლობელობის ფაქტორზე. თუ უფრო ზუსტნი ვიქნებით, ეს კონცეფცია სამი ელემენტის ერთობლიობით იქმნებოდა: პირველი — ერთიანი ქართული მიდგომა პოლიტიკური (resp. საგარეოპოლიტიკური) დოქტრინის ჩამოყალიბებისადმი; მეორე — ბალანსირების პოლიტიკა; მესამე — რეგიონულ ლიდერობაზე პრეტენზიის განხორციელება.

მე-15 საუკუნის დასასრულიდან ამიერკავასიაში ჰეგემონობისთვის ბრძოლას იწყებენ ირანი და თურქეთი. მე-18 საუკუნის დამდეგიდან შავი და კასპიის ზღვებისკენ გაიჭრა რუსეთი. საქართველო უკვე დაშლილია სამეფო-სამთავროებად... ამ პერიოდში საქართველო პოლიტიკურ სიტუაციას ფაქტიურად ვერ მართავს; პროირანული, პროთურქული, პროდასავლური და, ბოლოს, პრორუსული ორიენტაცია იძულებითი ნაბიჯები იყო და არა გარკვეული სტრატეგიული ხაზის გათვლილი ელემენტები, ისინი საპერსპექტივო პოზიტივს არ ქმნიდნენ, რადგანაც უმეტესწილად მხოლოდ უკვე მომხდარზე რეაქციას წარმოადგენდნენ.

რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ქართველი ლიდერები, ქართველი პოლიტიკოსები არ მოქმედებდნენ თავგანწირულად. ქართველ მეფეთა დამსახურება ამ ეპოქაში ის იყო, რომ ისინი კატასტროფულ სიტუაციაში, წაგებული ბრძოლების თუ საგარეოპოლიტიკური მარცხის შემდეგ, მაინც პოულობდნენ რაღაც ფაქტორს, რომელზეც შეიძლებოდა დაფუძნებულიყო

საქართველოს და ქართველობის გადარჩენისთვის ბრძოლა. ამ ბრძოლაში იყო კომპრომისებიც, ზოგჯერ — გაუმართლებელი, იყო კონკრეტული შეცდომებიც, იყო აშკარა უკუსვლაც; მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სამი დიდი სახელმწიფოს საჯიჯგნად ქცეული, უმოკავშირეოდ დარჩენილი ქართველობა მაინც არ გადაგვარდა და, ბოლოს-დაბოლოს, მე-18 ს-ის დამლეგს იმას მაინც მიაღწია, რომ მაშინდელი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე შედგენილი ხელშეკრულებით დაუკავშირდა რუსეთს, რითაც ამ ხელშეკრულების დარღვევის და მოკავშირის მიერ განხორციელებული ოკუპაციისა და ანექსიის მიუხედავად, შორეულ შთამომავლობას დაუტოვა სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლის იურიდიული უფლება. ეს შეიძლება ერეკლე მეფის და ქართული დიპლომატიის გარკვეულ წარმატებადაც კი ჩაითვალოს. დიპლომატიას, საერთოდ, ძალიან უჭირდა, კერძოდ — გაძნელებული იყო პროგნოზირება და ხელსაყრელი კურსის განსაზღვრა. და მაინც აქტიურად მოქმედებდნენ კახეთის მეფეები ლევანი (1518—1574) და ალექსანდრე მეორე (1574—1605), ქართლში — თეიმურაზ პირველი და სხვები. როსტომ-ხანმა (1532—1658), ვახტანგ V შაჰნავაზმა (1658—1675), ვახტანგ მეექვსემ (1703—1724) ბევრი იმეცადინეს ქვეყნის გადარჩენისთვის. რაც შეეხება თეიმურაზ მეორეს (1744—1762) და ერეკლე მეორეს (1762—1798), მათ ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანებაც კი მოახერხეს — ეს შექმნილ სიტუაციაში მხოლოდ დიპლომატიური სვლებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ამავე საშუალებით იქნა თავიდან აცილებული ომები თურქეთთან — საერთოდ, ხოლო ირანთან — 1795 წლამდე.

და მაინც, საქართველო უკვე ის აღარ იყო. აღარ იყო, პირველ რიგში, ფუნქციონალურად.

რა თქმა უნდა, ამისთვის ბევრი მიზეზი არსებობდა, მათ შორის — ისეთებიც, რომლებიც ზედაპირზე ჩანან. სახელდობრ: 1. ორი ძლიერი სახელმწიფოს — ირანის და თურქეთის — დაუოკებელი, ეროვნული ინტერესების დონეზე ატანილი, მისწრაფება ამიერკავკასიაში, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე სივრცეზე, გაბატონებისკენ, რასაც შესაბამისი, დაუნდობელი, მოქმედებები ახლდა თან; 2. რუსეთის იმპერიის ასეთივე მისწრაფება, რომლის რეალიზების სტრატეგიულ ხაზს წარმოადგენდა ირანის და თურქეთის პრეტენზიების ბლოკირება ამიერკავკასიაში (ხოლო ტაქტიკურ იარაღთაგან ერთ-ერთი, სხვათა-

შორის, იყო რეგიონის ქრისტიანი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება); 3. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ფაქტიური უძლურება აღმოეჩინათ, თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით, რაიმე რეალური დახმარება ქართული სამეფო-სამთავროებისათვის (ამიტომ ქართველი ლიდერებისთვის ევროპის დაპირებებზე დაყრდნობით განსაზღვრა პოლიტიკური ორიენტაციისა ფაქტიურად უაზრობა იყო); 4. კავკასიის მთიანეთში ზურგის მოშლა, რაც განპირობებული იყო ამ მხარეში თურქეთისა და ირანის პოზიციების განმტკიცებით (კავკასიის მთიანეთის გამაჰმადიანებული მოსახლეობა თურქეთის და ირანის ბუნებრივ მოკავშირედ იქცა, რაც განსაკუთრებით ნათლად მე-18 ს-ში გამომჟღავნდა); 5. ამიერკავკასიაში მოკავშირის არარსებობა — აქ ქრისტიანული სახელმწიფო, გარდა ქართული სამეფო-სამთავროებისა, არ ფუნქციონირებდა; 6. ქართული პოლიტიკური ერთეულების მწირი შესაძლებლობები, კერძოდ — იმაში, რომ ჰქონოდათ დროული ინფორმაცია ირანის, თურქეთის, რუსეთის (აგრეთვე დასავლეთის ქვეყნების) უმაღლეს წრეებში მიღებული გადაწყვეტილებების და კულუარებში მიღწეული პოლიტიკური გარიგებების შესახებ და სხვ.

მაგრამ იყო რამდენიმე მთავარი — შინაგანი — მიზეზი. ამ პერიოდში, განსაკუთრებით — მე-16—მე-18 საუკუნეებში, ერთიანი ქართული პოლიტიკა აღარ არსებობდა, აღარ იდგა პოლიტიკური ორიენტაციის, როგორც ერთიანი საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის, პრობლემა. თავ-თავიანთ კურსებს საზღვრავდნენ უკვე ქართლის სამეფო, კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამეგრელოს სამთავრო, აფხაზეთის სამთავრო, სამცხე-საათაბაგო... ამ სიტუაციის უბედურება ის იყო, რომ დაქუცმაცებულ საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული შესაძლებლობანიც დაქუცმაცებული ჰქონდა.

მეორე და ასევე მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველომ ბოლომდე არ გამოიყენა თავისი გეოპოლიტიკური პოზიცია, რომელიც, კერძოდ, — გარკვეულ ფარგლებში და გარკვეულ ვადებში — იძლეოდა ბალანსირების პოლიტიკის განხორციელების საშუალებას.

საბოლოოდ შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო, შემდეგ — იმერეთის სამეფო და სამთავროები შეეწირნენ დიდ პოლიტიკას ისე, რომ ამ პოლიტიკას მხოლოდ დიდი ქვეყნები

ქმნიდნენ, ხოლო პატარა ქვეყნები — ე. ი. ჩვენი სამეფოები — განაჩენს დახურულ კარს მიღმა ელოდებოდნენ. 1801 წლის კატასტროფა პრაქტიკულად არ იყო ქართლ-კახეთის და რუსეთის, ან ქართლ-კახეთის და ირან-თურქეთის ურთიერთობათა შედეგი, — ეს იყო ირან-თურქეთ-რუსეთის ხანგრძლივ პოლიტიკურ ურთიერთობათა, ხანგრძლივი პოლიტიკური წინააღმდეგობის შედეგი; საქართველომ ამ პოლიტიკურ პროცესში ვერ მიიღო იმ დოზით მონაწილეობა, რომელსაც მას უქმნიდა მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა. რუსეთმა აიძულა თურქეთი და ირანი ხელი აეღოთ ამიერკავკასიაზე — საქართველო ერგო რუსეთს, ირანს ან თურქეთს რომ აეძულებინათ რუსეთი ხელი აეღო ამიერკავკასიაზე — ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაცია ირანის ან თურქეთის სასარგებლოდ მოხდებოდა. ლოგიკა ჩვენთვის ერთადერთი იყო: ქართულ სამეფოებს (უფრო ზუსტად კი — საქართველოს, ერთიანს) შეეძლოთ ეარსებათ მანამდე, სანამ რეგიონში ბატონობის პრეტენზიის მქონე დიდ სახელმწიფოთა ჭიდილში წონასწორობა იარსებებდა; წონასწორობის დარღვევა, დისბალანსის შექმნა და დიდ სახელმწიფოთაგან რომელიმეს გამარჯვება ჩვენთვის კატასტროფას ნიშნავდა. საქართველოსთვის ამოცანას წარმოადგენდა აქტიური ბრძოლა წონასწორობის დაცვისათვის, ოქროს შუალედის ადგილის მოპოვებისათვის, მეცადინეობა ბალანსირების პოლიტიკის გატარებისათვის, ხოლო მიზანი ისეთი სიტუაციის შექმნა უნდა ყოფილიყო, რომ დისბალანსი სხვისთვისაც არ ყოფილიყო მისაღები, რომ არცერთს დიდ სახელმწიფოთაგან არ მოსურვებოდა ჩვენი ქვეყნის (სამეფოების) მოსპობა — ეს მათთვის, თითოეულისათვის, არახელსაყრელი და განსახორციელებლად ძნელი სურვილი უნდა ყოფილიყო, მათ, თითოეულს, ერთადერთი რეალური სურვილი უნდა ჰქონოდათ — ჩვენი ქვეყნის (სამეფოების) პოლიტიკაში, მათდამი დამოკიდებულებაში მათთვის ხელსაყრელი განწყობილების შექმნა.

წონასწორობის დაცვა, პოლიტიკური ლავირება, არავითარ შემთხვევაში არ არის ლაკავშირებული ვიწრო პრაგმატიზმთან, როდესაც მხოლოდ მომენტზე გათვლილი ამოცანის (დროებითის), ან პოლიტიკოსის ეგოისტური, პრაქტიკული მიზნის მსახურება იგულისხმება: დაბალანსებასაც, გადახრასაც (თუნდაც რადიკალურს) ერთ ან მეორე მხარეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ ყველაფერი ეს მაქსიმალისტური (იდეალისტური) ამოცანის, საბოლოო ამოცანის, ინტერესებს ემსახურება.

რა თქმა უნდა, ამგვარი, მასშტაბური, ამოცანის დასმას და, რაც მთავარია, დადებითად გადაჭრას ბევრი პრობლემა უშლიდა ხელს, სუბიექტური ხასიათისაც და ობიექტურისაც.

საქართველოს ხელსაყრელი მდგომარეობის, კერძოდ — ჩრდილოეთიდან სამხრეთით გზის, გამოყენების შესაძლებლობებში ბევრი რამ შეცვალა მონღოლთა ბატონობის ეპოქამ. ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ საქართველომ ვერ მოასწრო ჩრდილო კავკასიის მთისწინეთის „ათვისება", რაც მის პოზიციას, მოცემული სტრატეგიული მომგებიანობის ფარგლებში, კიდევ უფრო და საბოლოოდ განამტკიცებდა. იყო სხვა მომენტებიც. დავით ულუმ (1247-1270) კიდევ შეძლო კავკასიის ფაქტორის გამოყენება: აჯანყებულ მეფეს მონღოლებმა დასაშაული აპატიეს, რადგანაც მან იკისრა ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელი გზის დაცვა ქართული ჯარით. საქმე ის იყო, რომ მონღოლთა იმპერიის ოთხ ნაწილად გაყოფის შემდეგ კავკასიის ქედს გადაღმა ტერიტორია ოქროს ურდოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. ხოლო ამიერკავკასია ილხანების სახელმწიფოს ერგო; იმ ვითარებაში, როდესაც ოქროს ურდოს ყაენები ცდილობდნენ ჩრდილოეთიდან ამიერკავკასიაში (ე. ი. ილხანების სახელმწიფოს საზღვრებში) გაჭრას, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ ვის მხარეს დაიჭერდა ქართველთა მეფე; დავით ულუმ ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა.

მოვლენებმა ცვლა დაიწყეს მე-13 საუკუნიდან, იმ დროიდან, როდესაც მონღოლებმა გაანადგურეს ყივჩაღები. ხელ-ფეხი გაეხსნათ ჩრდილო კავკასიის მთისწინეთში რამდენიმე საუკუნის წინ მოსულ ალანებს (ოვსებს) — მათ უკვე ჰქონდათ მყარად მოკიდებული ფეხი ჩრდილო კავკასიის ბარში და დაიწყეს წინ წაწევა კავკასიის მთიანეთისკენ, კერძოდ — დარიალის ხეობაში. ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი თავიანთი კონტროლის ქვეშ აქცევდნენ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გამავალი გზის ერთ, ჩრდილოეთ, ნაწილს. უფრო მეტიც, მონღოლებთან კავშირში ოსები ქართლშიც შემოიჭრნენ და გორის ციხეც კი იგდეს ხელთ; გიორგი ბრწყინვალემ დიდი ბრძოლის შემდეგ განდევნა ისინი ქედს გადაღმა და ისიც მოახერხა, რომ აღიდგინა პოზიციები კავკასიის მთიანეთის მკვიდრთა ერთ ნაწილში. მაგრამ, საერთოდ, სიტუაცია ისეთი იქმნებოდა, რომ ოსთა მიერ სტრატეგიული გზის ნაწილზე კონტროლის დაწესებამ ქართულ პოლიტიკას შეუზღუდა ჩრდილოეთ კავკასიის ფაქტორის გამოყენების შესაძლებლობა. საქართველო კარგავდა დარიალის ხეობის მთავარი, ფაქტიუ-

რად — ერთადერთი, ჩამკეტის ფუნქციას, რაც იმას ნიშნავდა, რომ იკარგებოდა ის დიდი უპირატესობა, რომელსაც, რომაელთა ეპოქიდან მოყოლებული, კარგად იყენებდნენ ქართველი მეფეები.

გარკვეული, მაგრამ არაპრინციპული, ცელილებები მიმდინარეობდა რუსეთში მონღოლთა ბატონობის დასრულების შემდეგ (მე-15 საუკუნის ბოლო): ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთი მონღოლური სახელმწიფოების — ყირიმის სახანოსა და ასტრახანის სახანოს — ხელშია; ოსები ამ დროისათვის მთისწინეთის ბარში აღარ სახლობენ, მაგრამ, მაღალმთიან რეგიონში გადანაცვლებულები, თავგამოდებით ცდილობენ დარიალის ხეობის კონტროლს; სახანოები აქ მათ მეტოქეობას ვერ უწევენ, ხოლო რუსეთმა მოგვიანებით დაიწყო პოზიციების განმტკიცება, ჯერ— მთისწინეთში, კიდეე უფრო გვიან — მთაში. (რუსეთზე უფრო ადრე, როგორც უკვე ითქვა, კავკასიის მთის მოსახლეობაში თავიანთი გავლენა გაავრცელეს ირანმა და თურქეთმა, რაც საქართველოსათვის ასევე საზიანო იყო).

მდგომარეობის მკვეთრი შეცვლისთვის ობიექტური პირობები შეიქმნა მას შემდეგ, რაც ივანე მრისხანემ აშკარად და დაუფარავად განაცხადა პრეტენზიები ჩრდილო კავკასიაზე. **ჩრდილო კავკასიაში რუსეთის გაბატონების პერსპექტივა, სამხრეთიდან ასეთივე სურვილის მქონე დიდი სახელმწიფოების და ამ ორ დაპირისპირებულ ძალას შორის ამიერკავკასიის, ძირითადად — საქართველოს, არსებობის პირობებში, კვლავ აქტუალურს ხდიდა ამიერკავკასიაში გადმოსასვლელი გზების გახსნა-ჩაკეტვის ფუნქციას, საშუალებას აძლევდა ქართულ დიპლომატიას რეალურად აღედგინა საქართველოსათვის ეს ფუნქცია.** ირანის და თურქეთისთვის, რა თქმა უნდა, ცხადი იყო ამიერკავკასიაში რუსეთის გაჭრის პერსპექტივა, ისევე როგორც ცხადი იყო რუსეთისთვის ის, რომ მისი ოპონენტები უბრძოლველად არ დათმობდნენ ამიერკავკასიას; ეს სიტუაცია დარიალის ხეობას კვლავ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ხდიდა, ხოლო საქართველოს ამოცანას უსახავდა ახალ ვითარებაშიც შეესრულებინა ამ გზის პატრონის მოვალეობები. **ეს ამოცანა იმას გულისხმობდა, რომ თავიანთი სიმპათიები და გზის გამოყენების პრიორიტეტი ქართველ პოლიტიკოსებს არ გადაეცათ არავისთვის „უფასოდ“ და ჩაეყენებინათ მხოლოდ თავიანთი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი ინტერესების გრძელვადიან სამსახურში.** ქართველმა პოლიტიკოსებმა, როგორც ჩანს, სტრატეგიული შეცდომა დაუშვეს: **იმის ნაცვლად, რომ ჰქონ-**

ოდათ ლავირებისა და ბალანსირების პოლიტიკა, ისინი ცალსახად, გამეღავნებულად და მაშინვე დადგნენ ერთ მხარეს —ერთ ორიენტაციაზე. ამგვარი ფორსირებული პოლიტიკის შედეგი იყო არა უბრალოდ ის, რომ იკარგებოდა მეორე მხარის პოლიტიკური ნდობა, არამედ მთავრად ის, რომ საქართველო ხელს იღებდა სწორედ ფუნქციაზე, რომლის წყალობითაც ის სახელმწიფოები, ვისთანაც მას პოლიტიკური შეხებები ჰქონდა, ერთმანეთის მეტოქეები უნდა ყოფილიყვნენ არა საქართველოს წინააღმდეგ, არამედ საქართველოსთვის ბრძოლაში, ხოლო ამისათვის რეალურად გაეთვალისწინებინათ არა მარტო საკუთარი, არამედ საქართველოს ინტერესებიც, და ეფიქრათ ყოველ საჭირო შემთხვევაში იმ კომპენსაციებზეც, რასაც საქართველო მიიღებდა. (ასეთი მიდგომა რომ რეალურიც იყო და სათანადოდ აღქმულიც პოლიტიკოსების მიერ, თვალნათლივ ჩანს ნადირ-შაჰის მაგალითიდან: ნადირ-შაჰმა აშკარად აიღო გეზი საქართველოს სახელმწიფოებრივ სტაბილიზაციაზე და ამით თვითონაც მოიგო; საწინააღმდეგო მაგალითი: აღა-მაჰმად-ხანმა არა მარტო საქართველოს ავნო, არამედ საკუთარ თავსაც — ირანს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის კიდევ უფრო ხაზგასასმელი ისაა, რომ საქართველომ, ჩვენმა პოლიტიკამ, თავის დროზე ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნები ნადირ-შაჰის კურსიდან), ჩვენ პირიქით მოვიქეცით: ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რუსეთის გაბატონება ამიერკავკასიაში კი არა, ჩრდილო კავკასიაშიც კი არ იყო რეალური (მე-15 საუკუნის 80-იანი წლები — მე-16 საუკუნის 80-იანი წლები), კახეთის მეფე ორ ელჩობას მიავლენს რუსეთში (1483, 1491); შემდეგში, 1587 წელს, ალექსანდრე ლევანის ძე ივანე მრისხანეს „ფიცის წიგნს“ მიართმევს; 1589 წელს რუსეთის მეფე კახეთის მეფეს „წყალობის სიგელს“ უგზავნის.

ნელ-ნელა იკვეთებოდა სიტუაცია, რომ სხვა ქვეყნები საქართველოს, როგორც ჩრდილოეთიდან გადმომავალი გზის მფლობელს, ვერ გამოიყენებდნენ. ირანისა და თურქეთისათვის ერთადერთი დასკვნა რჩებოდა — საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, განადგურება (რაშიც მათ აქტიურად ჩაებეს კავკასიის მთის მოსახლეობა); პარადოქსი ის იყო, რომ პერსპექტივაში, თავისი მიზნების განხორციელების დაკვალად. იგივე დასკვნა მისაღები იქნებოდა რუსეთისთვისაც, რადგანაც მას საქართველო აღარ დასჭირდებოდა — საქართველო თავის ტრადიციულ ფუნქციას თანდათანობით კარგავდა. ის, რასაც საქართველო კარგავდა, საერთაშორისო ფუნქცია იყო.

ასე და ამგვარად, იმ უბედურების მიზეზი, რაც მე-18 საუკუნის გასრულების შემდეგ განხორციელდა, იყო ის, რომ საქართველომ დაკარგა, ვერ გამოიყენა მის ხელთ არსებული გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული სიკეთენი, ვერ აწარმოა შესაბამისი პოლიტიკური თამაში.

მაგრამ ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, მოვლენათა ახსნის ერთ-ერთი ვერსიაა. სრულებითაც არ არის გამორიცხული მეორენაირი ინტერპრეტაცია: იმ პერიოდში, რომელზეც საუბარია, ქართულ პოლიტიკას არ დავიწყნია თავისი ქვეყნის ტრადიციული საერთაშორისო ადგილი და ფუნქცია, არ გადაუხვევია გონიერი მანევრირების გზიდან, მოკავშირეთა ძიებაში ფართე არჩევანის ქონის და, აქედან გამომდინარე, წონასწორობის დაცვის გზიდან (გავიხსენოთ, თუნდაც, სულხან-საბას ვოიაჟი ევროპაში, ან გარკვეულ ეტაპზე ერეკლეს თამაში ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის), პირიქით — გადახრა, თანაც დემონსტრატიული, ჩრდილოეთიდან გამოჩენილი ახალი ძალის მხარეს სწორედ მომგებიანი პოლიტიკური თამაშის დაწყება იყო ახალ სიტუაციაში, სწორედ ტრადიციული მოძალადეების დაწოლის განეიტრალებისკენ ან გაწონასწორებისკენ მიმართული ლოგიკური ნაბიჯი იყო (სხვა საკითხია, რომ საბოლოოდ წარმატება ვერ იქნა მოპოვებული). მაშინ საერთო დასკვნა მხოლოდ ასე უნდა ჩამოვაყალიბოთ: თავისი სტრატეგიული პოზიციის მაქსიმალურ და წარმატებით გამოყენებაში საქართველოს, საერთაშორისო კონიუნქტურის გარდა, გადაჭრით შეუშალა ხელი იმან, რომ საქართველო აღარ არსებობდა, — იყვნენ დაქუცმაცებული ქართული პოლიტიკური ერთეულები, რომელთაც ცალკეულად იგივე შესაძლებლობანი და უპირატესობანი არ გააჩნდათ, რაც ერთიან საქართველოს, და არც ამ ცალკეული შესაძლებლობებისა და უპირატესობების მექანიკური ჯამი უდრიდა იმ ოდენობას, რაც ერთიან საქართველოს ჰქონდა...

მე-19 საუკუნე დაიწყო იმით, რომ საქართველოს არც საგარეო პოლიტიკა ჰქონდა, არც საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა: საქართველო აღარ იყო სახელმწიფო, იმის შესახებაც კი არ შეიძლება ლაპარაკი, რომ მის გარეთ მეტროპოლია არსებობდა, — საქართველოს, როგორც საზოგადოებას, დარჩა ერთადერთი პრობლემა, ეს იყო მისი, საზოგადოებას, დამოკიდებულება რუსეთთან.

ახალი ეტაპი საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. დღეს ძნელია ცალსახად იმის განსაზღვრა, თუ რა ორიენტაციაზე იდგა ილია

ჭავჭავაძე, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა, რომელთაც ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეა ასულდგმულებდათ, პრაქტიკულად — და, რა თქმა უნდა, არა იურიდიულად — მიაღწიეს საქართველოს ავტონომიას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (ბანკი, „დედა ენა", წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული პრესა, ქართული წიგნი, ქართული თეატრი, ქართული ისტორიოგრაფია...), მიაღწიეს იმას, რომ ორი გუბერნიის ფორმალურ ფონზე აღდგა **საქართველოს ცნება**, აღდგა, შესაბამისად, მეორე ცნებაც — ქართველი, რომელიც დაუპირისპირდა ზოგად „კავკასიელს".

ყველაფერი ეს იმასაც ნიშნავდა, რომ აღდგენას იწყებდა **ერთიანი ქართული პოლიტიკური აზროვნება**, არა ქართლ-კახეთის, არა იმერეთის და ა. შ., არამედ სწორედ ერთიანი ქართული. ის, რომ ამ ერთიან ქართულ აზროვნებაში იყო სხვადასხვა, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი, მიდგომა, არაფერს არ ცვლის — ეს იყო მსოფლმხედველობრივი ან პარტიული პლურალიზმი სწორედ საერთოქართულ პოლიტიკურ ხედვაში, და არა დანაწევრებულ საქართველოზე ორიენტირებული ხედვა.

ამრიგად, იმ სამი ელემენტიდან, რომელიც ქმნიდა ჩვენს პოლიტიკურ, კერძოდ — საგარეოპოლიტიკურ, დოქტრინას, პირველად დაიწყო აღდგენა ერთიანი ქართული პოლიტიკის ფაქტორმა.

სხვა საკითხია, რომ მის შიგნით წარმოშობილი პლურალიზმიც თავისთავად რთულ პრობლემებს ქმნიდა მაშინაც და შემდგომაც. წინააღმდეგობები უკვე 60-იან—90-იან წლებშიც აშკარა იყო, ხოლო მომდევნო საუკუნის დამდეგისათვის უკვე მკვეთრი დიფერენცირება მოხდა პარტიებსა და მიმდინარეობებს შორის (რასაც დიდად შეუწყო ხელი უცხო გარემოში შემუშავებული სოციალისტური იდეების დანერგვამ). არჩილ ჯორჯაძის სიცოცხლეში (გარდ. 1913 წ.) ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა ილიას გზის უარყოფას, ჯორჯაძე თავგამოდებით ცდილობდა 1905—1907 წლების რევოლუციის მიერ პრაქტიკულად უკუგდებული **საერთო ნიადაგის** იდეის ხორცშესხმას. 1909 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში — „შეთანხმების იმედი (1903 წლიდან 1909 წლამდე)" იგი დაჟინებით, თუმცა დიდი ტაქტით, მოუწოდებდა საზოგადოებას, პოლიტიკურ პარტიებსა და მიმდინარეობებს, რომ **აუცილებელი იყო რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში ერთიანი შეხედულების შემუშავება და ერთი ფრონტით**

ბოქმედება. მან თითქოს შეძლო დაერწმუნებინა ოპონენტები უმთავრესში: რუსეთთან დამოკიდებულების სფეროში პარტიებსა და მიმდინარეობებს შორის საერთო უფრო მეტია, ვიდრე სადაო. მაგრამ, საბოლოოდ, ვერც ამ მოწოდებებმა, ვერც, ზოგადად, საერთო ნიადაგის იდეამ განხორციელება ვერ პოვა.

1905—1907 წლების რევოლუციის შემდგომ რუსეთთან დამოკიდებულების საკუთარი კონცეფციები წარმოადგინეს: **სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა.**

ეროვნულ-დემოკრატები (რევაზ გაბაშვილი, დათა ვაჩნაძე, შალვა ქარუმიძე, გიორგი გვაზავა, სპირიდონ კედია და სხვ.) ყველაზე ახლოს იდგნენ ილია ჭავჭავაძესთან. გულში რა ედოთ, ძნელი მისახვედრი არ არის, მაგრამ ლეგალურ გამოცემებში ეროვნულ-დემოკრატებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნა არ წამოუყენებიათ, ისინი მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ფართე ეროვნული ავტონომიის მოთხოვნით იფარგლებოდნენ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცოტა მოგვიანებით ეროვნულ-დემოკრატების (გ. გვაზავა) მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენის მოთხოვნა თავისთავად ნიშნავდა, რომ ამ მიმდინარეობას ფართე ავტონომია არ აკმაყოფილებდა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს აყენებდა.

სოციალისტ-ფედერალისტებს (გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა და სხვ.) მიაჩნდათ, რომ იმ ეტაპზე რუსეთის შემადგენლობაში ფედერაციის განხორციელება დიდ მონაპოვრად უნდა ჩათვლილიყო.

სოციალ-დემოკრატები (ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი და სხვ.) თვლიდნენ, რომ სოციალიზმის ინტერესები მოითხოვდა რუსეთში უნიტარული სახელმწიფოს შენარჩუნებას, არა ავტონომიებად რუსეთის ხალხების დაშლას, არამედ მათ გაერთიანებას სოციალისტური რევოლუციის განხორციელების მიზნით. ეროვნული საკითხი, სოციალ-დემოკრატების აზრით, მხოლოდ სოციალური რევოლუციის შემდეგ გადაიჭრებოდა. (ეროვნული საკითხისადმი ასეთ ნიჰილისტურ მიდგომას არ დაეთანხმნენ ცნობილი სოციალ-დემოკრატები ვლადიმერ დარჩიაშვილი და აკაკი ჩხენკელი: დარჩიაშვილმა სოციალ-დემოკრატთა რიგები დატოვა, ხოლო ჩხენკელმა კონფლიქტს თავი აარიდა და თავის შეხედულებებზე დროებით უარი თქვა).

როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეროვნულ საკითხთან დამოკიდებულება, მნიშვნელობა არ ჰქონდა — ყველა პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა ეროვნულ მოძრაობას განიხილავდა როგორც სერიოზულ ძალას, რომელსაც რუსეთის იმპერიაში დიდი პერსპექტივები ჰქონდა. სრულიად საწინააღმდეგოდ დააყენა საკითხი იოსებ ჯუღაშვილმა (სტალინმა). მან, მისთვის დამახასიათებელი გამბედაობით (არად ჩააგდო ცნობილი ავტორიტეტების — რუდოლფ შპრინგერის, ოტტო ბაუერის, კარლ კაუცკის, გიორგი პლეხანოვის, ნოე ჟორდანიას, არჩილ ჯორჯაძის, ვლადიმერ ლენინის შეხედულებანი) ჩამოაყალიბა შემდეგი დასკვნები: 1) რუსეთის იმპერიას, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემას, იმპერიაში მცხოვრები დაპყრობილი ხალხების ეროვნული მოძრაობა ვერ დაანგრევდა, თუნდაც ყველა ჩაგრული ერი ერთდროულად აჯანყებოდა მეტროპოლიას; 2) შორეულ მომავალშიც კი წარმოუდგენელი იყო რუსეთის იმდაგვარი დემოკრატიზაცია, რომ მას დაპყრობილი ერებისთვის ავტონომიები ებოძებინა, პირიქით — მოსალოდნელი იყო ველიკორუსული შოვინიზმის მკვეთრი გაძლიერება, პატარა ერების ასიმილაციის დაჩქარება; 3) დაპყრობილი ხალხების ეროვნული მოძრაობა არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც მოკავშირე ძალა სოციალისტური რევოლუციისთვის ბრძოლაში (ეროვნული მოძრაობა არსად არ სცნობდა სოციალური მოძრაობის პრიმატს; „სოციალისტური სამოთხის" დაპირებით ეროვნული მოძრაობის „მოთვინიერება" შეუძლებელი იყო).

ი. სტალინის ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" (1913 წ.) სწორედ ესაა მთავარი და არა ის, თუ როგორ განმარტა მან ერის ცნება და სწორია თუ არა ეს განმარტება.

ქართულ სინამდვილეში სტალინის დასკვნის მნიშვნელობა ან ვერ გაიგეს, ან არ გაიგეს (უფრო სავარაუდოა მეორე). ყოველ შემთხვევაში, ყველანი ძველ შეხედულებაზე რჩებოდნენ: სოციალ-დემოკრატებს კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ ეროვნულ მოძრაობას გაასოციალისტურებდნენ, თავიანთი მხრივ, არც ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები კარგავდნენ თავიანთ იმედებს. არც რუსეთში მიუღიათ სტალინის დასკვნები სერიოზულად. სულ მალე მოვლენათა განვითარებამ დაადასტურა ამ შეხედულებათა ჭეშმარიტება.

რა გეგმებს უსახავდა სტალინი საკუთრივ საქართველოს, დღეს აბის მხოლოდ რეკონსტრუირება შეიძლება — გამოძღინარე მისი ზოგადი შეხედულებებიდან ნაციონალურ საკითხზე და განსაკუთრებით იქიდან, რაც პრაქტიკულად განხორციელდა საქართველოს მიმართ დღემდე ჩათვლით. სტალინის გეგმა მარტივი (ერთი შეხედვით) და რეალისტური იყო: ჯერ იმპერიის დანგრევა, შემდეგ — ახლის შექმნა, რომელშიც საქართველოსთვის ახალი, ფორმალურად სახელმწიფოებრივი, ადგილის მოპოვება იქნებოდა შესაძლებელი, ამასობაში ქვეყნის (სახელმწიფოს) ფაქტიური შექმნა იმ თეორიული მომავლის გათვალისწინებით, რომელიც რეალური უნდა გამხდარიყო განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მოვლენათა მსვლელობის დაკვალად, შესაბამისი შინაგანი და საერთაშორისო კონიუნქტურის არსებობის პირობებში, — ერთხელ და სამუდამოდ...

პირველმა მსოფლიო ომმა ბევრი რამ შეცვალა ჩვენს აზროვნებაში, კერძოდ — რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში. ამ თემაზე ხმამაღალი ლაპარაკი ომის, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური რეჟიმის გამკაცრების, პირობებში, რა თქმა უნდა, გაძნელებული იყო. ამ შემთხვევაში **თავისი ისტორიული მისია კარგად შეასრულა ქართულმა ემიგრაციამ,** რომელმაც არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა წამოაყენა, არამედ მოახერხა გაფორმებულიყო ორგანიზაციულადაც („საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი"), უფრო მეტიც — აჯანყების მოწყობის მიზნით საქართველოში თავისი სპეციალური დესპანიც მოავლინა (მიხაკო წერეთელი, ემიგრაციის ლიდერი).

მსოფლიო ომის ფონზე წარმოშობილი სიახლე ის იყო, რომ **საქართველოში აღდგა საგარეოპოლიტიკური აზროვნება (შესაბამისად — პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკა), რომელიც ჯერ მხოლოდ ემბრიონალური იყო (რაც ბუნებრივია სახელმწიფოებრიობადაკარგული საზოგადოების პირობებში), მაგრამ რომლის ხედვის არეშიც უკვე არა მარტო რუსეთი იყო არამედ — გლობალური სიტუაცია, დაკავშირებული ომის მსვლელობასთან.**

სოციალისტ-ფედერალისტებმა თავიანთი დამოუკიდებელი პოზიცია პრაქტიკულად დაკარგეს, ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი შეხედულება — სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნულ-დემოკრატებისა. ეროვნულ-დემოკრატების აზრით, ომში რუსეთის დამარცხება დიდად შეუწყობდა ხელს ქართველი ერის თვითგამორკვევის (თვითგანსაზ-

ღვრის) საქმეს. სოციალ-დემოკრატები მიუთითებდნენ, რომ ომში დამარცხებით, მართალია, გაადვილდებოდა რუსეთის პრობლემის მოხსნა, მაგრამ არანაკლები სიმწვავით დადგებოდა თურქეთის პრობლემა. ეს მომენტი არც ეროვნულ-დემოკრატებს ავიწყდებოდათ, მაგრამ ვარაუდობდნენ ევროპის ქვეყნების დახმარებით ძალთა დაბალანსებას (ამ შემთხვევაში გარკვეულ როლს თამაშობდა ეროვნულ-დემოკრატების მჭიდრო იდეური კავშირი ქართულ ემიგრაციასთან). სოციალ-დემოკრატები თურქეთის პრობლემის გადაჭრას ევროპის ქვეყნების ძალებით არარეალურ საქმედ მიიჩნევდნენ და საკითხს ასე აყენებდნენ: რუსეთის ფაქტორის მოხსნა დაუყოვნებლივ წარმოშობს თურქეთის ფაქტორს, ორივე ფაქტორის ერთდროულად მოხსნა კი არარეალურია.

სასტიკ ომში გახვეულ კონტინენტზე მოვლენათა განვითარების პროგნოზირება ძალიან ძნელი იყო. ამ პირობებში ქართული ემიგრაციის მიერ შემოთავაზებულმა იდეამ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისა მხარდაჭერა ვერ პოვა — ქართველი პოლიტიკოსები ფრთხილობდნენ.

იყო კიდევ ერთი ვითარება, რომელიც გავლენას ახდენდა ჩვენს სინამდვილეზე: ომის წლებში ევროპის ქვეყნებში, კერძოდ დიდ იმპერიებში (რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი, გერმანია), ძალზე პოპულარული გახდა ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგი; ამის გათვალისწინებით, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს ავტონომიის იდეას. ამას თითქოს უნდა შეერბილებინა წინააღმდეგობა პოლიტიკურ პარტიათა შორის, ერთიანი ფრონტის შემუშავებაც რეალური ჩანდა...

1917 წლის თებერვალში რომანოვების იმპერიამ არსებობა დაასრულა. აღარ არსებობდა ძველი რუსეთი, აღარ არსებობდა მონარქია, რომელმაც 1801 წლის 12 სექტემბერს ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და შემდეგ მთელი საქართველო დაიპყრო.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ გაურკვეველი იყო.

ჯერ კიდევ არსებობდა რუსეთის უზარმაზარი არმია, რომელიც კავკასიის ფრონტზე იდგა და გასვლას არ ჩქარობდა.

გაურკვეველი იყო რუსეთის დროებითი მთავრობის პოლიტიკა, გაურკვეველი იყო სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია მსოფლიო ომის ფრონტებზე.

გარკვეული მხოლოდ ერთი რამ იყო: ახლოვდებოდა უდიდესი ცვლილებების დრო; საქართველოსთვის ეს შეიძლებოდა ყოფილიყო იმპერიის გარეშე ცხოვრების, ან რუსეთის დაწოლის გამაწონასწორებელი ფაქტორების არსებობის პირობებში ცხოვრების დრო. ალბათ ეს პერსპექტივა იყო იმის მიზეზი, რომ ის, რაც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ იქნებოდა ბუნებრივი — საგარეო-პოლიტიკური აზროვნების დამკვიდრება — საქართველოში ფაქტიურად დამოუკიდებლობის მიღწევამდე განხორციელდა. ქართველი პოლიტიკოსების ინტერესების სფეროში უკვე არა მარტო ერთი, არაშედ რამდენიმე სხვადასხვა ქვეყანა იყო, არა მარტო იმპერიის შიდა სიტუაცია, არამედ საერთაშორისო კონიუნქტურა.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი, პირველ ყოვლისა, მოითხოვდა ორი მთავარი ფაქტორის — რუსეთის და თურქეთის ფაქტორების — განხილვას. რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო რუსეთის ფაქტორი, მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა აშკარა გახადა თურქეთის ფაქტორის აქტუალურობაც. ზოგადი და ტრადიციული მიზეზების გარდა, ამაზე ვითარებაც მიუთითებდა: რუსეთის არმიის მიერ ამიერკავკასიის დატოვება ახალი ოკუპაციის საფრთხეს ბადებდა, ხოლო თურქეთის შემოტევის შემაჩერებელი ძალა რეგიონში არ არსებობდა — ქართული ჯარი სუსტი იყო, სომხური — კიდევ უფრო სუსტი და არაორგანიზებული, აზერბაიჯანელები თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლას საერთოდ არ აპირებდნენ.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ქართველმა პოლიტიკოსებმა რუსეთის და თურქეთის ფაქტორების მოხსნის გეგმა ვერ მონახეს. როგორც ჩანს, მაშინ ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მითუმეტეს, რომ ომის ვითარებაში ევროპა თავისი პრობლემებით იყო დაკავებული და საქართველოს მოსალოდნელი დამოუკიდებლობისთვის გარანტიების შექმნა არ აინტერესებდა.

ომის მესამე წლის ბოლოსთვის მდგომარეობა ასეთი იყო. რუსეთი წარმატებით იდგა ამიერკავკასიის ფრონტზე და თურქეთის ტერიტორიაზეც იყო შეჭრილი. დროებითი მთავრობის ფუნქციონირების პირობებში საქართველო კვლავ რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა. ამიერკავკასიაში მართვა-გამგეობას განახორციელებდა ოზაკომი („ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი"), მაგრამ მის გვერდით არსებობდნენ: მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები (რევოლუციური ხელისუფლების ორგანო) და, რაც მთა-

ვარია, **საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო**, რომელიც 1917 წ. აპრილში შეიქმნა და მოგვეველინა ეროვნული ხელისუფლების ჩანასახის როლში. ცხადია, ამ საბჭო ორგანოდან საქართველოზე და დამოუკიდებლობაზე მხოლოდ ინტერპარტიული საბჭო ფიქრობდა.

მაგრამ პრობლემას ის წარმოადგენდა, რომ საბჭოში (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ალიონელები, რადიკალ-დემოკრატები) გაუთავებელი პოლემიკა მიმდინარეობდა, რაც არ იძლეოდა საშუალებას შემუშავებულიყო ერთი გარკვეული კურსი პოლიტიკური ორიენტაციისა. სერიოზული კამათი იყო, კერძოდ, იმაზეც, გაეწყვიტათ თუ არა სახელმწიფოებრივი კავშირი რუსეთთან (ერთ მხარეს იყვნენ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები, მეორე მხარეს — ეროვნულ-დემოკრატები). ამასობაში საზოგადოებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში, ნელ-ნელა დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ **რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენლობაში ქვეყნის ცხოვრება** შესაძლებელია: ქართული სამეფო-სამთავროების მომსპობი იმპერია აღარ არსებობდა, ოზაკომი სულაც არ ჰგავდა იმპერიისდროინდელ მმართველობას და არც დროებითი მთავრობა აპირებდა ჯერჯერობით ძველებური კოლონიური რეჟიმის აღდგენას (თავის როლს ისიც თამაშობდა, რომ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში იდგნენ რუსეთის დემოკრატიის ისეთი აღიარებული ქართველი ლიდერები, როგორებიც იყვნენ კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი). თუმცა ყველა ეს არგუმენტი მხოლოდ იმისთვის კმაროდა, რომ ანტიიმპერიული განწყობილებების შესუსტება დროებითი მოვლენა ყოფილიყო.

რუსეთისადმი (და მისი დემოკრატიული ლიდერებისადმი—კ. ჩხეიძე, ი. წერეთელი, ა. კერენსკი, მ. სკობელევი და სხვ.) რწმენა, რომელიც ქართულ პოლიტიკურ ელიტას ჯერ კიდევ ჰქონდა, 1917 წ. 25 ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ საგრძნობლად განელდა (თვით ისეთი პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსებშიც კი, როგორებიც იყვნენ ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ის. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი და სხვ., რომ აღარაფერი ვთქვათ გ. გვაზავაზე, რ. გაბაშვილზე, სპ. კედიაზე, კ. აფხაზზე, დ. ვარნაძეზე და სხვ.). **საქართველოში კვლავ დაიწყეს ფიქრი რუსეთის ფაქტორის მოხსნაზე.** მაგრამ, რა თქმა უნდა — არაპროდუქტიულად და არამიზანდასახულად. ეს ნათლად გამოჩნდა ინტერპარტიული საბჭოს ინიციატივით

მოწვეულ პირველ ეროვნულ ყრილობაზე (1917 წ. 19—24 ნოემბერი), რომლის მონაწილეები პრაქტიკულ'დ სოლიდარულნი იყვნენ ორ საკითხში: პირველი — იმედიანად უყურებდნენ რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმის დამხობის შესაძლებლობას, მეორე — ერთხმად აღიარებდნენ, რომ ამიერკავკასიიდან რუსეთის წასვლა მაშინვე გამოიწვევს თურქეთის აგრესიას; საბოლოოდ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კარგი ურთიერთობების შენარჩუნება კავკასიის ფრონტზე მოქმედ რუსეთის არმიასთან (რომელმაც არ ცნო 25 ოქტომბრის გადატრიალება).

მორიგი გამოფხიზლებისთვის ქართველ პოლიტიკოსებს საბაბი მისცა 1917 წლის ბოლოსა და 1918-ის დასაწყისის ამბებმა, როდესაც ახალმა რუსეთმა სცადა კავკასიის ფრონტიდან მოხსნილი ჯარების გადაადგილება გამოეყენებინა ფართომასშტაბიანი აჯანყების მოსაწყობად და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად (ამიერკავკასიაში საბჭოთა რუსეთის მთავარი აგენტის — სტეფანე შაუმიანის გეგმა). ცდა უშედეგოდ დამთავრდა, 1918 წ. იანვარში რუსეთის ჯარებმა თბილისთან სასტიკი სამხედრო მარცხიც კი იწვნიეს. საბოლოოდ, არმიამ დატოვა საქართველო. პერსპექტივის პოზიციებიდან, ქართველ პოლიტიკოსებს (რომელთაც აღარ ეპარებოდათ ეჭვი ბოლშევიკების იმპერიულ მისწრაფებებში) ორი იმედი ღა რჩებოდათ: ერთი — რომ ანტანტის მიერ ინტერვენციის დაწყებას (1918 წ. მარტ-აპრილი) რუსეთის დამარცხება მოჰყვებოდა, მეორე — რომ რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმი საბოლოოდ მაინც დაემხობოდა (ამ ილუზიის გავლენას ჩვენმა პოლიტიკოსებმა გაცილებით გვიან, ემიგრაციაში ყოფნის წლებშიც კი, ვერ დააღწიეს თავი).

1918 წლის გაზაფხულზე გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა უდიდესი პრობლემები შეუქმნა რუსეთს — მან კონტროლი დაკარგა საკუთრივ ველიკოროსიის ტერიტორიის დიდ ნაწილზე. რაც შეეხება ამიერკავკასიას, აქ რუსეთს საკუთარი ინტერესების დაცვისთვის ფაქტიურად არავითარი საშუალება აღარ გააჩნდა. **ამრიგად, რუსეთის პრობლემის მოხსნა საქართველოსთვის რუსეთშივე შექმნილმა ვითარებამ გახადა რეალური.** მაგრამ მაშინვე გახდა აშკარა მეორე რეალობა: საქართველოსთვის პრობლემები ასე მარტივად არ წყდებოდა — საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის (ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა) მიმართ **თავისი აგრესიული გეგმების განხორციელებას შეუდგა თურქეთი** (ამისთვის მას ხელსაყ-

რელ ფონს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებიც უქმნიდა). რეალობა იყო ისიც, რომ ამიერკავკასიის ერების სამოკავშირეო სახელმწიფო მკვდრადშობილი გამოდგა. 1918 წ. აპრილ-მაისისთვის სომხეთი თითქმის მთლიანად თურქების მიერ იყო ოკუპირებული.

ქართველი პოლიტიკოსების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს სიტუაციაში დროული ორიენტირება: **რუსეთის ფაქტორის მოხსნის პირობებში, მთელი ყურადღება თურქეთის აგრესიის აღკვეთისკენ მიმართეს.** ქართველმა დიპლომატებმა (აკ. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე) ზედმიწევნით ზუსტად შეაფასეს საერთაშორისო ვითარება (1918 წ. მაისის დამდეგი და შუა ხანები) და **გერმანიის ფაქტორის ამოქმედება გადაწყვიტეს** — გერმანიას მიმართეს დასახმარებლად. ეს, შექმნილ სიტუაციაში, ერთადერთი სწორი და რეალური აქცენტი იყო პოლიტიკური ორიენტაციის კურსის შერჩევაში: მართალია, უფრო შორეული მომავლის პოზიციებიდან არც ამ არჩევანს ჰქონდა პერსპექტივა, მაგრამ, მეორე მხრივ, მიმდინარე მომენტის პოზიციებიდან, მხოლოდ მას შეეძლო შეექმნა ქმედითი დაბრკოლებები სამხრეთიდან მომავალი საფრთხისათვის. თურქეთი ხანდახან კიდეც ეურჩებოდა ხოლმე გერმანიას, მაგრამ საბოლოოდ, სურდა თუ არ სურდა, უნდა გაეთვალისწინებინა გერმანიის, როგორც მსოფლიო ომში მისი მოკავშირის, მოთხოვნები. გერმანიის დიპლომატიამ აქტიური თანამშრომლობა დაიწყო ქართველ კოლეგებთან, ბევრ მნიშვნელოვან საკითხში გაარკვია ისინი, კერძოდ, როგორც ჩანს, სწორედ მან აცნობა ქართველ პოლიტიკოსებს, რომ მოსალოდნელი იყო რუსეთ-თურქეთის ფარული ალიანსი — ერთი მხრივ, დამღუპველი საქართველოსთვის, მეორე მხრივ, საზიანო გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკისთვის. ამრიგად, ინტერესები ამ შემთხვევაში ორმხრივი და დაბალანსებული იყო: საქართველოს გერმანია სჭირდებოდა თურქეთის პრობლემის მოსახსნელად, საქართველო გერმანიისათვის საჭირო იყო აღმოსავლური პოლიტიკის წარმოებაში ფორპოსტის როლში.

ეს უკანასკნელი გარემოებაც ობიექტურად იყო განპირობებული: ანგლოფილური სომხეთის და თურქოფილური აზერბაიჯანის არსებობის პირობებში, ამიერკავკასიაში გერმანიის ერთადერთი მოკავშირე მხოლოდ საქართველო შეიძლებოდა ყოფილიყო. ბუნებრივი იყო, რომ სწორედ გერმანიის დიპლომატიამ მიანიშნა ქართველ პოლიტიკოსებს ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაშლის აუცილებლობაზე.

ასე რომ, 1918 წ. 26 მაისის აქტი — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა — არავითარ შემთხვევაში არ იყო ქართველ პოლიტიკოსთა მხრიდან მხოლოდ პატრიოტული ჟესტი, ამ აქტს ობიექტური დასაყრდენი ჰქონდა: იგი რეალური იყო იმის გამო, რომ შესაძლებელი შეიქნა ორი ფაქტორის — რუსეთისა და თურქეთის ფაქტორების — მოხსნა.

რუსეთთან დაკავშირებით ჩვენ ეს ყოველთვის გვახსოვს, მაგრამ გაცილებით ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას (და ეს საბოლოოდ ხელს გვიშლის არა მარტო 1918 წლის მოვლენებში გარკვევაში, არამედ შემდგომი განვითარების შეფასებაშიც, და, საერთოდ, საქართველოს ისტორიული ბედის განსაზღვრაში) იმ გარემოებას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის რეალურობა სხვა — არა მარტო რუსეთის — ფაქტორების ნეიტრალიზებასთანაც იყო და არის დაკავშირებული. ამავე კონტექსტში (1918 წლის გერმანიის გახსენებით): ყველაფერი ეს აუცილებლად მოითხოვდა და მოითხოვს პოლიტიკური ორიენტაციის სფეროში დაუღალავ მუშაობას — ანალიზსა და პროგნოზირებას, საგარეოპოლიტიკურ კურსში დოზირებული აქცენტების გაკეთებასა და ცვლას, ბალანსირი-ქვეყნების არჩევანის შექმნას...

1918 წლის 26 მაისიდან ნოემბრამდე საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტის როლს ფაქტიურად გერმანიის იმპერია ასრულებდა. პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლასთან დაკავშირებული საფრთხე ნულს უდრიდა რუსეთში სამოქალაქო ომის მძვინვარების გამო (1918-20 წ.წ.). მაგრამ მოვლენები კალეიდოსკოპურად იცვლებოდა და თანდათანობით ცხადი ხდებოდა, რომ საქართველოსთვის ბედნიერებაზე ფიქრი ჯერ ნაადრევი იყო. გერმანია ომში დამარცხდა, ქვეყანაში რევოლუცია დაიწყო, გერმანიის ჯარებმა საქართველო დატოვეს, გერმანოფილური საგარეოპოლიტიკური კურსი დასრულდა; საბჭოთა რუსეთმა გაიმარჯვა სამოქალაქო ომის ფრონტზე; დაახლოება დაიწყეს რუსეთმა და თურქეთმა; ომში გამარჯვებულმა ქვეყნებმა (ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები) საქართველო და მთელი ამიერკავკასია რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარეს. აი, მოვლენები, რომლებმაც ფაქტიურად წინანდელი ვითარება დააბრუნეს: ქართული სახელმწიფოებრიობის პრობლემა ისევ მხოლოდ რუსეთთან გახდა დაკავშირებული და მასზე დამოკიდებული. ამ ვითარების ნეიტრალიზების მცდელობა ამჯერად მარცხით დასრულდა.

1918 წლის ნოემბრის შემდეგ ქართველ პოლიტიკოსებს ფაქ-

ტიურად არ ჰქონიათ გამოკვეთილი სახით პოლიტიკური ორიენტაციის კურსი (ისევე როგორც რუსეთის მოსალოდნელი აგრესიისაგან თავის დაცვის პოლიტიკური გეგმა). ეს არ ნიშნავს იმას, რომ არაფერი კეთდებოდა, პირიქით: 1920 წ. 7 მაისს დაიდო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება; 1919-20 წლებში ქართველი პოლიტიკოსები (ა. ჩხენკელი, ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი და სხვ.) თავგამოდებით მუშაობდნენ ანტანტის ქვეყნებთან. ანტანტა მართლაც წარმოადგენდა ერთადერთ სერიოზულ ძალას, რომელსაც შეეძლო საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტის როლი შეესრულებინა, მაგრამ არც პარიზის კონფერენცია, არც ცალკე აღებული რომელიმე დიდი ქვეყანა არ დათანხმდა წინ აღდგომოდა რუსეთის შემოსვლას საქართველოში (ევროპის პოლიტიკოსთა დიპლომატიური ჟესტები, რა თქმა უნდა, საქმეს ვერ უშველიდა). მიუხედავად მცდელობებისა, ქართველმა პოლიტიკოსებმა რუსეთის გავლენის სფეროდან საქართველოს გამოყვანა ვერ შეძლეს, არარუსული პოლიტიკური ორიენტაციის კურსი წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. ეს იყო ობიექტური მოცემულობა, რომელიც განსაზღვრა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა საერთაშორისო სიტუაციამ. საბჭოებს შესაძლებლობა მიეცათ პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით კარგად მოემზადებინათ საქართველოს ოკუპაცია...

მნიშვნელობა იმ ბედნიერი ეპოქისა, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეპოქა ჰქვია, ჩვენს ისტორიაში ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს. საქართველომ გაიხსენა და გაახსენა სხვებს, რომ იგი სახელმწიფოა, ხოლო ჩვენთვის, ამ ნარკვევში, საინტერესო საკითხის პოზიციებიდან, დარწმუნდა და დაარწმუნა სხვები, რომ შეიძლება ყველაფრის აღდგენა, რომ იგი უკვე მზადაა იყოს თანამედროვე სახელმწიფო, რომლის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა აღიაროს ყველამ, ვისაც რაიმე პოლიტიკური კავშირი ექნება მოცემულ რეგიონთან. ცხადი გახდა, კერძოდ: 1) რომ კვლავ და საბოლოოდ არსებობს ერთიანი საქართველო, რომელსაც ძალუძს ერთიანი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დოქტრინის შექმნა და განხორციელება; 2) რომ საქართველოსთვის რეგიონულ ლიდერობაზე პრეტენზიის განცხადება სრულიად რეალურია; 3) რომ საქართველო ისევ საინტერესო ქვეყანაა — არა მარტო უშუალო მეზობლებისათვის, არამედ სახელმწიფოთა მთელი წყებისათვის, და მას შეუძლია თავისი ტრადიციული საერთაშორისო ფუნქციების შესრულება, რაც

ვონიერული ბალანსირების პოლიტიკის განხორციელებისათვის იძლევა საშუალებას; 4) და ბოლოს — რომ, ყოველივე აქედან გამომდინარე, მარცხი დროებითია, ისტორიული პროცესის დაგვირგვინება მხოლოდ დროშია გადავადებული.

დღეს ყოველივე ამის დრო დადგა — დადგა დრო იმის განხორციელებისა, რაც ექსპერიმენტის სახით 1918-21 წლებში გავიარეთ. **უფრო მეტიც, დღეს უკვე დაწყებულია რეალიზება:** 1) საქართველოს გეოპოლიტიკური უპირატესობებისა (რა თქმა უნდა, შესაბამისი სირთულეების არსებობის ფონზე); მართალია, ჩვენთვის ბლოკირებულია ჩრდილოეთიდან მომავალი გზის გამოყენების შესაძლებლობები, მაგრამ ძალაშია სამხრეთიდან გამავალი კარის კონტროლის ფუნქცია; რაც მთავარია, აქტუალიზებულია — შესაძლოა, წინანდელზე უფრო მეტად — ორ ზღვას შუა მდებარე გზის, ტრანსკავკასიური დერეფნის, ფაქტორი; 2) საქართველოს ადგილისა პლანეტის მოცემულ, ერთ პატარა, ნაწილში: შექმნილ კავკასიურ სიტუაციაში საქართველოს აშკარად შეუძლია იყოს რეგიონული ლიდერი, ცივილიზებული, მისაღები არა მარტო ადგილობრივი სუბიექტებისათვის, არამედ მთლიანად მსოფლიო თანამეგობრობისათვის; გარდა ამისა, კვლავ, ახალი ძალით, ხდება აქტუალური საქართველოს, როგორც სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესებისა და სხვადასხვა ცივილიზაციათა მიჯნაზე მყოფი ქვეყნის, როლი, გარკვეული ევრაზიული შესაყარის როლი მოცემულ რეგიონში (კონკრეტული სამომავლო რეალიზებით: შეხვედრების ადგილი, შტაბ-ბინების ადგილი და ა. შ.), 3) იმ გონივრული ბალანსირების პოლიტიკისა, რომელიც მცირერიცხოვანი ქვეყნების მთავარი პრაქტიკული იარაღია; შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ, როგორც გეოგრაფიულ, ფინანსურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ შესაყარებზე მდებარე ქვეყანამ, უკვე დაიწყო ამ პოლიტიკის განხორციელება, იმის თქმაც შეიძლება, რომ დაიწყო წარმატებით, რაც დღეს უკვე იძლევა საშუალებას ზომიერი გადახრაც კი გაკეთდეს პოტენციური პოლიტიკური მოკავშირეების ფართე არჩევანში.

არჩევანი ახლადფეხადგმულ სახელმწიფოს აქვს. ნეიტრალური პოზიციის ტრადიციებიც აქვს. სასწავლიც ბევრი აქვს. ჩვენ თავიდან უნდა ვისწავლოთ, რომ საგარეო პოლიტიკაში განყენებული მორალის კატეგორიებისათვის უპირატესობის მინიჭება, საკუთარ პრაგმატულ გეოპოლიტიკურ ინტერესებთან შედარებით, ნიშნავს დამარცხებას პერსპექტივაში.

განუყოფელი საქართველოსათვის

„ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების“...

დასაწყისისათვის — ორი ციტატა ადრინდელი პუბლიკაციებიდან.

პირველი: „მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კონსოლიდაციის აქტი ათასწლეულზე გაცილებით მეტი ხნის წინ განხორციელდა, შემდგომი განვითარების შედეგად, რუსეთის იმპერიაში შევიდა არა საქართველო, არამედ ქართული სამეფოები და სამთავროები ცალ-ცალკე“ (ა. სილაგაძე, საქართველო 88-90, გვ. 7; სტატია — „ტაძარი“ — დაიბეჭდა 1988 წ. სექტემბერში).

მეორე: „ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების პროვინციულ სცენაზე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ზედიზედ დადგმული სამოყვარულო სპექტაკლების შემყურეებმა, ჩვენ ყველაფერი, რაც ხდებოდ ჩვენს ირგვლივ, ისე დავინახეთ, რომ გამოგვრჩა მთავარი. მთავარი კი ის არის, რომ ჩვენ ვიშლებით, ანუ ვუქმდებით.

ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ საქართველო ისტორიულ ზღურბლთან დგას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისტორიამ არჩევანი შემოგვთავაზა: ვიყოთ თუ არა ჩვენ ანუ საქართველო ერთიანი ქვეყანა, ქვეყანა, რომელიც ღმერთმა გვიბოძა ამ მოცემულ ტერიტორიულ ფარგლებში, ვიყოთ თუ არა ჩვენ ამ მოცემული ტერიტორიის ერთიანი პატრონნი, თუ დავიშალოთ ტერიტორიებად, ხალხებად, ადამიანებად (...).

ჩვენ არც ის გვინდა დავინახოთ, რომ ეს არ არის უკანასკნელ დროს წარმოქმნილად ან გარედან მოსულად დასმული ამოცანა.

(...) საქართველოს დაშლის ანუ მისი გაუქმების პროცესში, უფ-

რო ზუსტად — მცდელობის პროცესში, შეიძლება ერთი, ჩვენთვის არასასურველი, კანონზომიერება ჩამოყალიბდეს.

როგორ მოულოდნელადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ჩვენი ისტორიის უკანასკნელ მონაკვეთში მისი, ამ პროცესის, შეჩერების მძლავრი ცდა ჩვენი მხრივ განხორციელდა მე-19 ს-ში, ე. ი. მაშინ, როდესაც ჩვენი ანშლუსი მოხდა, როდესაც ჩვენ უნდა გავმქრალიყავით რუკიდან, ე. ი. ურთულეს ვითარებაში, როდესაც ერს კოლონიზატორის უმძიმესი პრესი აწვა ზემოდან.

(...) მეორეჯერ ამ პროცესის ნეიტრალიზება ხდებოდა საბჭოთა პერიოდის პირობებში, ე. ი. ისევ უმძიმეს ვითარებაში, როდესაც კვლავ იმპერიის პრესი გვაწვა. და ისევ როგორ მიუღებელიც არ უნდა იყოს ეს მოსაზრება ვინმესთვის, ჩვენ ამ მხრივ კვლავ წარმატებები გვქონდა.

(...) და აი, ყველაფერ ამას მოჰყვა დღევანდელობა, რომელიც სწორედ ისტორიულ ზღურბლს ქმნის, რადგანაც ჩვენ დღეს არ გვაწვება ვიღაცის პრესის სიმძიმე (...), როდესაც ჩვენ გვექმნება საშუალება თვითონ განვაგოთ ჩვენი ბედი (...). სწორედ ამ სიტუაციაში შეიძლება ჩამოყალიბდეს კანონზომიერება, რომელიც ზემოთ ვახსენეთ: იმ პირობებში, როდესაც მარტონი ვართ დარჩენილი საკუთარ თავთან, ჩვენ ვერ ვწყვეტთ ჩვენს სასარგებლოდ ამოცანას — გვინდა თუ არა დავშალოთ საქართველო, გვინდა თუ არა გავაუქმოთ იგი, როგორც ასეთი, გვინდა თუ არა დავადგეთ დაღუპვის გზას.

ჯერჯერობით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გვინდა“ (ა. სილაგაძე, თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს, გაზ. „საქ. რესპუბლიკა“, 1993 წლის 2 მარტი).

ახლა ვნახოთ, როგორ ებრძოდნენ დამღუპველ პროცესებს ჩვენი უშუალო წინაპრები, რომლებმაც იცოდნენ, რა ფაქტორი იყო წამყვანი ჩვენი სახელმწიფოებრიობის განხორციელების საქმეში.

...ალექსანდრე I დიდის (1412-1442) შემდეგ, XV საუკუნის ბოლოსთვის, საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად უკვე მომხდარი ფაქტი იყო. შემდეგ საუკუნეებში გარკვეული წარმატება იქნა მიღწეული 1762 წელს, როდესაც თეიმურაზ მეორის გარდაცვალების შემდეგ ერეკლე მეორე ქართლ-კახეთის მეფე გახდა. მაგრამ — მხოლოდ გარკვეული. სოლომონ პირველმა (1752-1784) ვერ შეძლო დასავლეთ საქართველოს გაერთიანება: სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები დამოუკიდებელ პოლიტიკურ

ერთეულებად რჩებოდნენ, არცერთი მთავარი იმერეთის მეფის უზენაესობას არ სცნობდა. ასე რომ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ახალ სტადიაში შევიდა, რუსეთის იმპერია ურთიერთობას ამყარებს არა ერთიან საქართველოსთან, არამედ ცალკეულ, დამოუკიდებელ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა და სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ჰქონდა არა საქართველოს, არამედ ქართლ-კახეთის სამეფოსა და იმერეთის სამეფოს ცალ-ცალკე. 1783 წელს გეორგიევსკში რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებული ტრაქტატი (ხელშეკრულება) არ შეიძლებოდა გავრცელებულიყო და არც გავრცელებულა სხვა ქართულ სამეფოსამთავროებზე. ისევე როგორც 1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე პირველის მანიფესტით გაუქმდა მხოლოდ ქართლ-კახეთის სამეფო და ოკუპაციაც და ანექსიაც ქართლ-კახეთის მიმართ განხორციელდა. იმერეთის სამეფო 1804 წელს სამხედრო მუქარის პირობებში იქნა შეყვანილი რუსეთის იმპერიის მფარველობაში. 1810 წელს რუსეთმა სამეფო დაიპყრო — ოკუპაცია და ანექსია მხოლოდ იმერეთის სამეფოს მიმართ განხორციელდა. 1803 წელს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა სამეგრელოს სამთავრო, 1804 წელს — გურიის სამთავრო, 1810 წელს — აფხაზეთის სამთავრო. ოკუპაციაც და ანექსიაც სამთავროების მიმართ ცალ-ცალკე განხორციელდა. 1857 წელს ფაქტიურად, ხოლო 1867 წელს იურიდიულად გაუქმდა სამეგრელოს სამთავრო; 1857 წელს ფაქტიურად, ხოლო 1859 წელს იურიდიულად გააუქმეს სვანეთის სამთავროც. 1864 წელს გაუქმებულ იქნა აფხაზეთის სამთავრო.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს განაგებდა „საქართველოს მმართველობა," რომელსაც სათავეში ედგა სამხედრო მოხელე — იგი, იმავე დროს კავკასიის ჯარების მთავარსარდალიც იყო. მთავარსარდლის მოადგილე (თანაშემწე) ითვლებოდა „საქართველოს მმართველად". ქართლ-კახეთი დაყოფილი იქნა მაზრებად (თავდაპირველად — ხუთი მაზრა: თბილისი-ლორეს, გორის, დუშეთის, თელავის, და სიღნაღისა). იმერეთის სამეფოს ტერიტორია, ქართლ-კახეთის სამეფოსგან განსხვავებით, ოლქებად დაიყო (სულ ექვსი ოლქი: ქუთაისის, ვაკის, საჩხერის, ჩხარის, რაჭის და ბაღდადისა).

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი რუსეთის იმპერიამ თურქეთთან ომების შედეგად ჩაიგდო ხელში. 1806-1812 წლების ომის დასრულების შემდეგ, ბუქარესტის ზავით, სოხუმი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომში კვლავ რუსეთმა გაიმარჯვა და ადრიანოპოლის ზავით რუსეთის შემადგენლობაში შევიდა ფოთი, ახალქალაქი, ახალციხე, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, აბასთუმანი და მთელი შავიზღვისპირა ზოლი მდ. ჩოლოქიდან მდ. ყუბანამდე. 1877-1878 წლების ომში მარცხის შემდეგ, სან-სტეფანოს ზავის პირობებისა და ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილების თანახმად, თურქეთმა რუსეთს დაუთმო საქართველოს ისტორიული ტერიტორია: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი.

1840 წელს განხორციელდა ამიერკავკასიის ადმინისტრაციული მმართველობის რეორგანიზაცია. მთელი ამიერკავკასია გაიყო ორ ადმინისტრაციულ ერთეულად: საქართველო-იმერეთის გუბერნიად და კასპიის ოლქად. საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შედიოდა თბილისის, გორის, თელავის, გურჯაანის, ქუთაისის, ახალციხის, გურიის, ელიზავეტპოლის, ალექსანდრეპოლის, ერევნისა და ნახჭევანის მაზრები. ამრიგად, საქართველო-იმერეთის გუბერნიაში არაქართული ტერიტორიაც შევიდა (ყოფილი განჯის, ერევნისა და ნახჭევანის სახანოები).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ პერიოდისათვის (1840 წ.) ჯერ კიდევ არსებობდა სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები, მათ შინაგანი ავტონომია შენარჩუნებული ჰქონდათ, ადმინისტრაციული მმართველობის რეფორმა მათ არ შეხებიათ. სამთავროების გაუქმებისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთების შემდეგ 1882 წელს ამიერკავკასიის ადმინისტრაციული დაყოფა კვლავ შეიცვალა. ცვლილებები მოხდა შემდეგ ხანებშიც. საბოლოოდ, რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოს ისტორიული ტერიტორია დაიყო შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად: თბილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია, სოხუმის ოკრუგი, ბათუმის ოლქი და ზაქათალის ოკრუგი. ეს დაყოფა აღარ შეცვლილა რუსეთის იმპერიის აღსასრულამდე.

ცხადია, საქართველოს ადმინისტრაციულ დაყოფას 1802-1917 წლებში თავისი შორს გამიზნული ამოცანები ჰქონდა. შემთხვევითი მომენტი საქართველოს ტერიტორიის ადმინისტრაციულ მოწყო-

ბაში გამორიცხული იყო. სხვა მიზნებთან ერთად (ქართველთა ასიმილაცია, დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლა, ეკონომიკური ექსპანსიის გაძლიერება და სხვ.) ადმინისტრაციული დაყოფა მთავარ მიზნად ისახავდა „საქართველოს“ და „ქართველის“ ცნებების მოსპობას. სამეგრელოს, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროების შენარჩუნებაც ამავე მიზანს ემსახურებოდა. რატომ მაინცდამაინც ამ სამთავროებს შეუნარჩუნდათ შინაგანი ავტონომია ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე? რატომ გააუქმეს გურიის სამთავროს ავტონომია ძალიან მალე (1828-1829 წწ), ან რატომ არ მისცეს შინაგანი ავტონომია, ვთქვათ, რაჭის საერისთაოს? მიზეზი ერთადერთია: პეტერბურგელმა პოლიტიკოსებმა კარგად იცოდნენ, რომ ფეოდალური პარტიკულარიზმის გამოცდილების მქონე სამთავროები გარკვეულ დრომდე ისევ უნდა შეენარჩუნებინათ, გაელვივებინათ იქ სეპარატიზმი და საქართველოს ცნებიდან გამოეყოთ სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი; ამ შემთხვევაში ლინგვისტურმა ფაქტორმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი. არც ის იყო შემთხვევითი, რომ რუსულ ადმინისტრაციაში პრაქტიკულად დამკვიდრდა ცნებები: იმერელი, მეგრელი, სვანი, გურული, აჭარელი, ქართლელი, კახელი.

სეპარატიზმის გაღვივებას ისახავდა მიზნად ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად ბათუმის ოლქის, სოხუმის ოკრუგისა და ზაქათალის ოკრუგის გამოყოფა. პეტერბურგელ პოლიტიკოსებს ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, აჭარის, აფხაზეთისა და საინგილოს ეთნოგრაფიულ-რელიგიური პრობლემები არ აინტერესებდათ. საქართველოს ისტორიული ტერიტორია უნდა დანაწილებულიყო — ეს იყო მთავარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზაქათალის ოკრუგი (საინგილო) ერთი მაზრის სახით შეიძლებოდა შესულიყო თბილისის გუბერნიაში. ისევე როგორც ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუგიც მაზრების სახით შეიძლებოდა გაერთიანებულიყო ქუთაისის გუბერნიაში. და ბოლოს, საკუთარი შესაძლებელი იყო მთელი საქართველო იმპერიის შემადგენლობაში შეეყვანათ **საქართველოს გუბერნიის** სახით (რუსეთის იმპერიაში ტერიტორიისა და მოსახლეობის მიხედვით ამაზე დიდი გუბერნიებიც არსებობდა). მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი ადმინისტრაციული ერთეულის (გუბერნიის) შიგნით იყრიდა თავს საქართველოს ისტორიული ტერიტორია — ეს კი მძლავრი დაბრკოლება იქნებოდა საქართველოს და ქართველის ცნების მოსპობის საქმეში.

საბოლოოდ, ვითარება, რომელიც შეიქმნა, ურთულესი იყო ქვეყნისათვის, არსებითად — დამღუპველი. ერთი მხრივ, ქვეყანა, როგორც ასეთი, ფაქტიურადაც და იურიდიულადაც არ არსებობდა, მეორე მხრივ, ყველაფერი ისე იყო დაგეგმილი, რომ პერსპექტივაში ერს, როგორც ასეთს, არ ეარსება. მაგრამ ამ მრავალპლანიან გეგმაში, განგების ძალით, ერთი შეცდომა მაინც იქნა დაშვებული, რომელიც — ქართველობის მხრიდან უკომპრომისობისა და მიზანმიმართული მეცადინეობის შემთხვევაში — შანსს ზრდიდა (ამ აზრს იზიარებს წინამდებარე ნარკვევის ერთი ავტორი— ა. სილაგაძე, ნაკლებად — მეორე ავტორი, ვ. გურული). საქმე ისაა, რომ თეორიულად გეგმის უფრო კარგი ვარიანტი არსებობდა. საქართველოს ცნების ამოძირკვის მიზნიდან გამომდინარე, არავითარ შემთხვევაში არ იყო მიზანშეწონილი არსებული სტატუს-კვოს შეცვლა, ყველა სამეფო და სამთავრო, რომელიც შევიდა იმპერიის შემადგენლობაში (რასაც სათანადო იურიდიული გაფორმება ახლდა თან), უნდა დარჩენილიყო იმავე ფარგლებში, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა უნდა დარჩენილიყო იმავე ფარგლებში, უნდა დარჩენილიყო სათანადო ნომენკლატურაში (მაზრა იქნებოდა ეს თუ უფრო დიდი ერთეული) იგივე სახელწოდებები (ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და ა.შ.). ძოხდა პირიქით: შექმნილ სიტუაციაში, მართალია, არ არსებობდა საქართველოს ცნება, მაგრამ, ჯერ ერთი, აღარ არსებობდა არც კუთხეთა სახელწოდებები, მეორეც, თბილისის ცნების ქვეშ გუბერნიად გაერთიანება, ქუთაისის ცნების ქვეშ გუბერნიად გაერთიანება და ა. შ. სწორედ გაერთიანების საქმეს შეიძლებოდა მომსახურებოდა, ე. ი. საქართველოს ცნების რეალიზებას მომავალში. ფაქტიურად, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, გარკვეული თვალსაზრისით წინ გადადგმული ნაბიჯიც კი შეიძლება დავინახოთ იმასთან შედარებით, რაც გვქონდა მე-19 ს-მდე, რა თქმა უნდა, სასურველი პერსპექტივის პოზიციებიდან: თუ აღდგებოდა ქვეყანა, აღდგებოდა არა ცალ-ცალკე ერთეულები, არამედ რაღაც დონით გაერთიანებულად. მოვლენათა შემდგომი განვითარება სწორედ ამდაგვარი იყო: როდესაც ცარისტული რუსეთი დაინგრა, 1918 წელს საქართველოში არავის გახსენებია, რომ იმპერიის შემადგენლობიდან განთავისუფლდნენ მასში თავის დროზე შეყვანილი იმერეთი, გურია და ა. შ., გაჩნდა სწორედ ერთიანი დამოუკიდებელი საქართველოს ცნება, ხოლო მისი ტერიტორიული ფარგლების განსა-

ზღვრა დაეყრდნო სწორედ იმას, რომ არსებობდა ქუთაისის გუბერნია (ეს საქართველოა!), თბილისის გუბერნია (ეს საქართველოა!) და ა. შ.

...მაგრამ ვითარება მართლაც კატასტროფული იყო. ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ისტორიული მეხსიერებიდან საქართველო ამოშლილიყო. დრო ცოტა რჩებოდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ადრე არსებობდა ერის სულიერი და მატერიალური ძალების დამრაზმავი, გამაერთიანებელი ორი ძალა — ბაგრატიონთა სამეფო დინასტია და ქართული ეკლესია. კოლონიურმა ხელისუფლებამ 1802 წლიდან დაიწყო ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წარმომადგენელთა დევნა და შევიწროვება, რაც საბოლოოდ მათი საქართველოდან გადასახლებით დამთავრდა. იგივე გამეორდა იმერეთშიც. ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენლები ერის ბრძოლას ველარ უხელმძღვანელებდნენ. 1811 წელს გაუქმებულ იქნა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა ჩააბარეს ეგზარხოსს, რომელსაც რუსეთის უწმინდესი სინოდი ნიშნავდა.

ამგვარ ურთულეს მდგომარეობას საქართველომ ადექვატური რეაგირება დაუპირისპირა — და ეს იყო ჩვენი ბედნიერება. ეროვნული მოძრაობის მაორგანიზებელი ძალის როლში მოგვევლინა ქართული ფეოდალური არისტოკრატია. ლაპარაკია , ჩვენდა საბედნიეროდ, ეროვნულ მოძრაობაზე არა საქართველოს რომელიმე კუთხეში, არამედ ეროვნულ მოძრაობაზე **მთელი საქართველოს** მასშტაბით. 1832 წლის შეთქმულება სწორედ ამის [illegible]ტურებელი იყო. შეთქმულებს მთელი საქართველოს [illegible]. მათ დაძლიეს არა მარტო ფეოდალური პარტიკულარიზმის [illegible] მემკვიდრეობა, არამედ რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების ენერგიული ღონისძიებების შედეგად გაღვიძებული თუ დანერგილი სეპარატიზმი. ეს მომენტი სწორად შენიშნეს 1832 წლის შეთქმულებაში ჭკვიანმა რუსმა სახელმწიფო მოღვაწეებმა. 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, ან 1812 წლის კახეთის და 1819-20 წლის იმერეთის აჯანყებები რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ როგორც ჩვეულებრივი „ბუნტები“ ისე გამოიძია, ხოლო 1832 წლის შეთქმულთა საქმის ძიებას უზარმაზარი დრო და ენერგია მოახმარა — ყველაფერი ძირფესვიანად გამოარკვია და შესაბამისი დასკვნებიც გააკეთა. იმპერიის მესვეურებს შეთქმულების შედეგები იმდენად არ აწუხებდათ, რამდენადაც

ის, რომ საქართველოში, ერთი მხრივ, მკვიდრდებოდა მათთვის საშიში იდეა, ხოლო, მეორე მხრივ, გამოიძებნა ის ძალა, რომელიც ხვალ შეიძლებოდა სათავეში ჩასდგომოდა ამ იდეის განხორციელებას — მთელი საქართველოს, მთელი ქართველი ერის კონსოლიდაციას რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ამიტომ საოკუპაციო ხელისფლება არა მარტო დასჯილ, არამედ „შეწყალებულ" შეთქმულებსაც დიდი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს.

ის, რაც რუსეთის იმპერიას ძალზე აშინებდა საქართველოში, აღარ გამოვლენილა 1832 წლის შემდეგ მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე. მაგრამ XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან და 60-იანი წლების დამდეგიდან ვითარება იცვლება. დაიწყო საქართველოსა და ქართველობის გადარჩენისათვის ბრძოლის ახალი, დიდი ეპოქა.

XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან და 60-იანი წლების დამდეგიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის სამოციანელთა დიდი თაობა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ერთიანი საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლაში: ილია ჭავჭავაძე (1837-1907), დიმიტრი ყიფიანი (1814-1887), აკაკი წერეთელი (1840-1915), იაკობ გოგებაშვილი (1840-1912), გიორგი წერეთელი (1842-1900), ნიკო ნიკოლაძე (1843-1928), სერგი მესხი (1845-1883) და სხვ. ეს იყო მოღვაწეთა ბრწყინვალე კრებული, რომელსაც მშვენივრად ესმოდა, რომ, ყოველგვარი მოსამზადებელი ეტაპების გარეშე, მოძრაობა უნდა დაწყებულიყო არა კოლონიზაციის უშუალო შედეგების აღსაკვეთად — ქართული სამეფო-სამთავროების აღსადგენად, არამედ ერთიანი საქართველოს პოზიციებიდან. საქართველოს გამთლიანება ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის, მისი დამკვიდრებისა და გაგრძელების ერთადერთი, ისტორიულად გამოცდილი, გარანტი იყო.

ამ თანავარსკვლავედში აშკარად გამოირჩეოდა ილია ჭავჭავაძე, რასაც თვით სამოციანელები აღიარებდნენ. ნიკო ნიკოლაძე 1873 წელს წერდა: „1861 წლის ახალი თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღვსებული შემოვიდა, იმას კეთილი მიზანი ჰქონდა, პატივსაცემი მიმართულება, შრომისა და ბრძოლის სურვილი და ახალგაზრდული აღტაცება, მაგრამ, როგორ ან რისთვის დავმალოთ, რომ ამ თაობას, ამ ახალ რაზმს შეადგენდა თითქმის მარტო ერთი კაცი — ილია ჭავჭავაძე; რომელიც წინამძღოლიც იყო და რაზმიც, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ურაზმო წინამძღოლი იყო იმ ახალი

თაობისა". ილიას გავლენას განიცდიდა მთელი ქართული სინამდვილე, მთელი ეპოქა. დღეს ძნელი სათქმელია: ის დიდი ეპოქა, რომელმაც საქართველოსა და ქართველობის გადარჩენაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, ილია ჭავჭავაძემ მოიყვანა, თუ თვით ილია, რაღაც გარდაუვალობის კანონებით, მოიყვანა ამ ეპოქამ.

საქართველოსა და ქართველობის გადარჩენისათვის ბრძოლის აუცილებლობას გაუსვა ხაზი ილია ჭავჭავაძემ თავის პირველსავე პუბლიცისტურ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის" თარგმანზედა" (1860): „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?" მაგრამ მამულის, ენისა და სარწმუნოების გადარჩენა ძნელი, თითქმის შეუძლებელი ჩანდა.

ქართულ ეროვნულ ცნობიერებას ძლიერი დარტყმა ჰქონდა მიყენებული. ილია ჭავჭავაძემ თავის ბრწყინვალე წერილში „ზოგიერთი რამ" რეალიები მთელი სისრულით შენიშნა. ეს წერილი 1866 წელს დაიწერა, მაგრამ ცენზურის წინააღმდეგობის გამო მხოლოდ 1876 წელს დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში". კითხვაზე — „სად არის ქართველი და ქართველობა?" ილია უარყოფითად პასუხობს: „ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი — ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა — თავადი, გლეხსა — ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი — სათავადოა, აზნაურის — საააზნაურო, გლეხის — საგლეხო, ვაჭრისა — სავაჭრო, ნუთუ, ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი? თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა — თავადსა, ორივესი — გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულის ნაყოფნი და ერთის დედის საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი?" თუ ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძე უფრო სოციალურ მომენტს წამოსწევს წინა პლანზე, ქვემოთ აშკარად ერთიანი ეროვნული ცნობიერების არარსებობაზე სწუხს: „აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი მსხვილი კისერი შენკენ მოიღრიჭოს, სხვა-

ნი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არა ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო". იმავე აზრს ილია ასეც აყალიბებს: „ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსათვის. იმერელი — იმერელია, გურული — გურულია, მეგრელი — მეგრელია, ქართლელი — ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან". ყოველივე ზემოთ მოტანილის ფონზეც კი შეიძლება გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს ილიას წერილის ერთი ადგილი: „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადაო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა — მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე — ტყრუშული ღობეა, ვენახ გარშემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი მამულიშვილობა — მხვნელისა და მთესველის სახელიღაა". მაგრამ ყველაფერი ეს ფაქტი იყო (ჩავიხედოთ ჩვენს გულებში — დღეს არ არის ფაქტი?).

აი, ასეთ უძნელეს, უიმედო სიტუაციაში იწყებოდა ბრძოლა საქართველოსა და ქართველობის გადასარჩენად — საქართველოს ერთიანობისათვის. იწყებოდა და მიმდინარეობდა, სხვათაშორის, გარკვეული სერიოზული იდეური წინააღმდეგობების პირობებში. ცნობილია ილია ჭავჭავაძის უთანხმოებანი ნიკო ნიკოლაძესთან, გიორგი წერეთელთან, სერგეი მესხთან, ივანე მაჩაბელთან და ბოლოს, არჩილ ჯორჯაძესთან. მაგრამ ამ უთანხმოებაშიც კი წინა პლანზე ყოველთვის საქართველოს ინტერესები იდგა — ეს პრინციპული საკითხი იყო, ამის გარეშე გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა.

სამოციანელთა დიდმა თაობამ, ილიას წინამძღოლობით, გამარჯვება მოიპოვა.

ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მათ დაისახეს არა მარტო ნგრევის (იმპერიის მიერ შექმნილი სიტუაციის). არამედ შენების ამოცანა, რომელშიც არა მარტო საქართველოს და ქართველობის გადარჩენა იგულისხმებოდა, არამედ მომავალი საქართველოსათვის საძირკველის ჩაყრა. შეიძლება თქმა ასეც: არსებობდა არა მარტო ზოგადი იდეა გადარჩენისა, არამედ კონკრეტული გადამჭრელი ზომეზიც, მაგრამ გადამჭრელი ზომები, მიმართული არა მარტო სახელმწიფოებრიობის არმქონე, შთანთქმულ ქვეყანაში ერის შეკერისკენ და მი-

ნი პოტენციალის შენარჩუნებისკენ, არამედ მომავალში მკვდრეთით აღმდგარი, სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნის ახლავე შენებისკენ. საბოლოოდ: საქართველოს და ქართველობის ცნებების გადარჩენის (პირველი რიგის ამოცანა) გვერდით—პარალელურად, ერთდროულად—იყო საზოგადოების ისეთი მოღვაწეობაც, თითქოს ქვეყანა უკვე სხვა, ახალ მდგომარეობაშია—იგი სახელმწიფოა (1990 წ. თებერვალში გამოქვეყნებულ წერილში წინამდებარე ნარკვევის ერთ-ერთი ავტორი ქვეყნის წინაშე შემდეგ ამოცანას ხედავდა: „დამოუკიდებლობის მდგომარეობის კონკრეტული შენება ახლავე. ეს არის დეტალური. შემოქმედებითი პროცესის დაწყება იმ მდგომარეობაში, რომელშიც არ გვინდა ვიყოთ, იმ მდგომარეობისთვის, რომელშიც გვინდა ვიყოთ. ახალი სტრუქტურების, მომავალი საქართველოს კონკრეტული სტრუქტურების შენება უნდა დავიწყოთ დღესვე — ისე, თითქოს უკვე ვართ დამოუკიდებელ საქართველოში". ა. სილაგაძე, საქართველო 88-90, თბ. 1992 წ., გვ. 137). ყველაფერმა ამან ის მოიტანა, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი ფაქტიურად მთავრობის ფუნქციებს განახორციელებდნენ და ქმნიდნენ უნიკალურ სიტუაციას: სახელმწიფო არ არსებობდა, მაგრამ არსებობდა და მოქმედებდა მთავრობა — კამუფლირებული სახელმწიფოს კამუფლირებული მთავრობა. და იგი, ყოველ შემთხვევაში — მისი ლიდერი, ამზადებდა, როგორც ჩანს, ეროვნულ კონცეფციას, რომელიც გარდაუვალი პოლიტიკური ფასეულობების შემცველი იქნებოდა.

ზემოთ თქმულის ნათელი ილუსტრაციაა სამოციანელთა მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები.

თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა, ისევე როგორც ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა, საქართველო, ქართული მიწა იხსნა პირდაპირი მნიშვნელობით. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების დამკვიდრების პირობებში ქართველ თავადაზნაურობას ხელიდან ეცლებოდა მიწა — იგი თითქმის მთლიანად უცხოტომელი, ძირითადად სომეხი, ბურჟუაზიის ხელში გადადიოდა, რომელიც ფულის მთავარი გამსესხებელი იყო.

ბანკის დაარსების იდეა თავის დროზე დიმიტრი ყიფიანმა წამოაყენა. ბატონყმობის გაუქმებისას მთავრობამ მემამულეებს მისცა გარკვეული თანხა. დიმიტრი ყიფიანმა, რომელიც იმხანად თავადაზნაურობის მარშლად იყო, დაითანხმა თავადაზაურობა, რათა მიღებული თანხის ნაწილი არ დარიგებულიყო და გადადებუ-

ლიყო ბანკის დაარსებლად. დადგენლება ბანკის დაარსების შესახებ გამოტანილი იყო ჯერ კიდევ 1867 წელს. გარკვევით და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბანკი არ უნდა ყოფილიყო თავადაზნაურთა წოდებრივი ორგანიზაცია. ილია ჭავჭავაძე წერდა: თბილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის „ნიშანდობლივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებისაგან განარჩევს, ის არის, რომ ბანკის მოგება, გარდა, რაც სხვადასხვა თანხას უნდა მიემატოს, ჰხმარდება ამერეთის არა მარტო მიწათმფლობელთა, ესეიგი **თავადაზნაურთა, არამედ მიწათმოქმედთა საერთო საჭიროებას.** (ხაზგასმა ჩვენია — ა. ს.. ვ. გ.; ხაზგასმამ უნდა შეგვახსენოს, რომ ჩვენ დღეს მხოლოდ მიწათმფობელებზე ზრუნვას ვაპირებთ და არ გვახსოვს მიწათმოქმედნი). ამ სახით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ისეთი ერთადერთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის“. ცხადია, ასეთი ბანკის დაარსებას დიდი წინააღმდეგობები გამოუჩნდებოდა. საქმე გაჭიანურდა. ბანკის შექმნისათვის გადამჭრელი აქტიური მუშაობა 1872-1873 წლებიდან დაიწყო და ამ საქმეს ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა სათავეში, მან ბანკის ორგანიზაციის საქმე ბოლომდე მიიყვანა. 1875 წელს გახსნილი თბილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარედაც ილია ჭავჭავაძე აირჩიეს — იგი ამ პოსტზე 30 წელს იმყოფებოდა. დასავლეთ საქართველოში მოქმედებდა ქუთაისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკი, რომელიც ასევე სამოციანელთა თაობის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით დაარსდა.

თბილისის და ქუთაისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკები იმ ძნელბედობის ჟამს ქართველი ერისათვის ეკონომიკის სამინისტროც იყო, ფინანსთა სამინისტროც და ეროვნული ბანკიც.

კიდევ უფრო განსაცვიფრებელია ის კამჭრიახობა და გეგმაზომიერება, რაც იდეოლოგიის ჩამოყალიბებისა და მისი რეალიზაციის საქმეში გამომჟღავნდა. ეროვნული ცნობიერების გადარჩენისა და ერის გამთლიანების იდეაზე აგებულ ამ იდეოლოგიას მრავალგანშტოებიანი კონკრეტული მიმართულებები ახლდა თან (აქ კულტურის სამინისტროც შეიძლება დავინახოთ, განათლებისაც, ინფორმაციისაც, სოცუზრუნველყოფისაც, კომიტეტებიც, კომისიებიც და ა. შ.,

— მკითხველი მოგვიტევებს ჩვენს სინამდვილეზე ორიენტირებულ ამ უხეშ, პროზაულ მეტაფორებს).

ქართული ენის დაცვას, მის გადარჩენას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნული მოძრაობის ბაშლის, ქვეყნის ქვეყნად არსებობის საქმეში. 1860 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა: „სხვისა არა ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

ეს არ იყო ილიას კერძო აზრი — ეს იყო სამოციანელთა თაობის საპროგრამო მოთხოვნა.

იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენამ“ ქართული ეროვნული ცნობიერების გადარჩენის საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა. განათლების სისტემის რუსიფიკაციის პირობებში, როცა ქართული სკოლის ორგანიზებაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა, იაკობ გოგებაშვილი ქმნის სახელმძღვანელოებს — „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (1865) და „დედა ენა“ (1876). „დედა ენის“ შექმნა საქართველოს ახალი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა რიცხვს განეკუთვნება — „დედა ენა“ ქართული ეროვნული ცნობიერების გადარჩენის სახელმძღვანელოც იყო.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (დაარსდა 1879 წელს) მრავალმხრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართული სკოლების ორგანიზების საქმეს. საზოგადოების დაარსების ინიციატორები იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. 1885 წლიდან საზოგადოებას უცვლელად თავმჯდომარეობდა ილია ჭავჭავაძე. მთელი ეს საქმიანობა ქართული ენის ტოტალური დევნის პირობებში მიმდინარეობდა, ხოლო მასშტაბურობაზე ის მიუთითებს, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები საქართველოს გარდა გაიხსნა რუსეთის იმპერიის იმ ადგილებში, სადაც ქართველი მოსახლეობა კომპაქტურად ცხოვრობდა (ვლადიკავკაზი, ალაგირი, მოზდოკი, ნალჩიკი, ბაქო); დიდი ყურადღება ექცეოდა ქართული სკოლების გახსნას მესხეთ-ჯავახეთში, აჭარაში, საინგილოში. იმხანად ქართული სკოლის ორგანიზება ძნელი იყო, სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ, ფინანსური თვალსაზრისიც. ამ მხრივ „ქართველთა შორის წერა-კითხვის

გამავრცელებელ საზოგადოებას“ დიდი დახმარება აღმოუჩინეს თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკებმა). წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეარჩია პედაგოგთა ბრწყინვალე კადრები, რომელთაც „დედა ენით“ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა შეასწავლეს და, ამდენად, ქართულ სინამდვილეს, ქართულ სამყაროს სამუდამოდ დაუკავშირეს ქართველი ბავშვი. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმასაც, რომ ქართულ ენასთან ერთად ყველა სხვა სასწავლო დისციპლინა ქართულ ენაზე ისწავლებოდა—სამყაროს შეცნობას, აზროვნებას ბავშვი ქართულ ენაზე იწყებდა. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული ცნობიერების გაღვიძების საქმეში. ქართული სკოლის ორგანიზებით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ საქართველოსა და ქართველობის გადარჩენისათვის ბრძოლაში სრულიად განსხვავებული — გამორჩეული — როლი შეასრულა.

ქართულმა პრესამ, ქართულმა პერიოდულმა გამოცემებმა დიდად შეუწყვეს ხელი ეროვნული მოძრაობის წარმატებას. პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“ (შემდეგში: „ქართული გაზეთი“) 1819-1821 წლებში გამოდიოდა, მაგრამ არც ამ გაზეთს და არც მეორე ქართულ გაზეთს — „ტფილისის უწყებანი“ (1828-1832) არ შეიძლებოდა ეროვნული ცნობიერების გაღვიძების საქმეში რაიმე როლი ეთამაშა. ეროვნული ცნობიერების გაღვიძებას ისახავდა მიზნად სოლომონ დოდაშვილის ხელმძღვანელობით 1832 წელს „ტფილისის უწყებანის“ დამატების სახით გამოცემული „სალიტერატურნო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (ამ ჟურნალის სულ ხუთი ნომერი გამოვიდა). მართალია, მწვავე ეროვნულ პრობლემებზე მასალების ბეჭდვის უფლებას არ. იძლეოდნენ, მაგრამ გიორგი ერისთავის ხლმძღვანელობით გამომავალი ჟურნალი „ცისკარი“ მაინც დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. იგივე ითქმის 1857 წელს ივანე კერესელიძის მიერ განახლებულ ჟურნალ „ცისკარზე“.

ქართული პრესა და, საერთოდ, ქართული პერიოდული გამოცემები საქართველოსა და ქართველობის გადარჩენისათვის დაწყებულ ძოძრაობაში გადაჭრით ჩაებნენ 60-იანი წლებიდან. 1863 წელს ილია ჭავჭავაძე აარსებს ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“, რომელმაც სულ ერთი წელი იარსება. ეროვნულ მოძრაობას დიდი ღვაწლი დასდო გაზეთმა „დროებამ“ (1866-1885), რომლის პირველი

რედაქტორი გიორგი წერეთელი იყო(1869-1883 წლებში გაზეთს სერგეი მესხი რედაქტორობდა, შემდეგ, დახურვამდე — ივანე მაჩაბელი). ქართული პერიოდული გამოცემების ფლაგმანის როლი ილია ჭავჭავაძის „ივერიას" (1877-1906) ხვდა წილად (1877-1878 წლებში „ივერია" გამოდიოდა კვირეული გაზეთის სახით, 1879-1886 წლებში — თვიური ჟურნალის სახით, 1886 წლიდან კი ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა).

ილია ჭავჭავაძის „ივერია" ქართველი ერისთვის გაცილებით იმაზე მეტს წარმოადგენდა, ვიდრე ჟურნალი ან გაზეთი. „ივერიის" ფურცლებზე აღიძრებოდა და გადაიჭრებოდა ხოლმე ქართველი ერის წინაშე მდგარი დიდი თუ მცირე პრობლემა. „ივერიის" მიერ განსაზღვრული მიმართულება, ქართული სინამდვილის რომელ მხარესაც არ უნდა შეხებოდა იგი, საყოველთაო და გაბატონებული ხდებოდა. ყოველივე ამაში უდიდესი წვლილი მიუძღოდა „ივერიის" რედაქტორს და მის უახლოეს თანამშრომლებს — გრიგოლ ყიფშიძეს, ალექსანდრე ყიფშიძეს, სტეფანე ჭრელაშვილს, სოფრომ მგალობლიშვილს, ილია ბახტაძეს, გიორგი ლასხიშვილს, კიტა აბაშიძეს, პეტრე უმიკაშვილს და სხვებს. „ივერიაში" იბეჭდებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი.

სრულიადაც არ არის გადაჭარბებული „ივერიაზე" თქმული: „ივერია" საქართველოს მთავრობა იყო.

„ივერიის" გვერდით საქართველოსა და ქართველობის გადარჩენისათვის ბრძოლაში დიდი წვლილი შეიტანეს გაზეთმა „კვალმა" (1893-1904), ჟურნალმა „მოამბემ" (დაარსდა 1894 წ.), გაზეთმა „ცნობის ფურცელმა" (1896-1906).

ქართულ პრესასთან, ქართულ პერიოდულ გამოცემებთან ბრძოლაში რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის მესვეურებმა სასტიკი მარცხი იწვნიეს — ქართულმა პრესამ გააღვიძა და ერთი მიზნისათვის დარაზმა ერი.

ქართული წიგნის გამოცემა არ შეიძლებოდა მოგვარებულიყო სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე, პირიქით — კოლონიური ხელისუფლება, რუსეთის ცენტრალური მთავრობა, ყოველმხრივ აფერხებდა ქართული წიგნის ბეჭდვისა და გავრცელების საქმეს. სამოციანელთა თაობამ კარგად დაინახა, რომ ქართული პერიოდული გამოცემების გვერდით აუცილებლად უნდა აღორძინებულიყო ქართუ-

ლი წიგნის გამოცემის საქმე. ეროვნული ცნობიერების აღორძინებისა და განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო ძველი, კლასიკური, და ახალი ქართული ლიტერატურის ძეგლთა პოპულარიზება. აღზრდისა და განათლების საქმის ორგანიზება გადაუდებლად ითხოვდა ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო ხასიათის ნაშრომთა, ასევე სახელმძღვანელოთა გამოქვეყნებას. 1851-1867 წლებში დაიბეჭდა იმაზე მეტი წიგნი, ვიდრე წინა 50 წლის განმავლობაში; 60-იან წლებში ყოველწლიურად 5-12 წიგნი იბეჭდებოდა. 1868 წელს დაიბეჭდა 11 სახელწოდების ქართული წიგნი, 1878 წელს — 45, 1893 წელს — 93, 1899 წელს — 112. 1868-1892 წლებში 100 სახელწოდების ქართული სახელმძღვანელო გამოიცა. ეს იყო ჭეშმარიტად დიდი გამარჯვება.

ქართულ თეატრს თავისი განსხვავებული მისია ეკისრებოდა საქართველოსა და ქართველობის გადარჩენისათვის ბრძოლაში. 1850 წელს დაარსებული პირველი ქართული თეატრი გიორგი ერისთავისა დაიხურა 1856 წელს. მუდმივი ქართული თეატრი ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხელმძღვანელობით მხოლოდ 1879 წელს აღადგინა. 1880 წელს დრამატული თეატრი დაარსდა ქუთაისშიც. მ. კატკოვს, რომლის ცხოვრების მიზანი რუსეთის იმპერიის ძლიერების შენარჩუნება იყო, არაფერი გაუზვიადებია — მან ზუსტად შეაფასა ის დიდი საფრთხე, რასაც პატრიოტული თემისადმი მიძღვნილი ქართული პიესები ქმნიდნენ.

თუ დავუმატებთ ყველაფერს ამას **თანმიმდევრულ ზრუნვას ქართულ ისტორიოგრაფიაზე, დაუცხრომელ ბრძოლას ერის ისტორიის გაყალბებისაკენ მიმართული იმპერიული და ადგილობრივი ძცდელობების წინააღმდეგ,** — ჩვენს წინაშეა მართლაც უნიკალური პროგრამა ქართველობის გადარჩენისა, რომელიც არ დარჩა მხოლოდ პროგრამად და წარმატებით ხორციელდებოდა...

და ამ პირობებშიც იყო ერთი ფუნდამენტური პრობლემა, რომლის გადაჭრის გარეშეც წარმატებაზე ფიქრი არ შეიძლებოდა: გარდა კუთხურისა, არსებობდა სხვა დიფერენცირებაც — **მთელი ქართველი ერის, ყველა წოდებისა და კლასის გაერთიანების** გარეშე საქართველოსა და ქართველობის გადარჩენისათვის ბრძოლა წარმოუდგენელი იყო. წოდებრივი, კლასობრივი დაპირისპირებანი უბედურების მომტანია ყველა ერისათვის, მით უფრო დამღუ-

პველი იგი იმ ერისთვის, რომელსაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგული აქვს, რომლის უპირველესი მიზანია სახელმწიფოებრიობის აღდგენა. შემთხვევითი არ არის, რომ მეტროპოლია ყოველთვის კოლონიაში არსებულ სოციალურ წინააღმდეგობებზე აგებს იმპერიულ პოლიტიკას. 1888 წელს ილია ჭავჭავაძე უკვე მერამდენედ იმეორებდა მრავალგზის ნათქვამს: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ერთად და საყოველთაოდ“. მოგვიანებით ილიას აზრი განავითარა და „საერთო ნიადაგის“ თეორია ჩამოაყალიბა არჩილ ჯორჯაძემ. (დღეს, დღევანდელობის მოთხოვნათა მიხედვით, ამას ეროვნული თანხმობა ან სამოქალაქო თანხმობა ეწოდება, და იგი დღესაც აქტუალურია და მისაღწევი. იხ. ა. სილაგაძე, საქართველო 92, თბ. 1993, გვ. 60-61.)

მთელმა ამ ტიტანურმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო: XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს ნათელი გახდა, რომ **საქართველო და ქართველობა გადარჩა.** ცხადად იგრძნობოდა ისიც, რომ იმპერიის კოლონიური პოლიტიკის მესვეურებმა ქართველი ერის ასიმილაციისა და გადაგვარებისათვის ბრძოლის ფორმები და მეთოდები ამოწურეს.

ამ ორ სასიკეთო მოვლენასთან ერთად აშკარა გახდა ერთიანი ეროვნული მოძრაობის კრიზისი — შესაძლოა, ეს განვითარების ზოგადი ლოგიკაა. ასეა თუ ისეა, ფაქტი იყო ერთიანი მოძრაობის დაშლა ცალკეულ პოლიტიკურ მიმდინარეობებად და პარტიებად. მაგრამ ამ პირობებშიც კი აშკარად ჩანდა წარმატებული მომავლის რეალობა — იმდენად დიდი იყო უკვე გაკეთებულის ინერცია. შემთხვევითი არ არის, რომ სამოციანელთა დიდი თაობის მიერ მოპოვებული გამარჯვების შედეგებს ყველა აღიარებდა. 1894 წელს ნოე ჟორდნია წერდა: „დიდად ვაფასებთ იმ თაობას, რომელმაც დაუფასებელი ღვაწლი დასდვა მთელ საქართველოს. შეგვიქმნა მწერლობა, შეგვიმუშავა სალიტერატურო ენა, შეებრძოლა ძველ წესებს და ჩაგრულთა მომხრეთ გამოვიდა. ერთი სიტყვით ეს თაობა იბრძოდა წინსვლისათვის, პროგრესისათვის, და თვით ეს ბრძოლა

გულ-წრფელი, უანგარო იყო. ეს თაობა (უკეთ ვთქვათ, ძველი დასი) დღეევანდელ ცხოვრებას მესამოცე წლების სათვალეებით უცქერის, მაშინ, როდესაც თვით ცხოვრება საშინლად შეიცვალა, დაიბადნენ ახალი პირობები, აღმოცენდნენ ახალი კითხვები. აი, აქ იწყება ამ დროის უკანდახევა, ჩამორჩენა და განზე გადახვევა" (ნ. ჟორდანია, თხზულებანი, ტ. 1, ტფ., 1920, გვ. 251). 1901 წელს არჩილ ჯორჯაძე წერდა: „ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ძველ და ახალ თაობას, ილია ჭავჭავაძის მეოხებით, გამორკვეული დარჩა საერთო მოქმედების ასპარეზი და ეს სწორედ ის ასპარეზია, — ნაყოფი პოლიტიკური ცხოვრებისა, — რომელზედაც თავისუფლად მოთავსდებიან ძველის, ახლის და მომავალ თაობის წარმომადგენელნი. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ საერთო შრომის საჭიროებას ილია ჭავჭავაძემ ჩაუდო საძირკველი და თუ ამ ბოლო ხანებში ჩვენმა მწერალმა თითქოს აუხვია თავისივე ფეხით გათელილ ბილიკს, ეს ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს. ვიქონიოთ სრული პატივი იმისი, რაც პატივსადებია, ხოლო ნუ შევდრკებით და თამამად გამოვეცალოთ ჩვენს მწერალს იქ, საცა ჩვენი გზები ერთმანეთს შორდებიან" (ა. ჯორჯაძე, თხზულებანი. წიგნი მეორე. ტფ., 1911, გვ. 131).

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ილიას გზის უარყოფა ქართულ სინამდვილეში შეუძლებელი აღმოჩნდა. ილია ჭავჭავაძის გავლენას განიცდიდა ყველა პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა — მთელი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ილიას მკვლელობიდან 1918 წლის 26 მაისამდე. ეს ეხება ყველას: სოციალ-დემოკრატს, სოციალისტ-ფედერალისტს, სოციალისტ-რევოლუციონერს, ანარქისტს, ეროვნულ- დემოკრატს, პარტიულსა და უპარტიოს.

ილია ჭავჭავაძემ და სამოციანელთა დიდმა თაობამ მემკვიდრეობით მიიღეს შელახული ეროვნული ღირსება, მიმქრალი ეროვნული ცნობიერება, დევნილი და შევიწროებული ქართული ენა, ორ გუბერნიად, ორ ოკრუგად და ერთ ოლქად გაყოფილი ისტორიული საქართველო, და ნაცვლად ამისა, როცა 1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის იმპერია აღესრულა, ქართველთა გონებაში სრულიად უმტკივნეულოდ გაცნობიერდა ერთიანი საქართველოს, ერთიანი ქართველი ერის გამომხატველი ცნებები: „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო", „საქართველოს პირველი ეროვნული

ყრილობა“, „საქართველოს ეროვნული საბჭო“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“.

1917 წლის აპრილის დამდეგს უკვე არა ჟანდარმერიისა და ოხრანკისაგან მალულად, არამედ საჯაროდ, საქართველოს ბედის გადაწყვეტის მიზნით პირველად დასხდნენ ერთად ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ყველა პოლიტიკური მიმდინარეობიდან და პარტიიდან. შეიქმნა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (თავმჯდომარე — აკაკი ჩხენკელი). ეს იყო სრულიად საქართველოს მასშტაბით მოქმედი პოლიტიკური ორგანო. საქართველოს გამთლიანების, ერთიანი ქართული სახელმწიფოსკენ ლტოლვის მაჩვენებელი იყო ინტერპარტიული საბჭოს ინიციატივით მოწვეული საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917 წლის 19-24 ნოემბერი), რომელმაც 22 ნოემბერს აირჩია ასევე სრულიად საქართველოს მასშტაბით მოქმედი პოლიტიკური ორგანო — საქართველოს ეროვნული საბჭო. საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ და საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ხმარებიდან ამოიღო ცნებები: თბილისის გუბერნია და ქუთაისის გუბერნია. ბათუმის ოლქის ნაცვლად დამკვიდრდა — „აჭარა“, ან კიდევ „სამაჰმადიანო საქართველო“, სოხუმის ოლქის ნაცვლად — „აფხაზეთი“, ზაქათალის ოკრუგის ნაცვლად — „საინგილო“, სამხრეთ-ოსეთის ნაცვლად — „გორის მაზრის ნაწილი“. შიდა ქართლში (სამაჩაბლოში) მცხოვრებ ოსებს უწოდეს „ქართლის ოსები“ (!). ინტერპარტიული საბჭო და ეროვნული საბჭო ხაზს უსვამდა იმას, რომ ქართველი და არაქართველი მაჰმადიანებით დასახლებული ტერიტორია (აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი, აფხაზეთი, საინგილო) საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წელს სპეციალური კომისიაც კი შექმნა, რომელსაც საქართველოს საზღვრები უნდა დაედგინა. ამ კომისიაში პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად ქართველი მეცნიერებიც (პავლე ინგოროყვა და სხვები) მუშაობდნენ.

ყოველივე ეს მოხდა რუსეთის იმპერიის ნგრევიდან სულ რამდენიმე თვის მანძილზე! იმხანად, სხვადასხვა მიზეზის გამო, ამისათვის ხაზი არავის გაუსვამს, მაგრამ ისედაც ცხადი იყო: ამ დიდი გარდატეხისათვის ქართველი ერი მე-19 საუკუნემ — სამოციანელთა თაობამ მოამზადა. სამწუხაროდ, ამ თაობის ცნობილ მოღვაწეთაგან მხოლოდ ერთი — ნიკო ნიკოლაძე მოესწრო 1918 წლის 26 მაისს.

შემდეგ მოხდა ის, რასაც ჩვენ ყველანი კატასტროფას ვეძახით. მაგრამ, თუ, ერთი მხრივ, ჩვენ სამართლიანნი ვართ მაშინ, როდესაც 1921 წელს იძულებით უკან გადადგმულ ნაბიჯს ვუწოდებთ, მეორე მხრივ, უსამართლობაა, როდესაც მთელ 70-წლიან ეპოქას ამოვაგდებთ საქართველოსთვის ბრძოლის ისტორიიდან. პირიქით: გრძელდებოდა—და გრძელდებოდა ინტენსიურად—საქართველოს შეკრების, რუკაზე მისი დამკვიდრების, ერის შეკვრის, ეროვნული სულიერი კულტურისა და ეროვნული მატერიალურ-ეკონომიკური პოტენციალის განვითარების საქმე. ჩვენ არ ვიქნებით უსამართლონი, თუ ვიტყვით, რომ გრძელდებოდა ფაქტიურად სამოციანელთა იდეის რეალიზაციის საქმე — იმდენად ძლიერი იყო ინერცია. და კიდევ: გრძელდებოდა არა სპონტანურად და არა ზოგიერთი, ცალკეული მამულიშვილის, ხშირად კონსპირაციული, ბრძოლით — როგორც ჩვენ გვიყვარს ხოლმე თქმა, — არამედ მთელი ქართველობის ერთიანი, შეგნებული თუ შეუგნებელი, მეცადინეობით. და კიდევ: ამ დროს არავის მოსვლია თავში აზრად აღერიცხა კახეთის, თუ ქუთაისის, თუ სამეგრელოს და ა. შ. წვლილი. მაგრამ ეს სხვა, გრძელი, თემაა...

ზემოთწარმოდგენილი ისტორიული ანალიზი ჩვენ იმისთვისაც დაგვჭირდა, რომ დაგვესვა რამდენიმე ფინალური კითხვა. დღეს ჩვენ, კანონიერი, დამოუკიდებელი სახელმწიფოსა და კანონიერი, დამოუკიდებელი ხელისუფლების პატრონები, ვაკეთებთ იმასვე და ვაკეთებთ იმდენსვე, რასაც და რამდენსაც აკეთებდნენ ისინი, საკუთარი სახელმწიფოსა და საკუთარი ხელისუფლების არმქონე ადამიანები? ისევე ვზრუნავთ ჩვენს სკოლაზე და ჩვენს წიგნზე, როგორც ისინი? რაც მთავარია, ხომ არ გადავუხვიეთ მათ გზას — ხომ არ ავაღორძინეთ კუთხური და სოციალური დიფერენცირება? ისინი ერის არა უბრალოდ შეკავშირებას, არამედ მთლიანობას ქმნიდნენ.

ვინმე შეიძლება ფიქრობდეს, რომ ეს კითხვები დღეს თავის თავს მხოლოდ იმან უნდა დაუსვას, ვისაც სურს ხელისუფლებაში მოსვლა, ხვალ — იმან, ვინც მოვა ხელისუფლებაში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ, თუ წარმატება გვინდა, ამ კითხვებმა ჩვენ ყველანი უნდა დაგვაფიქროს. ყველანი — ერთად და მთლიანად.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	3
იდეალიზმი და პრაგმატიზმი ქართულ პოლიტიკაში	6
საქართველო და საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის პროგლემა	24
განუყოფელი საქართველოსათვის	54

შეკვეთა 516 ტირაჟი 1500

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. კოსტავას ქ. 14